www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 31 დეკემბერი, 2002 წელი. №212 | ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

საპარლამენტო იუმორინა - 2002
A2

კმაყოფილი პრეზიდენტი ცდილობს, თვალი აგვიხილოს
კმაყოფილია საქართველოს პრეზიდენტი გასული წლით და, რა ქნას, არ გაუზიაროს კმაყოფილება სამწყსოს? არ თქვას, რომ წინ მივდივართ? ჩაუსაფრდეს საკუთარ ხალხს, აეფაროს წინ და ხელი შეუშალოს გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვაში? არ აუხილოს თვალი?
A3

უცხოეთი

2002 წლის 10 უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა
ევროს შემოღება;
ინდოეთ-პაკისტანის კრიზისი - ბირთვული ომის საფრთხე;
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო;
აფეთქება ბალიზე;
ნორდ-ოსტის ტრაგედია;
ჩინეთში ახალი ხელისუფლება მოვიდა;
სადამ ჰუსეინი განწირულია?
ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული პროგრამები განაახლა;
ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შვიდი ახალი წევრი შეემატა;
ევროკავშირის გაფართოება.
A4

საზოგადოება

ადამიანებო, გამოდით გარეთ და შეიყვანეთ ეს ბავშვები სახლში
ბებერი ტროლეიბუსის მონოლოგი
A7

სამართალი

სასჯელს ძალოვანი მინისტრებიც იხდიან
2002 წელი, სამართლებრივი და კრიმინალური თავლსაზრისით, საქართველოსთვის უმძიმესი გამოდგა. არაერთი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი მკვლელობა, ცნობილი თუ უცნობი ადამიანების გატაცება, ყაჩაღობა, ქურდობა და სხვა დანაშაული საქართველოში სხვა წლებშიც ხდებოდა, თუმცა, წელს სიტუაციის მნიშვნელოვნად გართულებას ყველა დონეზე აღნიშნავენ.
A7

ამინდი

თბილისი	10
ქუთაისი	12
ბათუმი	14
სოხუმი	11
ფოთი	13
თელავი	9
ზუგდიდი	12
გორი	7
ახმეტა	9
ჭიათურა	9
გაგრა	11
სამტრედია	12

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1119
ევრო	2.1928
გირვანქა სტერლინგი	3.3826
რუბლი	0.0664

გამოდით, გამოდით, ახალი წელია! „რუსთავი 2" ამკვიდრებს ახალ, გრანდიოზულ ტრადიციას - შევხვდეთ ახალ წელს ქუჩაში.

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 უცხოეთი | A5 რეკლამა | A6 ეკონომიკა | A7 სამართალი | A7 საზოგადოება | A8 2002

B2 კულტურა | B3 კულტურა | B4 პერსონა | B5 პერსონა | B6 განცხადებები | B7 ანკეტა | B8 სხვადასხვა

სააკაშვილმა საკრებულოში „ანტიკორუფციული ცხელი ხაზი" გახსნა

ეპიზოდი ბალერინას ფოტოდან

მიხეილ სააკაშვილი ახალი ინიციატივით.

ვერიკო თევზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე ახალ წელს კიდევ ერთი ახალი ინიციატივით ხვდება, საკრებულოში მან გახსნა "ანტიკორუფციული ცხელი ხაზი", რომლის მიზანია ქალაქის სტრუქტურებსა და გამგეობებში არსებული კორუფციის მხილება.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ნებისიმიერ თბილისელს ყოველ დღე, ღამის 12 საათამდე საშუალება ექნება, დარეკოს ცხელ ხაზზე და ინფორმაცია მიაწოდოს. **"ამით სერიოზულ დარტყმას მივაყენებთ გამგეობებში მოკალათებულ კორუფციონერებს"**, - გვაიმედებს სააკაშვილი.

ცხელი ხაზის ტელეფონებთან სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირები ისხდებიან. **"თუ ისე გაჭირდა, ახალ წელსაც ვიმუშავებთ და, ბოლოს და ბოლოს, მე დავჯდები ტელეფონთან,"** – თავს არ ზოგავს ბატონი მიხეილი.

მამხილებელი ზარის მიზეზი შეიძლება გახდეს ნებისმიერი სახის კანონდარღვევა, რომელიც მოქალაქეებისთვის ცნობილი გახდება. ასეთ შემთხვევაში მათ უნდა დარეკონ შემდეგ ნომრებზე: 98-34-18 ან 98-82-54.

ახალი წელი მეკობრეების კომპანიაში

წინასაახალწლო სურვილი სომალიდან: "ისეთი საქართველო გვქონოდეს, ქართველის გატაცება კი არა, ჩვენსკენ გამოხედვაც ვერავინ გაბედოს"

ზაზა წულაძე

ცოტა ბრინჯი, ვადაგასული პურის ფქვილი, უშაქრო ჩაი და რვა კბილებამდე შეიარაღებული სომალელი მეკობრე – ასეთი იქნება საახალწლო სუფრა საბერძნეთის ტვირთმზიდ გემ "ჟენლილზე" დატყვევებული ექვსი ფოთელი მეზღვაურისთვის.

სომალის ტერიტორიულ წყლებში, სადაც დღეს "ჟენლილს" ღუზა აქვს ჩაშვებული, ახალი წელი მაშინ დადგება, როცა საქართველოში მთავარი სადღეგრძელოები უკვე ნათქვამი იქნება... ანუ ზუსტად ერთი საათით გვიან. ახალი წლის პირველ დღეს 155-ე დღე შესრულდება, რაც ფოთელი მეზღვაურები ინდოეთის ოკეანეში, სომალის სანაპიროს მახლობლად დაატყვევეს.

"ყველას გილოცავთ აქედან, მთელ საქართველოს, ჩვენს ოჯახებს, ჩემს პატარა შვილიშვილს ნინიკოს.. ნინიკო, ბაბუა, გკოცნი, გაიზარდე დიდი და სასახელო გოგო... ერთს ვისურვებდი, მომავალ წელს საქართველო ისეთი ძლიერი გამხდარიყოს, რომ ასეთმა უწიგნურმა ნაძირლებმა, ქართველების დატყვევება კი არა, ჩვენკენ გამოხედვაც ვერ გაბედონ!" – ასე მოგვილოცა ახალი წელი კოკმა გულადი რუხაძემ, რომელსაც "24 საათი" გუშინ გატაცებულ "ჟენლილზე" დაუკავშირდა.

დატყვევებული ქართველების მდგომარეობა კვლავ უკიდურესად მძიმეა. გემზე სურსათი თითქმის ამოიწურა, საწვავი კი მხოლოდ ორი-სამი დღის სამყოფია. **"მშივრები ვართ, ბრინჯით, ფქვილით და ჩაით გამძღარი კაცი გინახავთ სადმე, მარა სიმბოლურად სუფრას მაინც გავშლით, მაინც ახალი წელია, სადღეგრძელოს შესმა, ალბათ, ჩაით ან სასმელი წლით მოგვიწევს, გემზე სხვა არაფერია. ისე თევზი რომ დაგვაჭერინა, კაი იქნებოდა. ვეუბნებით ამ მეკობრეებს, ცოტა ადგილი მოვიცვალოთ, აქ ანკესს თევზი არ ეკარება-თქო, მაინც თავისას არ იშლიან, არიან ჩვენსავით მშივრები, ამდენი ხანია ზღვაში ვარ და ასეთი უვიცი და უწიგნური ხალხი არ მინახავს. სუფრაზე მაინც ერთად დავსხდებით, უხერხულია,"** – გვითხრა ალექსანდრე ჩიჩაძემ.

გატაცებული "ჟენლილი" კვლავაც სომალის ტერიტორიაზე არსებული, არაღიარებული სახელმწიფოს სომალილენდის ტერიტორიულ წყლებში დგას, ნავსადგურ ბერბერადან დაახლოებით, 150 კილომეტრის მოშორებით. გემზე ისევ რვა მეკობრეა, რომლებიც სომალილენდის მოსაზღვრე, კიდევ ერთი არაღიარებული სახელმწიფოს – პუნტლენდის ნავსადგურ ბოსაასოში მყოფ მეთაურებს რაციებით უკავშირდებიან. **"ყოველ საათში ერთხელ ლაპარაკობენ. რას ლაპარაკობენ არ ვიცი, ამათი ენა ჩვენ არ ვიცით და ამათმა ჩვენი, ვართ ასე, ხელებით და მიმიკით ვაგებინებთ ერთმანეთს, ერთმა იცის დამტვრეული ინგლისური და ხანდახან გვაგებინებს, რა ხდება, კაი ჯერჯერობით არაფერია, ჩვენი ბედი ბოსაასოში წყდება, შუამავალი უკვე ჩასულია და ფულიც ჩატანილია, მარა ჯერ ვერ მოილაპარაკეს,"** – გვაცნობა ნიკოლოზ პიჟოვმა.

ახალი წელი სომალიშიც ტრადიციული დღესასწაულია. თუმცა ვინაიდან იგი ემთხვევა მუსულმანების მთავარ რელიგიურ დღესასწაულს - რამადანს, სომალელები ახალი წლის დღეებში მასობრივად მარხულობენ. საინტერესოა, რომ სომალიში რამადანი, იქაური ტრადიციით, მთვარის ფაზების მიხედვით ინიშნება და დაახლოებით, 10 იანვარს მთავრდება, ამ დღეს სომალელები ეიდ-ალ-ფიტრს, რამადანის დასასრულს უწოდებენ. არ არის გამორიცხული, რომ მეკობრეები, სწორედ ამ დღესასწაულის გამო არ იკლავენ თავს საჭმლისთვის, ისინი, როგორც სომალელთა უმრავლესობა, მუსულმანი-სუნიტები არიან.

"დღეს ისევ გვითხრეს, რომ ორსამ დღეში თქვენი საკითხი გადაწყდებაო, მარა ამათი დაჯერება შეიძლება? ის გვაიმედებს, რომ თვითონაც ხვდებიან, რას ნიშნავს გემზე სურსათის და საწვავის ამოწურვა და იქნებ რამდენიმე დღეში მართლაც გაგვიშვან, მანამდე კი ყველას გილოცავთ, ღმერთმა გაგიმარჯოთ, ყველა მეზღვაურის ოჯახს ვულოცავ, ოჯახის წევრები, ალბათ, დაგვირეკავენ, მათ პირადად მივულოცავ!" – გვითხრა კაპიტანმა არტურ არუთუნიანმა.

შეგახსენებთ: თავიდან მეკობრეებმა 600 ათასი, შემდეგ მილიონი დოლარი მოითხოვეს, ბოლოს კი 85 ათას დოლარამდე ჩამოვიდნენ, რომელიც "პალას ნავიგეიშენმა" 30 ნოემბერს გადარიცხა სომალილენდის მოსაზღვრე ქვეყანა ჯიბუტის ერთ-ერთ ბანკში. ფული მეკობრეებმა 15 დეკემბერს გაიტანეს და დღემდე გაყოფაზე ვერ თანხმდებიან.

მოკლედ

თბილისი. ქართულ არმიაში საშემოდგომო გაწვევა ჩავარდა. 11 ათასი ახალწვეულის ნაცვლად, არმიაში მხოლოდ 1800 ჯარისკაცის მობილიზება მოხერხდა.

გაწვევის ვადა 31 დეკემბერს სრულდება, თუმცა, შექმნილმა სიტუაციამ თავდაცვის სამინისტრო აიძულა, გადავადების თაობაზე თხოვნით მიემართა პრეზიდენტისთვის. პრეზიდენტმა გაწვევის ვადა ორი კვირით გააგრძელა. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, პარლამენტის მიერ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობა პრობლემას შეუქმნის არა ხელისუფლებას, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეებს, სხვადასხვა სოციალურ ფენებს, რომლებიც მხარდაჭერას ელიან ხელისუფლებისაგან. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი 2003 წელს, "თანამებრძოლებთან" ერთად, მოხუცებულთა სახლში შეხვდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ფრაქცია "დემოკრატების" წევრი, ყოფილი საგადასახადო შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი მიესალმება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებას პარლამენტში ახალი უმრავლესობის ჩამოყალიბების შესახებ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი ვან ბაიბურთი უსაფუძვლოს უწოდებს სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის განცხადებებს, თითქოს რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსს მოითხოვს. **პრაიმ-ნიუსი.**

საპარლამენტო იუმორინა - 2002

დეპუტატი ვან ბაიბურთი უცხოელებს ხვდებოდა. პირველად იგი გაეცნო სტუმრებს:

- ვან!

- თუ! - გაისმა პასუხად.

■ ■ ■

იმ დროს, როდესაც პარლამენტში ჩხუბი ჩხუბზე ხდებოდა და დეპუტატები ხან მუშტმოღერებულნი, ხან კიდევ კასტეტებით დასდევდნენ ერთმანეთს, ლევან პირველმა ჟურნალისტებთან დაიჩივლა: "დედაჩემი პარლამენტში აღარ მიშვებს, შვილო, შენს სამსახურში სულ ხულიგნები ყოფილან, ცუდი არაფერი დაგმართონო".

■ ■ ■

კანადის დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ქართველ ფოტოკორესპონდენტებს და ტელეოპერატორებს სთხოვა, ბიუროს სხდომათა დარბაზში საქართველოს დროშასთან დაეფიქსირებინათ. მოგვიანებით, სპიკერმა თავისი სურვილი შემდეგი მიზეზით ახსნა: იმ დღეს, ვიღაც სხვა ნინო ბურჯანაძეს მოსკოვში გასამგზავრებელი თვითმფრინავის ბილეთი შეეძინა. ეს ამბავი პოლიტიკურ წრეებშიც გახმაურებულა და უფიქრიათ, პარლამენტის თავმჯდომარე რუსეთის დედაქალაქში არაოფიციალურ ვიზიტს - საიდუმლო ვოიაჟს გეგმავსო. "ნამდვილი" ნინო ბურჯანაძის მტკიცება, რომ საქართველოს დატოვებას არ აპირებდა, არ დაუჯერებიათ. ამიტომაც დასჭირდა პარლამენტის თავჯდომარეს ფოტოკორესპონდენტებისა და ტელეოპერატორების დახმარება.

■ ■ ■

ემზარ კვიციანი პარლამენტის შენობაში თავდაცვის მინისტრს ეძებდა. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში მას უთხრეს, რომ დავით თევზაძე "ჭავჭავაძეშია", სადაც კომიტეტის სხდომა ტარდება.

- ვახ, კაცო, აკი თქვეს პარლამენტშიაო? ამხელა პროსპექტზე მაგას რა იპოვის? - შეწუხდა კვიციანი და პარლამენტიდან წასვლა დააპირა. თუმცა, მინისტრის ნახვა მალევე მოახერხა: ჟურნალისტებმა ის ჭავჭავაძის სახელობის სხდომათა დარბაზში მიიყვანეს.

■ ■ ■

დეპუტატები ვანში მელორ ტყეშელაშვილის სიდედრის დაკრძალვაზე რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანით ჩავიდნენ. უკან მობრუნებულები რამდენიმე კოლეგის ოჯახს ეწვივნენ და ყველგან "თითო ჭიქა ასწიეს". განსაკუთრებით ქუთაისში, ვიტალი ხაზარაძესთან შეყოვნდნენ. წვიმიან ამინდში შემოაღამდათ. "კოლონის" ბოლო მანქანას თენგიზ ჯგუშია მართავდა, რომელმაც საჭის ტრიალის მეტი არაფერი იცოდა და მანქანაში საერთოდ ვერ ერკვეოდა. ნელ-ნელა ფარებს სინათლე დააკლდათ და ცოტა ხანში გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. გაჭირვებაში ჩავარდნილებმა მობილური ტელეფონით წინ მიმავალი პარლამენტარების მანქანა იხმეს. "სასწრაფო დახმარების" მძღოლს ბევრი მკითხაობა არ დაუწყია.

-მაიტა "ტრიაპკა"!

ფარების გაწმენდის შემდეგ, ჯგუშიას "ეკიპაჟი" უპრობლემოდ დაბრუნდა დედაქალაქში.

"24 საათი"

2003 - არჩევანის უფლების გადარჩენის შანსი

ყველაზე კაშკაშა მოვლენები, რომლებიც გასულ წელს ქართული პოლიტიკის ნაცრისფერ ფონზე გამოირჩეოდა, ბაქო-ჯეიჰანის პროექტის დაწყება და პრაღის სამიტზე ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განაცხადი იყო.
თუმცა, ისიც ცხადია, რომ ბაქო-ჯეიჰანის პოლიტიკური მნიშვნელობა (ამ პროექტს გაცილებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეკონომიკური) და ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა პირდაპირ პროპორციულად არის და იქნება დაკავშირებული შიდა პოლიტიკურ ვითარებასთან.
საქართველოში კი პოლიტიკური ცხოვრება თანდათან უფრო და უფრო ემსგავსება ქაოსს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან.

ეკა კვესიტაძე

ეს წელიწადი საბედისწერო აღმოჩნდა "მოქალაქეთა კავშირისათვის". ამ ერთიანი და მონოლითური პარტიისგან მხოლოდ ყოფილი კომკავშირლები და კომკავშირლობას ვერმოსწრებული კარიერისტი ახალგაზრდების გუნდი დარჩა.

სამაგიეროდ ეს წელიწადი ახლის დასაწყისი აღმოჩნდა "მოქალაქეთა კავშირის" ძველი სახეებისთვის.

საკუთარი პარტია შექმნა მიხეილ სააკაშვილმა, უფრო მოგვიანებით კი - ზურაბ ჟვანიამ. ცალკე დაწყებული ფრაქციული ცხოვრება პარტიის შექმნით გაამყარეს დავით გამყრელიძემ და ლევან გაჩეჩილაძემ.

საბოლოო ჯამში, როგორც ადგილობრივმა არჩევნებმა აჩვენა, ეს ახლადგამომაცხვარი პარტიები ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ (თუ არ ჩავთვლით ლეიბორისტულ პარტიას) და პოლიტიკური ისტებლიშმენტის ყველაზე გავლენიან ნაწილს წარმოადგენენ.

სააკაშვილმა თავისი სახალხო პოპულარობით მოახერხა ის, რომ ამომრჩეველთა ხმები მასების ლიდერთან - შალვა ნათელაშვილთან გაეყო. რაც შეეხება "ელიტარულ" თბილისელებს, მათი სიმპატიები "ახლებმა" და "დემოკრატებმა" გადაინაწილეს.

თუ წინა საპარლამენტო არჩევნების დროს პოლიტიკურ სცენას მხოლოდ ორი მთავარი მოთამაშე - შევარდნაძე და აბაშიძე - ჰყავდა და მთელი პოლიტკური ცხოვრება ცენტრსა და აჭარას შორის დაპირისპირების ჭრილში განიხილებოდა, ამ წელს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

ბუნებრივია, ასლან აბაშიძეს როლი არ შეუცვლია, ის ისევ რჩება აჭარის პატარა დიქტატორად, ისევ არ რიცხავს ცენტრალურ ბიუჯეტში ფულს, პერიოდულად ისევ ექიშპება შევარდნაძეს, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე გაცილებით ნაკლებ აქტუალურია.

დღეს მთავარი თემა შევარდნაძის ხელისუფლებასა და გავლენიან ოპოზიციურ სპექტრს შორის არსებული დაპირისპირებაა.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ გაკეთებული არჩევანით, აეღორძინებინა ურეიტინგო "მოქალაქეთა კავშირი" და შედარებით პერპექტიული "ახლების" მფარველობაზე უარი ეთქვა, ხელისუფლება მხოლოდ ბანკროტი პარტიისა და ბანკროტი მთავრობის ამარა დარჩა, პოლიტიკურ სპექტრში სერიოზული დასაყრდენის გარეშე.

ამ დაპირისპირებაში ის ყველანაირი მორალური და ადამიანური რესურსებისაგან დაცლილი აღმოჩნდა. სახე, რომელიც დადებითად განაწყობს ამომრჩეველს პარტიისადმი, "მოქალაქეთა კავშირს" აღარ დარჩა. მიუხედავად ამისა, პარტიას, რომელიც, უმდაბლესი რეიტინგის გამო, წესით, ხელისუფლებას თავისი ნებით უნდა ტოვებდეს, სერიოზული პოლიტიკური ამბიცია გააჩნია და ამას არც მალავს. რაც ნიშნავს იმას, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კანცელარია ყველაფერს გააკეთებს "მოქალაქეთა კაშირის" მხარდასაჭრად - მაქსიმალურად გამოიყენებს ადმინისტრაციულ ბერკეტებს, ცესკო-ზე თავის გავლენას, საარჩევნო კოდექსის სისუსტეებს და კიდევ ბევრ სხვას.

რაც შეეხება ოპოზიციას, ის კარგად აცნობიერებს, რომ მიუხედავად ხელისუფლების სისუსტისა, ნომენკლატურულ სისტემასთან ბრძოლა სერიოზული პრობლემაა და ამისათვის მათი გაერთიანებაა საჭირო. მაგრამ, სამ პარტიას - "ნაციონალებს", "ახლებს" და "დემოკრატებს", რომლებიც ამ ოპოზიციური გაერთიანების მთავარ სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთმანეთში ბევრი პრობლემა აქვთ მოსაგვარებელი. პირველ რიგში კი - ლიდერობის ამბიციით გამოწვეული პიროვნული პრობლემები. მიუხედავად ძველი მეგობრობისა, ამ ეტაპზე ჟვანიას გაცილებით უფრო დაძაბული ურთიერთობა აქვს სააკაშვილთან, ვიდრე "ახლებთან". ამ პიროვნულმა შეუთანხმებლობამ უკვე რამდენჯერმე იჩინა თავი.

ქართველი პოლიტიკოსები ყველა არჩევნებს საქართველოს მომავლისთვის გადამწყვეტ ბრძოლად ნათლავენ. ეს შეფასება მეტნაკლებად ყოველთვის ახლოს იდგა რეალობასთან. ასეთ შეფასებას დაიმსახურებს მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნები და ეს კიდევ უფრო ახლოს იქნება სიმართლესთან.

ახალი საპარლამენტო არჩევნები მართლაც ბევრ რამეს გადაწყვეტს. არიან თუ არა ოპოზიციის ლიდერები მზად სერიოზული პოლიტიკური პასუხისმგებლობის ასაღებად? შეძლებს თუ არა საზოგადოება, დაუმტკიცოს ხელისუფლებას, რომ ამ ქვეყანაში საკუთარი არჩევანის უფლებას არ დათმობს და დემოკრატიული არჩევნები მხოლოდ ფარსი არ იქნება?

ეს არჩევნები გადაწყვეტს, რა გზით განვითარდება ქვეყანა, დემოკრატიული თუ დამყაყებული კომკავშირულ-ნომენკლატურული გზით, რომელიც სტაგნაციის ჭაობში ბოლომდე ჩაძირავს სახელმწიფოს.

და ბოლოს, მომავალი წელიწადი აჩვენებს, ვართ თუ არა მზად იმისათვის, რომ ხელისუფლების შეცვლა არჩევნებით, სერიოზული დესტაბილიზაციისა და ქაოსის გარეშე შევძლოთ.

პოლიტპოპოვის დასასრული ტაშისა და ოვაციების თანხლებით

თბილისის საკრებულოს ბედი გადაწყდა

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ უზენაესმა სასამართლომ, "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტთა ხანგრძლივი ოვაციისა და ტაშის ფონზე, წერტილი დაუსვა ხანგრძლივ პოლიტპოპეას, რომელსაც, პირობითად, "ბრძოლა თბილისის საკრებულოსთვის" შეიძლება ვუწოდოთ. სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა "სოციალისტთა" საკასაციო სარჩელი და არ გააუქმა როგორც საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული 160-ე განკარგულება, რომლითაც ცესკომ თბილისის საკრებულოს უფლებამოსილება ცნო.

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოდან

დენის დავითაშვილისთვის განაჩენი მოულოდნელი აღმოჩნდა.

თბილისის საკრებულოს ლეგიტიმურობისადმი მიძღვნილი სასამართლო პროცესების გრძელი ჯაჭვი დასრულდა. 2 ივნისიდან მოყოლებული, ამ საკითხმა ყველა კომპეტენტური დაწესებულება მოიარა. ცესკო-დან დაწყებული, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატით დამთავრებული, არ დარჩენილა ინსტანცია, თბილისის საკრებულოსათვის ხანგრძლივი დებატები რომ არ მიეძღვნა.

დღეიდან ვნებათაღელვა ჩაცხრება. ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვეღარ შეძლებს გუშინდელი განაჩენის გაპროტესტებას, რადგან ვერდიქტი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

"სოციალისტთა" წარმომადგენელი დენის დავითაშვილი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებით გაოგნებული დარჩა, რადგან უკანსკნელ წუთამდე დარწმუნებული იყო, რომ პროცესს მოსარჩელე მხარე იგებდა. თანაც, პოლიტიკურ კულუარებში ბოლომდე საკმაოდ პოპულარული იყო ვერსია, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი უნდა დაეკმაყოფილებინა.

გუშინვე საუბრობდნენ სახელმწიფო კანცელარიისა და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობას შორის გამართულ საიდუმლო სატელეფონო საუბრებზე, რომელიც სწორედ თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების სავარაუდო გაუქმებას შეეხებოდა. თუმცა კულუარული საუბრები მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩა – სასამართლომ სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო.

სხვათა შორის, "სოციალისტთა" ლიდერების განცხადებით, საკრებულოს არჩევნების შედეგების გაპროტესტება მათი ინიციატივა არ არის და ეს იდეა მხოლოდ და მხოლოდ ცესკო-ს "სოციალისტი" წევრისაგან – დენის დავითაშვილისაგან მოდის. ეს არაერთგზის განუცხადებია რომგორც პარტიის თავმჯდომარეს ვახტანგ რჩეულშვილს, ასევე პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერს ირაკლი მინდელს. თუმცა ისიც ცხადია, რომ ასეთ განცხადებებს სერიოზულად არავინ მიიღებს, თუნდაც იმიტომ, რომ სასარჩელო განცხადებას ხელს სწორედ ირაკლი მინდელი აწერს.

"ნაციონალები" და "ლეიბორისტები" კი ამტკიცებენ, რომ ამ პროცესებს ბიძგი "მოქალაქეთა კავშირმა" და თავად სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მისცეს.

რაც შეეხება თავად გუშინდელ პროცესს: სხდომის დაწყებისთანავე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ "სოციალისტთა" სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პარტია ქუჩის აქციებს დაიწყებდა. საინტერესოა ისიც, რომ პარტიის ლიდერთაგან პროცესს, თავდაპირველად, მხოლოდ ზურაბ ადეიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი ესწრებოდნენ (ოქრუაშვილი პროცესზე საკრებულოს ინტერესებს იცავდა).

პროცესის მსვლელობისას კი, სრულიად მოულოდნელად, დარბაზი "ნაციონალების" აქტივისტებით გაივსო. მათ შორის იყვნენ: ვანო მერაბიშვილი, დავით ბერძენიშვილი, კობა ბექაური, გიორგი არველაძე, ზვიად ძიძიგური, საკრებულოში "ნაციონალთა" ფრაქციის სხვა წევრები... როგორც ამბობენ, პარტიის წარმომადგენელთა მოზღვავება დარბაზში მყოფი ერთ-ერთი "ნაციონალის" სატელეფონო ზარმა გამოიწვია, რომელმაც თანაპარტიელებს ამცნო, რომ არ იყო გამორიცხული, პროცესი სოციალისტების გამარჯვებით დასრულებულიყო.

საბოლოოდ კი, სასამართლო კოლეგიამ განაჩენი საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე წაიკითხა, რასაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ნაციონალთა" დიდი სიხარული და ჟრიამული მოჰყვა.

კმაყოფილი იყო მოპასუხე მხარეც. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის შალვა ბებოშვილის თქმით, **"მოსამართლეებმა აბსოლუტურად სამართლიანი განაჩენი გამოიტანეს. თავად ცესკო-მ კი პირნათლად შეასრულა ის დავალება, რომელიც რამდენიმე თვის წინ საოლქო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დააკისრა, ანუ ბიულეტენები ხელახლა გადაითვალა და არჩევნების შედეგებიც სწორედ ამის შემდგომ შეაჯამა".**

მომჩივანი მხარე კი გუშინ საკმაოდ მწირ კომენტარს აკეთებდა. როგორც დენის დავითაშვილმა განაცხადა, იგი დაელოდება განაჩენის სამოტივაციო ნაწილს და მხოლოდ ამის შემდგომ იტყვის, თუ რამდენად ტენდენციურნი იყვნენ მოსამართლეები.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

კმაყოფილი პრეზიდენტი ცდილობს, თვალი აგვიხილოს

კმაყოფილია საქართველოს პრეზიდენტი გასული წლით და, რა ქნას, არ გაუზიაროს კმაყოფილება სამწყსოს? არ თქვას, რომ წინ მივდივართ? ჩაუსაფრდეს საკუთარ ხალხს, აეფაროს წინ და ხელი შეუშალოს გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვაში? არ აუხილოს თვალი, არ გაკიცხოს ისინი, ვინც ვერაფერს ხედავს, არაფერი ესმის, მხოლოდ საკუთარი სკამისთვის ზრუნავს და ხალხის უბედურება, მაგალითად 2003 წლის ბიუჯეტის ჩავარდნა, უხარია?..
არამც და არამც: "სანამ რამის გაკეთება შემიძლია, სანამ პირში სული მიდგას, ვიშრომებ მუხლჩაუხრელად და შევეცდები შევეხიდო ჩემს ხალხს!" - 2002 წლის მიწურულს ჰპირდება სამწყსოს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თამარ ხორბალაძე

ედუარდ შევარდნაძე განვლილ წელს წარმატებულად მიიჩნევს.

წარმატებები, წარმატებები...

წარმატებების ნუსხა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი 2002 წლის ბოლო ბრიფინგზე გვთავაზობს, საკმაოდ შთამბეჭდავია:

"წელს დავიწყეთ ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად პროფესიული არმიის მშენებლობა. ამერიკელი მეგობრების დახმარებით ხორციელდება "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა. საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე.

გარდა ამისა, ევროკავშირის სივრცე განუხრელად გვიახლოვდება და ყველაფერს ვაკეთებთ ამ სივრცეში ინტეგრაციისათვის.

რეალურად დაიწყო აბრეშუმის გზის პროექტების განხორციელება, რაც მოსახლეობას ბევრ სიკეთეს მოუტანს. თავდაცვის ბიუჯეტში ასეთი ზრდა არასოდეს ყოფილა..." - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ნატო-ს სტანდარტებისკენ მიმავალ ქვეყანას თავად უახლოესი მეზობლების - აზერბაიჯანისა და სომხეთის სტანდარტების მისაღწევად თავდაცვის ბიუჯეტის დაახლოებით 4-ჯერ გაზრდა ესაჭიროება.

"უმთავრესი, რისი მიღწევაც მიმდინარე წელს მოხერხდა, ისაა, რომ შესაძლებელი გახდა დაძაბული ურთიერთობის განმუხტვა რუსეთთან, ასევე საქართველო-რუსეთს შორის დიალოგის დაწყება, რამაც სისტემატური ხასიათი მიიღო," - აცხადებს პრეზიდენტი და არ აკონკრეტებს, რაში მდგომარეობს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება მაშინ, როცა რუსეთი, მაგალითად, სრულად ღიად აძლევს საკუთარ მოქალაქეობას აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთ, აგზავნის სამთავრობო დელეგაციებს სოხუმში, ცალმხრივად არღვევს აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადის შესახებ შეთანხმებას და ა. შ.

"მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, რაც, სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამო, ჯერ მხოლოდ პროექტია, გათვალისწინებულია სტრატეგიული დარგების და მიმართულებების დაფინანსების საბიუჯეტო გარღვევაზე, რომელიც რეალობაა ისევე, როგორც რეალობაა მომავალი წლის დაწყება უბიუჯეტოდ.

არაფერს ამბობს საქართველოს პრეზიდენტი გასულ წელს ადამიანთა გატაცებების გახშირებულ ფაქტებზე; ადამიანთა უფლებების დარღვევისთვის უცხოეთიდან გაძლიერებულ კრიტიკაზე; ადგილობრივ არჩევნებზე, რომელიც ხელისუფლებამ წააგო; შემოდგომის არჩევნებზე, რომელმაც აჩვენა, რომ ამომრჩეველს პოლიტიკოსები მობეზრდა, ხელისუფლებას კი - დემოკრატიულობანას თამაში...

პარლამენტი - მთავარი წინაღობა კეთილდღეობის გზაზე?!

"რა გიხარია? მოსახლეობის უმრავლესობის მდგომარეობის გაუმჯობესება ჩავარდა და ეს გიხარია? ის ადამიანები, ვინც მხარი არ დაუჭირეს ბიუჯეტს, მეტს ფიქრობენ საკუთარ კარიერაზე, ვიდრე ქვეყანაზე..." - ცხარობს პრეზიდენტი, რომელიც წლის მიწურულს ფაქტობრივი საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბებაზე პირველად ალაპარაკდა:

"ბიუჯეტზე კენჭისყრამ აჩვენა, რომ პარლამენტში არსებობს უმრავლესობა. 116-მდე დეპუტატმა დაუჭირა მხარი ბიუჯეტს. მისი ჩავარდნა უფრო არაორგანიზებულობის ბრალი იყო - ორმა-სამმა დეპუტატმა დააგვიანა და..." - მთავრობის დამარცხებას არ აღიარებს ედუარდ შევარდნაძე და აქვე ამბობს, რომ არ ეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფო მინისტრის პერსონის შეფასებაში: **"მისი შეხედულება სახელმწიფო მინისტრთან დაკავშირებით პრინციპულად სწორი არ არის. სახელმწიფო მინისტრი მუშაობს 24 საათი..."**

მერე შედეგი? - ეს კითხვა ჰაერშია გამოკიდებული.

ორიოდე სიტყვა პარტიაზეც...

"პარტია რომ დავტოვე, ეს იყო ერთადერთი სწორი ნაბიჯი!" - 2002 წელს გადადგმულ ნაბიჯებს აფასებს ედუარდ შევარდნაძე და ამბობს, რომ 2002 წლის პირველ ნახევარში პარტია, პრაქტიკულად, აღარ არსებობდა. **"ახლა ხდება მისი აღდგენა, პარტია მიდის სწორი გზით,"** - იხტიბარს არ იტეხს საქართველოს პრეზიდენტი.

გია დანელია: „გამორთეთ ტელევიზორი და ყველაფერი კარგად იქნება!"

- ბატონო გია, როგორი განწყობით ხვდებით ახალ წელს?

- შეშფოთებული. განგაშის განცდა ახალი წლის დღეებშიც არ მასვენებს. მე, როგორც ქართველს, უფლება არც მაქვს, აღფრთოვანებული ვიყო ამ დღეებში. თუ ვიღაცა ამბობს, გასული წელი საქართველოსათვის კარგი და წარმატებული იყოო – რა ვიცი, მე ამის შეგრძნება არ მაქვს. შეიძლება, ვინმემ თბილისში ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებებზე ილაპარაკოს. მე ასე არ ვფიქრობ. მორალურადაც ვერ ვართ ქართველები კარგად.

- და მაინც, რას უსურვებთ ქართველ ხალხს, რას უსურვებთ თქვენს მაყურებელს?

-ჩემს ხალხს ვუსურვებ პირველ რიგში სიწყნარეს, შემდეგ კეთილდღეობას, სიმშვიდეს და მშვიდობას. ვისურვებ, მალე დაუბრუნდეს საქართველო თავის ამპლუას. ღმერთს საქართველო მხოლოდ ამისათვის შეუქმნია. მხოლოდ სიკეთისა და კარგად ცხოვრებისათვის. ჯერჯერობით კი ერთი რამაა საჭირო: გამორთეთ ტელევიზორი და ყველაფერი კარგად იქნება.

- ჩვენ რას უნდა ველოდოთ გია დანელიასაგან?

- ელოდეთ ჩემს ახალ წიგნს, რომელსაც ასე ჰქვია: "უბილეთო მგზავრი". ეს ჩემი ცხოვრების წიგნია – ვწერ საქართველოზე, როგორსაც მე მას ვიცნობ, თბილისზე, ვერიკოს სახლზე, ახლობლებსა და ნათესავებზე. წიგნში შევიდა ჩემი პატარა ნოველები. პრეზენტაცია მალე იქნება.

- გასული წლის ყველაზე დიდი კურიოზი რა იყო?

-თავდაცვის მინისტრ ივანოვის გამოსვლა, სადაც მან სექსუალურ უმცირესობათა ლიგაში საქართველოს გაწევრიანებაზე ისაუბრა.

არჩილ გომიაშვილი: „დანგრეულ ეკონომიკას სახელმწიფო სჭირდება და არა ყალთაბანდები„

- თქვენ გაქვთ საშუალება, თბილისში დარჩენილებს ახალი წელი მიულოცოთ. რას ეტყოდით ახალი წლის წინადღეს ქართველებს?

- გუშინ თბილისში დავრეკე, ჩემს ბიჭს ველაპარაკებოდი, შუქი გამოირთო და ერთი გნიასი ატყდა, არიქა, შვილიშვილი სასწრაფოდ ხელში აიტაცეს, სიბნელეში კისერი რომ არ მოეტეხა. ეს არის ცხოვრება? სახლში შუქი და სითბო რომ არ აქვს კაცს, ნორმალური ფსიქიკა როგორ ექნება?

- გასულ წელიწადში კარგი არაფერი გაგონდებათ?

- კარგი შეიძლება ის იყოს, რომ მგონი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში რაღაც სიკეთეებს უნდა ველოდოთ, რაღაც პოზიტიური ძვრები იკვეთება და მე ეს მახარებს.

- როგორ ფიქრობთ, საქართველოს სინამდვილეში ახალი ოსტაპ ბენდერი გაამართლებდა?

-ოსტაპ ბენდერი სულაც არ არის საჭირო. დანგრეულ ეკონომიკას სახელმწიფო სჭირდება და არა ყალთაბანდები. გამაგებინეთ ერთი, სად მიდის ამდენი ფული, რასაც ამერიკა გვიგზავნის? სად არის პენსიები და ჯამაგირი? როგორ შესრულდება ბიუჯეტი, როცა ყველა წაგლეჯვაზეა? ნაკლები უნდა მოვიპაროთ! ის ანეგდოტი ხომ გახსოვთ, რიგში რომ ჩააყენეს ქართველები და გაითვალეთო, უბრძანეს. ყველამ "პირველიო" დაიძახა... მაგრამ ჩემი გმირი ასეთი არ იყო. იგი არც დამნაშავე ყოფილა. იგი ყველას ყველაფერს უყოფდა. ჰქონდა თავისი აკვიატებული ოცნება რიო დე ჟანეიროზე და საბოლოო ჯამში საკუთარმა გულუბრყვილობამ დაღუპა.

რუსუდან ნიკურაძე,
საკ. კორ. მოსკოვში

2002 წელი - ძველი და ახალი არმიის გზაგასაყარი

კობა ლიკლიკაძე
რადიო "თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

2002 წელი საქართველოს სამხედრო ძალებისთვის კვლავინდებურად წინააღმდეგობრივი იყო. საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს "მშვიდობისათვის პარტნიორობის" ჩატარებულ ორ მნიშვნელოვან სწავლებას, ამერიკელ სპეციალისტთა მიერ პირველი პროფესიული ქვედანაყოფის გაწვრთნასა და აღჭურვას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას პანკისის ხეობაში, კვლავ ახლდა ოფიცერთა მოღლვარება, სამხედრო ქონების განიავების მცდელობა, დაუფინანსებლობის გამო წარმოქმნილი პრობლემები და, როგორც შედეგი, საშემოდგომო გაწვევის ჩაშლა. ამ ავლადიდებით საქართველოს ხელისუფლებამ გაბედა "ნატო-ს კარებზე" დაკაკუნება, რითაც საზოგადოებას და საკუთარ თავს 2003 წელს დიდი საზრუნავი გაუჩინა.

2002 წელი სამხედრო მოვლენების სიმრავლით, გნებავთ საომარი საფრთხეების თავალსაზრისით, არც ერთ წინა წელს არ ჰგავს. ცხენის წელი საქართველოში დაიწყო "ავღანელთა კავშირის" მიერ სოფელ მატანში დაწყებული საპროტესტო აქციით, რომელმაც საქართველოს ხელისუფლება აიძულა, შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები პანკისის ხეობაში სიღრმეში განელაგებინა და დაეწყო რეალური სამზადისი ანტიკრიმინალური ოპერაციისთვის. იმ დროისთვის, სხვადასხვა მონაცემებით, იქ რამდენიმე ჩეჩნური შეიარაღებული ფორმირების 500-მდე მებრძოლი იმყოფებოდა, რომლებიც მთლიანად აკონტროლებდნენ ხეობას და მის მიმდებარე სოფლებს. თუმცა, გაზაფხულის დაწყებისთანავე საქართველოს ხელისუფლებას ახალი თავსატეხი გაუჩნდა კოდორის ხეობის სახით. 12 აპრილს კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობამ სოფელ აჟარაში გადასახა ტაქტიკური დესანტი, რომელმაც იქ სწრაფად დაიკავა საბრძოლო პოზიცია. ეს იმდენად თავხედური გამოწვევა გახლდათ, რომ თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ხეობაში მყოფ კოდორის ოპერატიული მიმართულებისა და ეროვნული გვარდიის მეთაურებს დესანტის ლოკალიზება და, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მისი განადგურება უბრძანა. სიტუაცია იმდენად გართულდა, რომ კოდორის ხეობაში, რუს სამხედროებთან მოსალაპარაკებლად, თავად საქართველოს პრეზიდენტიც კი ჩავიდა.

ნიშანდობლივია, რომ კოდორის სამხედრო პროვოკაციას დაემთხვა პენტაგონში ამერიკული პროგრამის "წვრთნისა და აღჭურვის" ოფიციალური თარიღის გამოცხადება. ორ კვირაში საქართველოში ამერიკელ ინსტრუქტორთა პირველი ჯგუფი ჩამოვიდა. ***"დღევანდელი დღიდან ჩვენ ერთი და იგივე გამარჯვებები გვექნება და ერთი და იგივე მარცხი,"*** - განაცხადა საზეიმო შეხვედრაზე თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ.

ივნისსა და ივლისში საქართველომ "მშვიდობისათვის პარტნიორობის" ორ მრავალეროვნულ სწავლებას - "ბესტ ეფფორტ 2002"-სა და "ეთერნეთ 2002"-ს უმასპინძლა. ნატო-ს სტანდარტებისა და სამშვიდობო-ჰუმანიტარული სცენარით ჩატარებული ამ მანევრებით საქართველოს სამხედრო უწყებამ ორმაგად იხეირა - ქართველი სამხედროები კიდევ ერთხელ ეზიარენ თანამედროვე სამხედრო გამოცდილებას და ვაზიანის ბაზაც, სადაც სწავლება ტარდებოდა, გარემოტბეული ყაზარმებითა და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტებით ასევე ოდნავ მიუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს.

სხვათა შორის, სწორედ მაშინ წამოიჭრა საკითხი, ნატო-ს პროგრამის ფარგლებში სამშვიდობო ოპერაციების რეგიონული ცენტრის თბილისში დაარსების თაობაზე. და ეს ინიციატივა დავით თევზაძემ ბრიუსელში ჯერ კიდევ აპრილში გაუზიარა თავის კოლეგებს და ნატო-ს ხელმძღვანელობისგან თანადგომა ითხოვა. მაგრამ ერთი თვის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას ამ სამშვიდობო ინიციატივებისთვის აღარ ეცალა. 23 აგვისტოს რუსეთის ავიაციამ პანკისისა და ილტოს ხეობები დაბომბა, რასაც ამჯერად მსხვერპლი მოჰყვა. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ეს ნაბიჯი ღია აგრესიად შეაფასა და, მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყების ბრძანება გასცა. ერთკვირიან ინტერვალში შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტულმა ქვედანაყოფებმა პანკისის ხეობის სიღრმეში 6 ბლოკ-საგუშაგო შექმნეს. პარალელურად, ხეობის მისადგომებთან, სოფელ ფიჩხოვანსა და მაღნაარში თავდაცვის სამინისტროს 1200 კაციანი დაჯგუფება იქნა გადასროლილი, რომელსაც სიტუაციის გართულების შემთხვევაში ძირითადი ძალების დახმარება უნდა უზრუნველეყო.

და კიდევ ერთი ნიშანდობლივი მომენტი. პანკისის ხეობის დაბომბვიდან ზუსტად მეხუთე დღეს, 29 აგვისტოს კრწანისის პოლიგონზე "წვრთნისა და აღჭურვის" მესამე ეტაპი დაიწყო. ამერიკელმა ინსტრუქტორებმა სპეცდანიშნულების მე-10 დივიზიიდან თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი ჯარებისა და საზღვრის დეპარტამენტის 600 სამხედრო მოსამსახურისგან შემდგარი ბატალიონის გაწვრთნა დაიწყეს.

თუმცა, რუსეთის აგრესია ამით არ განელებულა. სექტემბრის დასაწყისში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დაავალა გენერალურ შტაბს, შეემუშავებინა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე პრევენტული საავიაციო დარტყმების გეგმა.

არაპროგნოზირებად მეზობელთან გართულებულმა ურთიერთობებმა, საქართველოს ხელისუფლება პირდაპირ აიძულა, ეძებნა უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები. ნატო-ში გაწევრიანების შესახებ სახელმწიფოებრივი პროცედურის დაწყება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას ჯერ პარლამენტმა დაავალა, შემდგომ ამ მოთხოვნას სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებიც შეუერთდნენ და ნატო-ს პრაღის სამიტის წინ შეიქმნა სასიკეთო ფონი, რათა საქართველოს ხელისუფლებას ხმამაღლა განეცხადებინა ამ სურვილის შესახებ.

პრაღის ნატო-ს სამიტი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ამ ბედს გაიზიარებს რამდენიმე საათში მთლიანად 2002 წელიც, რომელიც მომავალ წელს მრავალ განუხორციელებელ ოცნებას გადაულოცავს. კარგია, რომ მათ შორის აღარ იქნება "ნატო-ს კარებზე დაკაკუნების" ოცნება. კარგია ისიც, რომ 2002 წლიანი სამუშაო გეგმა საქართველოს ეროვნულმა უშიშროების საბჭომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების სამოქმედო პროგრამის პროექტის განხილვით დაასრულა, რომ სამხედრო ძალებს 50 პროცენტით მომატებული ბიუჯეტი ექნებათ. მაგრამ ცუდია ის, რომ 2002 წლის ბოლო სამხედრო გაწვევას საქართველოს ხელისუფლება ყველაზე სავალალო შედეგით ასრულებს. საშემოდგომო გაწვევით, რომელიც 30 დეკემბერს დამთავრდა, სამხედრო ძალებში 10 780 კაცის ნაცვლად მხოლოდ 1400 კაცის გაწვევა მოხერხდა. უკანასკნელი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი იძულებული გახდა, გაწვევა კიდევ სამი კვირით გაეგრძელებინა. თუმცა ყველა ხვდება, რომ ეს საქმეს ვერ უშველის და რომ ე.წ. "მასობრივი არმიის" იდეა საქართველოში რეანიმირებას აღარ ექვემდებარება.



2002 წლის 10 უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა

ევროს შემოღება

2002 წლის პირველი იანვრიდან ევროკავშირის თორმეტ სახელმწიფოში ერთიანი ევროპული ვალუტა ევრო შემოიღეს. იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირში ერთიანი ვალუტის შემოღებაზე ლაპარაკი, ფაქტობრივად, 1950-იანი წლებიდან მიმდინარეობს, ევროს შემოღებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ევროს მოწინააღმდეგეთა აზრით, ევროზონაში ერთიანი სარგებლის განაკვეთისა და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის ნაკლებობის გამო, ერთიანი ვალუტა უმუშევრობის ზრდასა და ეკონომიკური ზრდის შენელებას გამოიწვევდა. ამას გარდა, ერთიანი ვალუტის შემოღება ფსიქოლოგიურ პრობლემებთანაც იყო დაკავშირებული. წევრ-სახელმწიფოებს სუვერენული სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტზე - ეროვნულ ვალუტაზე უნდა ეთქვათ უარი.

სწორედ აღნიშნული მოტივებით, ევროკავშირის სამმა სახელმწიფომ (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და დანია) ევროზონაში შესვლაზე უარი განაცხადა.

ევროს მოკლე ისტორია:

1957: რომის ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ საერთო ევროპული ბაზარი ეკონომიკურ კეთილდღეობას გაზრდის და ევროპის ხალხთა დაახლოებას შეუწყობს ხელს.

1969: ჰააგის ევროპული სამიტი ერთიანი ვალუტის შემოღებას ევროკავშირის ოფიციალურ მიზნად აცხადებს.

1979: შეიქმნა ევროპის მონეტარული სისტემა. ევროპის სავალუტო ერთეული კავშირის სახელმწიფოების ვალუტების ჯამის საშუალო ღირებულებას წარმოადგენს.

1991: ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში ხელი მოეწერა შეთანხმებას 2000 წლისათვის ერთიანი ვალუტის შემოღების შესახებ.

1995: გადაწყდა, რომ ერთიან ევროპულ ვალუტას ევრო უწოდონ.

2002: პირველი იანვრიდან ევრომ თორმეტი სახელმწიფოს ეროვნული ვალუტები ჩაანაცვლა.

ინდოეთ-პაკისტანის კრიზისი - ბირთვული ომის საფრთხე

კარიბის კრიზისის შემდეგ პირველად, რეალურად გაჩნდა ბირთვული ომის დაწყების საფრთხე. მაისის ბოლოს, ინდოეთმა და პაკისტანმა საზღვრის გასწვრივ ერთ მილიონზე მეტ ჯარისკაცს მოუყარეს თავი. მიმომხილველები შიშობდნენ, რომ თუ ინდოეთი გადაწყვეტდა პაკისტანიდან მომავალი ტერორიზმის საფრთხის ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრას და ამისათვის მასიურ სამხედრო შეტევას განახორციელებდა, პაკისტანი ვერ შეძლებდა შეტევის შეჩერებას და იძულებული გახდებოდა, ბირთვული ან სარაკეტო დარტყმით ეპასუხა.

შიშს კიდევ უფრო აღრმავებდა ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის ნახევარსაუკონოვანი ისტორიის მანძილზე ინდოეთმა და პაკისტანმა უკვე ოთხჯერ იომეს და დღესაც ერთმანეთის მოსისხლე მტრებად ითვლებიან.

ორ ქვეყანას შორის განხეთქილების ვაშლს ქაშმირის შტატი წარმოადგენს, რომლის 2/3-საც ინდოეთი, 1/3-ს კი პაკისტანი აკონტროლებს. დელი ისლამაბადს ისლამისტი ტერორისტების მხარდაჭერაში ადანაშაულებს. მათი ხელით ინდოეთის კონტროლირებად ქაშმირში უკვე ათასობით მშვიდობიანი ინდოელი დაიღუპა. ორი ქვეყნის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც პაკისტანელმა ტერორისტებმა ინდოეთის პარლამენტის შენობაში მოაწყეს აფეთქება.

როგორც ინდოეთის, ისე პაკისტანის ამჟამინდელი მთავრობა, ძლიერი ნაციონალისტური მისწრაფებებით გამოირჩევა. მაისის კრიზისის დროს არცერთი მათგანი კომპრომისზე წასვლის სურვილს არ იჩენდა და მოწინააღმდეგის შეშინებას საკუთარი ბირთვული არსენალით ცდილობდა.

რამდენიმეკვირიანი დაძაბულობის შემდეგ, საერთაშორისო შუამავალთა ძალისხმევით, ვითარების განმუხტვა დაიწყო. მოლაპარაკებების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ აშშ, რუსეთი, ევროკავშირი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

1998 წელს რომის დიპლომატიურ კონფერენციაზე მსოფლიოში პირველი მუდმივმოქმედი საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუსი მიიღეს. მონაწილე 139 სახელმწიფოდან 60-მა რომის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და რატიფიცირება მოახდინა.

სახელმწიფოებს შორის მიღწეული კონსენსუსის თანახმად, საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო მხოლოდ იმ საქმეებს განიხილავს, რომელიც 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ აღიძვრება. სასამართლო განიხილავს ყველაზე მძიმე დანაშაულებს - გენოციდს, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და ომის დროს ჩადენილ დანაშაულებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

სასამართლოს იურისდიქცია მხოლოდ იმ სახელმწიფოებზე გავრცელდება, რომელმაც ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. საქმე აღიძვრება სახელმწიფოს, მოქალაქის, ან გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ, როდესაც ის ამას საჭიროდ მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნას განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები ეწინააღმდეგებოდა. ვაშინგტონი ბოსნიაში სამშვიდობო მისიის შეწყვეტითაც დაიმუქრა. თეთრი სახლის აზრით, ამერიკელი ჯარისკაცები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში თავიანთ ფუნქციას ეფექტურად ვეღარ შეასრულებენ, რადგან მუდმივად გასამართლების საშიშროების ქვეშ იქნებიან. საბოლოდ, მიღებულ იქნა საგანგებო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ამერიკელი ჯარისკაცები შეზღუდული იმუნიტეტით ისარგებლებენ.

ექსპერტების აზრით, ამერიკელთა უარი სასამართლოს ეფექტიანობას შეამცირებს. თუმცა, ევროპელთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ეს საერთაშორისო ინსტიტუტი თანდათან ავტორიტეტს მოიხვეჭს და საერთაშორისო სამართლიანობის საკვანძო ინსტრუმენტი გახდება.

აფეთქება ბალიზე

12 ოქტომბერს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ კუნძულზე, ბალიზე მომხდარმა აფეთქებამ 192 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაღუპულთა უმრავლესობა უცხოელი ტურისტები იყვნენ.

საერთაშორისო საზოგადოება ამ აფეთქების შემდეგ კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, რომ ნელ-ნელა ტერორიზმი იქცა ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხედ, რომელიც კაცობრიობას ემუქრება.

ბალის ტერაქტის ორგანიზებაში ექსტრემისტულ ისლამურ დაჯგუფებებს ადანაშაულებენ. დაპატიმრებულია უკვე 20-ზე მეტი ადამიანი,

რომელთა სასამართლო თებერვალში, ბალიზე გაიმართება.

აფეთქებაში ეჭვმიტანილი ორგანიზაცია ჯმაა ესლამი, გამოძიების მტკიცებით, მიზნად ისახავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მთავრობების დამხობას და ერთიანი ისლამისტური სახელმწიფოს შექმნას. ამ მიზნით მათ სხვა არაერთი ტერაქტი აქვთ მოწყობილი.

ამჟამად დაკავებულია აფეთქების სამი ორგანიზატორი: მუხლასი, ჯემაას ოპერაციების უფროსი, იმამ სამუდრტა, რომელმაც აღიარა ტერაქტის მომზადება და აბუ ბაქარ ბაასირი, ჯემაას სულიერი ლიდერი.

ნორდ-ოსტის ტრაგედია

23 ოქტომბერს 40-ზე მეტი შეიარაღებული ჩეჩენი მოსკოვში "ნორდ-ოსტის" თეატრში წარმოდგენის მსვლელობისას შეიჭრა და დაახლოებით 800 კაცი მძევლად აიყვანა. ჩეჩნები იმუქრებოდნენ, რომ ყველა მძევალს დახოცავდნენ, თუ რუსეთი სამხედრო კამპანიას არ შეწყვეტდა ჩეჩნეთში.

რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა თეატრის შენობას დაუყოვნებლივ შემოარტყეს ალყა. რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს, ტერორისტებმა მხოლოდ კავკასიელები, მათ შორის, რამდენიმე ქართველი გაათავისუფლეს. თუმცა, მოგვიანებით გამოირკვა, რომ ეს ტყუილი იყო.

აღსანიშნავია, რომ ტერორისტებს შორის ახალგაზრდა ქალებიც იყვნენ, რომელთა მეუღლეები ჩეჩნეთის ომის მსვლელობისას მოკლეს.

სამდღიანი ალყის შემდეგ, რუსული სპეცსამსახურები იერიშზე გადავიდნენ. თეატრის შენობის იერიში ადგილობრივი დროით დილის ექვსი საათისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ უფრო ადრე დაიწყო. რუსი სამართალდამცველების ვერსიით, იერიში იმის გამო დაჩქარდა, რომ ტერორისტებმა მძევლების ხოცვა დაიწყეს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სროლა მას მერე ატეხილიყო, რაც ჩეჩნებმა შენობასთან მიახლოებული რუსი სპეცრაზმელები შენიშნეს. ტერორისტებმა ცეცხლი ავტომატებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან გაუხსნეს მოახლოებულ სპეცრაზმელებს, მაგრამ შეტევის მოგერიება უკვე ვეღარ მოახერხეს.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ დარბაზში შეჭრამდე ვენტილაციის სისტემიდან დარბაზში უკვე შეშვებული იყო სპეციალური აირი, რომელმაც დარბაზში მყოფი ტერორისტებიცა და მძევლებიც გათიშა. ერთი შეხედვით, წარმატებული ოპერაციის შემდეგ, დაახლოებით 160 ადამიანი დაიღუპა. ფაქტობრივად, ყველა ტერორისტი მიბჯენით გასროლით იქნა მოკლული. გაჩნდა ეჭვი, რომ რუსმა სპეცრაზმელებმა გათიშული ტერორისტები, დაჭერის ნაცვლად, დახოცეს.

"ნორდ-ოსტის" ტრაგედიის შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო დუმამ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ კანონი მიიღო, რომელიც მოგვიანებით პუტინმა არ დაამტკიცა მხოლოდ იმ პირობით, რომ ჟურნალისტები თავად შეიმუშავებენ ეთიკის კოდექსს და თავიანთ თავისუფლებას თავადვე შეკვეცავენ.

"ნორდ-ოსტის" მოვლენების შემდეგ, საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი ჩეჩნების მიმართ გაცილებით უარყოფითი გახდა.

ჩინეთში ახალი ხელისუფლება მოვიდა

2002 წლის 15 ნოემბერს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობა გაიმართა, რის შედეგადაც, ჩინეთის უმაღლეს ხელისუფლებაში ე.წ. ლიდერთა მეოთხე თაობა მოვიდა. ჩინეთის კომპარტიის ლიდერმა და ქვეყნის მმართველმა ძიან ძემინმა მმართველი პარტიის გენერალური მდივნის პოსტი ვიცე-პრეზიდენტ ჰუ ძინტაოს გადაულოცა. ყრილობის გადაწყვეტილებით, პოლიტბიუროს წევრთა რაოდენობა ხუთიდან ცხრამდე გაიზარდა, ძიან ძემინის პოლიტბიუროდან წასვლის მიუხედავად, ჯერჯერობით, იგი ფარდის მიღმა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე კვლავ დიდ გავლენას იქონიებს.

ჩინეთში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, უმაღლესი ხელისუფლები, 70 წლის შესრულების შემდეგ, თანამდებობას ტოვებენ. მემკვიდრე კი დიდი ხნით ადრე ირჩევა. ჰუს პრეზიდენტობა ჯერ კიდევ დენ სიაო პინის მიერ იყო გადაწყვეტილი.

ოფიციალური ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ჰუ ძინთაო ანხვეის პროვინციაშია დაბადებული. იგი კომუნისტურ პარტიაში კულტურული რევოლუციის დროს გაწევრიანდა, როდესაც პეკინის ელიტარულ ცინხუას უნივერსიტეტში სწავლობდა. ჰუ პროფესიით ინჟინერია.

ჩინეთის მმართველ წრეებთან დაახლოებული ჟურნალისტების თქმით, ჰუ უპირატესობას დასავლური ტიპის ადმინისტრაციას ანიჭებს. თუმცა, ექსპერტების მტკიცებით, ჩინეთის ლიდერი ლიბერალურ იდეებს თავისთვის შეინახავს მანამ, სანამ მთლიან ძალაუფლებას ხელში არ აიღებს. ამას კი რამდენიმე წელი დასჭირდება.

სადამ ჰუსეინი განწირულია?

2002 წლის 27 ნოემბერს გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიამ ერაყში განლაგებული სამხედრო და სამთავრობო ობიექტების შემოწმება დაიწყო. ექსპერტებს გაეროს "მონიტორინგის, ვერიფიკაციისა და ინსპექციის სპეციალური კომისიის" (UNMOVIC) უფროსი ჰანს ბლიქსი ხელმძღვანელობს. მათთან ერთად ბაღდადს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორი მოჰამად ელ-ბარადეიც ეწვია. გაერო-ს ექსპერტებმა უნდა დაადგინონ, აქვს თუ არა ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, სამხედრო ინსპექტორთა ვიზიტის შედეგებზე ერაყის და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის მომავალია დამოკიდებული.

8 დეკემბერს ერაყმა გაეროს უშიშროების საბჭოს წარუდგინა მოხსენება შეიარაღების პროგრამების მდგომარეობის შესახებ. მოხსენების მოცულობამ 12 ათას გვერდს მიაღწია.

მისი გაცნობის შემდეგ, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ განაცხადეს, რომ ერაყის მთავრობის ანგარიში არასრულყოფილი იყო და გაერო-ს მოთხოვნებს არ პასუხობდა.

მოკავშირეების მტკიცებით, ერაყმა ვერ დაადასტურა, რომ მან მართლაც აიღო ხელი მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის მცდელობაზე. ვაშინგტონი, ლონდონი და მათი პარტნიორი ქვეყნები ამჟამად სპარსეთის ყურეში ჯარების გადასროლას ახორციელებენ. ექსპერტები ამბობენ, რომ, თუ სადამ ჰუსეინი იქამდე ვერ დაამხეს, ერაყის წინააღმდეგ ომი თებერვალ-მარტში დაიწყება.

ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული პროგრამები განაახლა

16 ოქტომბერს ჩრდილოეთ კორეამ აღიარა, რომ საიდუმლო ბირთვული პროგრამები გააჩნია. ამ განცხადებას ვაშინგტონმა სანქციების დაწესებით უპასუხა.

ახლა ფხენიანი ამტკიცებს, რომ მას იონპიონის რეაქტორის ამუშავება სწორედ მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ესაჭიროება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა საწვავის მიწოდება შეუწყვიტეს.

მართალია, ჩრდილოეთ კორეა ბირთვული შეიარაღების გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან 1993 წელს გამოვიდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბირთვული პროგრამების შეჩერების თაობაზე აშშ-თან შეთანხმებას მოაწერა ხელი და საწვავისა და დახმარების სანაცვლოდ, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებს ჩრდილოეთ კორეაში მუშაობის საშუალება მისცა.

ამჟამად ბუშის ადმინისტრაციამ ახალი შეკავების სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც ჩრდილოეთ კორეის იზოლაციასა და ფხენიანის ეკონომიკურ "დახრჩობას" ისახავს მიზნად. ვაშინგტონს სურს, რომ ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ შეიარაღებაზე საკუთარი ნებით ააღებინოს ხელი.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა, ბევრის აზრით, იმის მაგალითია, რომ მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე "აბსოლუტური იარაღის", როგორც ხშირად უწოდებენ ატომურ ბომბს, გავრცელების შეკავება შეუძლებელი იქნება.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შვიდი ახალი წევრი შეემატა

უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ჩრდილოატლანტიკური არეალი კიდევ ერთხელ გაფართოვდა. ყველა დროის ყველაზე ძლიერმა სამხედრო ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების შესახებ.

2002 წლის 22 ნოემბერს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიული სამიტი შედგა. ნატო-ში შემდეგი ქვეყნები მიიღეს: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია.

ნატო-ს წარმომადგენელთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პრაღის სამიტზე ალიანსს შვიდი ქვეყანა შეემატა, იგი ისტორიაში უნდა შევიდეს არა როგორც გაფართოების, არამედ როგორც ტრანსფორმაციის სამიტი. ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამხედრო ძალების ეფექტურობის გაზრდის შესახებ.

ნატო-ს გენერალურმა მდივნმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ალიანსის უკანასკნელი გაფართოება არ არის. "ჩვენ დაგეხმარებით რეფორმების პროცესის გატარებაში, რათა სახელმწიფოთა ევრო-ატლანტიკურ ოჯახში თქვენი სრული ინტეგრაცია მოხდეს", - მიმართა ლორდმა რობერტსონმა ალიანსში გაწევრიანების მსურველ სხვა სახელმწიფოებს, მათ შორის - საქართველოს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ სწორედ პრაღის სამიტზე განაცხადა ოფიციალურად საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

ახალი წევრების მიღების გარდა, პრაღის სამიტის პირველივე დღეს ლიდერები ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაზე შეთანხმდნენ, რათა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში წარმოქმნილ კრიზისებს სათანადო პასუხი მყისიერად გასცენ.

სამიტზე გადაწყდა, რომ შეიქმნება 20 000-კაციანი შეიარაღებული დანაყოფი, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში საჭიროებისამებრ გააგზავნიან. ამერიკელთა აზრით, ახალი სწრაფი რეაგირების ძალები ტერორიზმის წინააღმდეგ ომში საკვანძო როლს შეასრულებენ.

ევროკავშირის გაფართოება

2002 წლის 13 დეკემბერს კოპენჰაგენში ჩატარებული ევროკავშირის ლიდერთა სამიტი ისტორიული მნიშვნელობისა აღმოჩნდა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ გაწევრიანების კანდიდატი ათი ქვეყანა ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდება.

ევროკავშირის 15-მა წევრმა ქვეყანამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, უნგრეთის, მალტის, პოლონეთისა და კვიპროსის გაწევრიანების შესახებ.

ექსპერტების აზრით, ევროკავშირის ამ გაფართოებამ ყველაზე ოპტიმისტურ პროგნოზებსაც გადააჭარბა. გაფართოება უფრო მეტ ქვეყანას შეეხო, ვიდრე ვარაუდობდნენ. "ერთიანი, განუყოფელი და თავისუფალი ევროპა" - მსოფლიოს ყველაზე მდიდარი და დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანება ნელ-ნელა იზრდება და ძალას იკრებს.

სამიტამდე, ახალ და ძველ წევრებს შორის გარკვეული უთანხმოებები წარმოიშვა სოფლის მეურნეობის სუბსიდირებისა და შრომის ბაზრებთან დაკავშირებით, მაგრამ ქვეყნებმა ამჯობინეს ისტორიული თარიღი წვრილმანებით არ შეებღალათ.

გაფართოების ამ ტალღაში ვერ მოხვდა თურქეთი. საერთო ევროპულ ოჯახში მისი გაწევრიანების ზუსტ თარიღს ევროპის ლიდერები 2004 წელს დაასახელებენ. თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თურქეთი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს შეასრულებს.

ევროკავშირის სამიტის ისტორიული მნიშვნელობა, მასზე მიღებული გადაწყვეტილებების გარდა, კიდევ ერთი ფაქტორით არის განპირობებული. კერძოდ, კოპენჰაგენში მკაფიოდ დაფიქსირდა გერმანულ-ფრანგული პოლიტიკური ღერძის არსებობა. ყველაზე კარგად ეს თურქეთის საკითხის განხილვის დროს გამოვლინდა. მაშინ, როდესაც დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის და იტალიის დელეგაციები თურქეთის ევროკავშირში რაც შეიძლება ადრე გაწევრიანებას უჭერდნენ მხარს, საფრანგეთის და გერმანიის ლიდერებმა - ჟაკ შირაკმა და გერჰარდ შროდერმა პრინციპული პოზიცია დაიკავეს და თავისი გაიტანეს კიდეც.

ი ყ ა ვ ი თ ხ ა ზ ზ ე !

დ ა მ ო ი გ ე თ მ რ ა ვ ა ლ ი პ რ ი ზ ი ჯ ე ო ს ე ლ თ ა ნ ე რ თ ა ლ !

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას;
- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**

ჯეოსელმა დაარსა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდი?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:



ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

ყველაზე კარგი და ცუდი ქართულ ეკონომიკაში - 2002

სოფო კვინტრაძე
სოფიკო ოხანაშვილი

ქართული ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან დადებით და უარყოფით მოვლენებზე "24 საათს" ესაუბრებიან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნესმენები და ექსპერტები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, აფასებენ იმ ძირითად ტენდენციებსა და ძვრებს, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში შეინიშნება. გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ 2002 წლის ყველაზე დადებითი მოვლენა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის რატიფიცირება იყო, ყველაზე უარყოფითი კი, საბიუჯეტო და ენერგოკრიზისი. გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ეკონომიკა სრულიად განსხვავებულად ჩანს სახელისუფლებო კაბინეტიდან, ბიზნესმენის ოფისიდან და რეალური სამუშაო ადგილიდან.

ბესო გელესკირიანი. ფოტო

არარსებული ეკონომიკის მინისტრი - არც რა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებაზე საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლებამ არასამთავრობო ორგანიზაციების საპროტესტო გამოსვლების, ერთი მერწყული ბიზნესმენისა და ერთი მინისტრის ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, მაინც მიიღო. მას შემდეგ, რაც საქართველოს აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი კასპიის რეგიონის ენერგეტიკულ საკითხებში სტივენ მენი ეწვია და აშშ-ს მთავრობის ცალსახა პოზიცია დაფიქსირა მილსადენის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, ყოველგვარი პროტესტი გაჯიუტებული ბავშვის ტირილს დაემსგავსა და "ბედნიერი" საქართველოს ბედნიერმა პრეზიდენტმაც დაარქარა გადაწყვეტილების მიღება. დღეს უკვე ქვეყნის ხელისუფლება მშვიდადაა და ბაქო-ჯეიჰანის პროექტის დაწყებას 2002 წლის ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოვლენად მიიჩნევს. მაგრამ, რამდენად იყო ეს ყველაფერი საქართველოს მთავრობის "დამსახურება"? აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ ის გადაწყვეტილება მიიღო, რასაც მისგან ღამის 3 საათზე კერძო კომპანიის მეორეხარისხოვანი ბოსებიც კი ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, მთავრობა მაინც ამაყია.

"რა თქმა უნდა, ბაქო-ჯეიჰანის პროექტის დაწყება, ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა 2002 წელს საქართველოს ეკონომიკაში," – ბასილია-ისაკაძე კანცელარიდან, გაჩეჩილაძე-ადეიშვილი სამინისტროებიდან და საერთოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა ამგვარ პასუხს დაუფიქრებლად იძლევა. ოპტიმიზმის კიდევ ერთი საბაბი აღმოაჩინეს სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებიც აცხადებენ, რომ 2002 წელს საგადასახადო შემოსავლების ამოღება "უკეთესი ადმინისტრირების" ხარჯზე გაზრდილა, რაც თურმე წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. **"საგადასახადო შემოსავლების პარამეტრები წელს გადაჭარბებით შესრულდა, დაფიქსირდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტენდენცია და შენარჩუნდა ლარის კურსიც,"** – აცხადებს ვასილ გიგოლაშვილი. ფინანსთა მინისტრის მოადგილის გარდა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძეც ამგვარად ფიქრობს.

ჩამოთვლილი სიკეთეების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა მთავრობის მიერ შეთავაზებული 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი არ დაამტკიცა. სხვათა შორის, ორივე ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა სწორედ ბიუჯეტის დაუმტკიცებლობას მიიჩნევს 2002 წლის ყველაზე უარყოფით ეკონომიკურ მოვლენად.

გაცილებით რადიკალურები აღმოჩნდნენ პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები. მათი უმრავლესობა საერთოდ ნეგატიურად აფასებს განვლილი წლის ეკონომიკურ ცხოვრებას, ან უკიდურეს შემთხვევაში, ნათელ წერტილად მხოლოდ საკუთარი ფრაქციის ინიციატივებს მიიჩნევს. "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელს მიხეილ მაჭავარიანს გაუჭირდა დადებითი ეკონომიკური მოვლენის დასახელება, სამაგიეროდ მისი თანაფრაქციელი ზურაბ ცქიტიშვილი აცხადებს, რომ **"ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა არის "გაერთიანებული დემოკრატების" მიერ წამოყენებული ინიციატივა, რაც მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე – საარსებო მინიმუმამდე გაზრდას ითვალისწინებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის პროცესისათვის."**

"მრეწველთა" ლიდერის გოგი თოფაძის აზრით, 2002 წელი ქვეყნისთვის არაფრით გამოირჩეოდა, რადგან 2002 წელს ეკონომიკაში გარდატეხა არ მომხდარა. თუმცა, თოფაძე მომავლის იმედს მაინც იტოვებს. კიდევ უფრო პესიმისტურადაა განწყობილი მაჟორიტარი დეპუტატი ნიკო ლეკიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ არც 2003 წელს მოხდება ქვეყნის ეკონომიკაში რაიმე განსაკუთრებული, რადგან **"საამისოდ არ არსებობს პოლიტიკური ნება და თან მომავალ წელს მთავარი აქცენტი მთლიანად საარჩევნო ვნებათაღელვაზე იქნება გადატანილი."**

წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ეკონომიკური ექსპერტებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დაწყებას ასახელებენ. ფასიანი ქაღლდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ჯიბუტი ასახელებს რამდენიმე მიზეზს, რის გამოც აღნიშნული პროექტი მნიშვნელობას იძენს ჩვენი ქვეყნისათვის

"ეკონომიკურად იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ შემდეგ იმავე დერეფანში რეალური ხდება მეორე პროექტის განხორციელება – ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის გაყვანა. ორივე პროექტი ერთად და, განსაკუთრებით კი, გაზსადენი, უკავშირდება ისეთ საკითხს, როგორიცაა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა. ამავე დროს, ამ პროექტებით მოხდება ინვესტიციების მოზიდვა. მშენებლობის სტადიაზე დაახლოებით 400 ათასი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება საქართველოში. გარდა ამისა, ეს არის მშენებლობა, რომელსაც საქართველოში შემოაქვს ახალი ეკონომიკური სტანდარტები, დაწყებული ბუნების დაცვით, დამთავრებული ტექნოლოგიებით," – აცხადებს მიხელ ჯიბუტი და იმასაც დასძენს, რომ მილსადენების პროექტების წარმატებით განხორციელება საქართველოს უპრეცედენტო ფუნქციას შესძენს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის წამყვანი ექსპერტი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ 2002 წელს, გარდა ბაქო-ჯეიჰანის პროექტისა, კიდევ მოხდა ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა: **"პირველ რიგში ქვეყანამ ტრადიციული საფინანსო კრიზისის პერიოდში შეინარჩუნა ლარის კურსის სტაბილურობა, რაც ეროვნული ბანკის დამსახურებაა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა პრაღაში ნატოში გაწევრიანების სურვილი დააფიქსირა. ეს არის არა მარტო პოლიტიკური განცხადება, არამედ ეკონომიკის დარგში რეფორმების დაჩქარებისა და ახალი საბიუჯეტო მოწყობის დამკვიდრების ვალდებულების აღება."**

რაც შეეხება 2002 წლის უარყოფით ეკონომიკურ მოვლენას, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ასევე ექსპერტები და ბიზნესმენები გასაოცრად ერთსულოვნები აღმოჩნდნენ. საბიუჯეტო კრიზისი და ენერგეტიკული პრობლემები ისევ რჩება 2002 წლის შავ ლაქად.

"წლევანდელ ბიუჯეტში 130 მილიონ ლარამდე გარღვევაა, რაც თავისთავად არის ძალზე ცუდი მოვლენა, ასევე კვლავ გრძელდება ენერგეტიკული კრიზისი, ქვეყანამ დღემდე ვერ გადაჭრა დენისა და გაზის პრობლემა," – აცხადებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. დამოუკიდებელი ექსპერტი ნიკო ორველაშვილი მიიჩნევს, რომ ყოველგვარი ეკონომიკური სირთულის სათავე ქვეყანაში არის არასწორი ადმინისტრირება და მართვა. ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო, რას ფიქრობენ მცირე მეწარმეები განვლილ წელთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, მათ მსგავსი პრობლემები აქვთ, რაც არაჯანსაღ კონკურენციას და მძიმე საგადასახადო სისტემას უკავშირდება. რძის პროდუქტების საწარმო "სანტეს" გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი მგელაძე მიიჩნევს, რომ **"ხელისუფლებამ ადგილობრივ მეწარმეებს უნდა მოაცილოს ის უამრავი აღურიცხავი და არალეგალური იმპორტი, რაც ჩვენს ქვეყანაშია და რომელიც ფაქტობრივად ანგრევს ადგილობრივ წარმოებას. როგორც ფასების, ასევე ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით. რაც შეეხება გადასახადებს, თუ უფრო ლიბერალური იქნება კარგია, მაგრამ ეს არ არის იმდენად დიდი უბედურება. უბედურება არის არათანაბარი კონკურენტული გარემო. გადასახადის გადახდა ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს."**

ყველაზე ნიშანდობლივი იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი მცირე მეწარმეებისა და მათი მომსახურე აუდიტების ერთსულოვნება: **"გასული წლის 13 ივლისს საგადასახადო კოდექსში შეტანილი 63 ცვლილება ისედაც სულის მღაფავი ეროვნული ეკონომიკის დასამარების ტოლფასი იყო. სახელმწიფო ოფიციალური რეკეტირი გახდა. საგადასახადო კოდექსი ახლიდან არის დასაწერი და ამას მაქსიმუმ 3-4 თვე სჭირდება. აქაურ ექსპერტთა უმეტესობა ობიექტური არ არის, ხოლო მოწვეულ უცხოელ ექსპერტებს აქ სასეირნოდ კი არ უნდა დაატარებდნენ, ცოტას მაინც უნდა უჯერებდნენ. ახლა კი სახელმწიფო და მისი ბიუჯეტიც ერთი საშუალო დონის უხეირო კომპანიას ჰგავს."**

დენის მოქმედი ტარიფი უკანონოა და უნდა შემცირდეს

სოფიო ჩარკვიანის ფოტო

ნათელაშვილის "დიდგორი" საკონსტიტუციო სასამართლოში

საკონსტიტუციო სასამართლომ შალვა ნათელაშვილის მიერ საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და სემეკის წინააღდეგ აღძრული სარჩელი დააკმაყოფილა, მხოლოდ - ნაწილობრივ. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სემეკის დადგენილება "ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" იმ ნაწილში, "რომელიც მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის შესასყიდ ტარიფებს შეეხება" და საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას მოსთხოვა, ახალი ტარიფები 2003 წლის 1 მარტამდე დაადგინოს.

მაია ურუშაძე

საკონსტიტუციო სასამართლომ "ეი-ი-ეს თელასს" აუკრძალა მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით დაგროვილი დავალიანებების მოთხოვნა. **"ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან ახალი ტარიფების ამოქმედებამდე მოსახლეობის მიერ დენის შესასყიდად, ამჟამად მოქმედი ტარიფების მიხედვით, გადახდილი ტარიფები გადაანგარიშდება ახლად დადგენილი ტარიფების მიხედვით,"** – წერია განჩინებაში.

სამაგიეროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ნათელაშვილის მოთხოვნა, რომ არაკონსტიტუციურად ეცნოთ პრეზიდენტის, პარლამენტისა და სემეკის მიერ 1999-2000 წლებში ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. მიუხედავად ამისა, განჩინების მოსმენისთანავე ნათელაშვილი საზეიმო განწყობაზე დადგა: **"ქართველმა ხალხმა მოიგო მეორე დიდგორი. სასამართლო, ხალხი და კანონი ერთად იყო! დღეს გაუქმდა დენზე არსებული ოკუპაციური ტარიფები და ძველი დავალიანებები. რომ არ დაგიმალოთ, არ ველოდი, რომ სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას გამოიტანდა. როგორც ჩანს, მართლაც ბედნიერი შობა-ახალი წელი დგება საქართველოსთვის."** რაც შეეხება სარჩელის იმ ნაწილს, რომელიც არ დაკმაყოფილდა: "ლეიბორისტების" ლიდერის განცხადებით, ის "თელასისა" და სხვადასხვა ენერგეტიკული ობიექტების უკანონო პრივატიზაციის საკითხს **"პარლამენტში უმრავლესობაში მოსვლის შემდეგ"** მიუბრუნდება.

"გადაწყვეტილება საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება," - ამ სიტყვებით დაასრულა გუშინ მოსამართლე ზოიძემ შალვა ნათელაშვილის სარჩელზე გამოტანილი განჩინების კითხვა. სასამართლოს გადაწყვეტილებას დარბაზში მქუხარე ოვაციები და ტრანსპარანტების ფრიალი მოჰყვა.

სადამ ჰუსეინი - წლის ბიზნესმენი

თორნიკე შარაშენიძე



GRAPHIC NEWS

2002 წელს გლობალურ ეკონომიკაში მომხდარი მოვლენები მართლაც რომ გამორჩეული იყო და, უპირველესად, აქამდე არნახული სკანდალებით, კორპორაციული გაკოტრებებითა და პანიკებით. მათ მასშტაბსა და მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ "ტაიმსმა" წლის ადამიანებად "ენრონისა" და "უორლდკომის" მამხილებლები დაასახელა.

როცა 2002 წელს და სიტყვა სკანდალს ახსენებენ, ამას, როგორც წესი, "ენრონის" ამბავს მოაყოლებენ. აშშ-ის სიდიდით მეშვიდე კომპანია (რომლის ხელმძღვანელობაც იქადნიდა, რომ მალე "ენრონს" მსოფლიოს უპირველეს კომპანიად აქცევდა) საპნის ბუშტივით ჩაასკდა ხელში მის აქციონერებს. "ენრონის" სკანდალის შედეგები განუზომელია. დავიწყოთ იქიდან, რომ მილიონობით ადამიანმა მოულოდნელად დაკარგა ქონება, რასაც "ენრონის" აქციები ერქვა, რომ დიდი ზარალი განიცადა საპენსიო ფონდებმა და ახლა ამერიკელთა უმრავლესობას თითოოროლა წლით გვიან მოუწევთ პენსიაზე გასვლა. "ენრონის" გაკოტრებას შეეწირა მისი აუდიტორი "ანდერსენი," რომელზეც მართლმსაჯულებამ მთელი ჯავრი იყარა. "ანდერსენი" მხოლოდ ფორმალურადღა არსებობს, იგი პრაქტიკულად დაშლილია და მისი ფილიალები დიდი აუდიტორული ხუთეულის სხვა წარმომადგენლებმა გადაინაწილეს. "ენრონის" შემდეგ აშშ-ის ხელისუფლება სხვა კომპანიების შემოწმებას შეუდგა, რის შედეგადაც უამრავი ახალი სკანდალი ამოტივტივდა და აგორებულმა ტალღამ თეთრ სახლამდეც კი მიაღწია - კორპორაციულ მაქინაციებში თვით ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინისაც კი დასდეს ბრალი.

მოკლედ, წლის სკანდალზე ბევრი ფიქრი არაა საჭირო - ეს "ენრონია." თუმცა, ქართული საზოგადოებისათვის ეს ნაკლებად შესამჩნევი იყო. ჩვენთვის გაცილებით უფრო სერიოზული შედეგი შეიძლებოდა ჰქონოდა გერმანული მედია-გიგანტის, "ლეო კირხის" გაკოტრებას. ამ კომპანიას ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ტელეტრანსლიაციის უფლება ხელში ჰქონდა ჩაგდებული და გამორიცხული არ იყო, რომ ჩემპიონატის უნახავად დავრჩენილიყავით. რახან 2002 წლის უარყოფით მემკვიდრეობაზე დავიწყეთ საუბარი და მედიაკომპანიაც ვახსენეთ, მაშინ **წლის წაგებაც უნდა ვახსენოთ.** ამ მხრივ, ნამდვილად ვერავინ შეედრება მსოფლიოს უდიდეს მედია-გიგანტ "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერს," რომლემაც პირველ კვარტალში 54 მილიარდი დოლარი დაკარგა. ეს სარეკორდო კვარტალური ზარალია არა მხოლოდ 2002 წლის, არამედ საერთოდ ბიზნესის ისტორიისათვის. "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერს" დანაკარგებით მხოლოდ კიდევ ერთი მედია-გიგანტი, "ვივენდი" თუ შეედრება.

ახლა მიღწევებზეც ვისაუბროთ. **წლის კომპანიებად, ალბათ, იაპონური "ტოიოტა" და ამერიკული "ნიუზ კორპორეიშენი" უნდა დავასახელოთ.** "ტოიოტას" არნახული მოგებები ჰქონდა და იგი მართლაც, "ნათელი წერტილი" იყო როგორც ეკონომიკურ რეცესიაში მყოფი იაპონიის, ასევე კრიზისში მყოფი გლობალური ავტომრეწველობისათვის. "ნიუზ კორპორეიშენი" მართალია, ერთ-ერთ კვარტალში წაგებას ვერ გადაურჩა, მაგრამ მედია-სექტორის არნახული კრახის ფონზე რუპერტ მერდოკის კომპანია დიდებულად გამოიყურებოდა და გაფართოებასაც წარმატებულად განაგრძობდა. მარტო ის რად ღირს, რომ "ნიუზ კორპორეიშენმა" ჩინეთის სატელევიზიო ბაზარზე შეაღწია.

დაგვრჩა წლის ბიზნესმენი. თითქოსდა აქ ბევრი ფიქრი არ არის საჭირო და პირდაპირ "ტოიოტასა" და "ნიუზ კორპორეიშენის" თავკაცები უნდა დავასახელოთ. მაგრამ მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ კომპანიებს მენეჯერთა მთელი გუნდი მართავს. წლის ბიზნესმენის ტიტულისათვის ვინმე ისეთი უნდა მოვძებნოთ, ვინც ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას და საკუთარ თავზე იღებს მილიონებისა და მილიონთა ბედს. საამისოდ იდეალური კანდიდატურა ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინია, რომელმაც წელს თავისი ხალხის კუთვნილი ნავთობსაბადოებით არნახული ვაჭრობა გაიჩაღა. სადამმა ჩალის ფასად მიჰყიდა უცხოურ ნავთობგიგანტებს ერაყული "შავი ოქროს" საბადოები და ამით საგრძნობლად შეუკრა ხელფეხი ვაშინგტონს. ახლა ერაყულ საბადოებში ინტერესები აქვთ ჩინურ, ფრანგულ და ბრიტანულ კომპანიებსაც კი (კერძოდ, "როიალ დაჩ შელს"). რუსულ ფირმებზე ხომ საერთოდ აღარ არის საუბარი. ცხადია, ბაღდადზე დარტყმა არცერთი ამ კომპანიის ინტერესებში არ შედის. ვინ მისცემს მათ გარანტიებს, რომ სადამის დამხობის შემდეგ ის საბადოები შერჩებათ? თუ საჭირო გახდება, ვაშინგტონს ალბათ, მაინც ვერაფერი დააკავებს. სადამმა თავისი აღებ-მიცემობით ისეთი გორდიუსის კვანძი შეკრა, რომელსაც მხოლოდ მახვილის დარტყმა თუ უშველის. სადამის დიდი "ბიზნესმენობა" იმაშიც გამოიხატება, რომ ნავთობზე ფასებს პრაქტიკულად ის აკონტროლებს: როცა ჰუსეინი კარგად იქცევა და გაეროსთან თანამშრომლობს, ესე იგი ომი არ იქნება და საწვავის ფასებიც დაბალია. ჰუსეინი ცუდად იქცევა, ესე იგი ომის რისკია და ფასებიც მაღლა მიიწევს. ახლა სწორედ ეს ვითარება გვაქვს: მსოფლიო შიშით ელის საომარი მოქმედებების დაწყებას, ნავთობი გაძვირებულია, ეკონომისტები კი ინფლაციის საშიშროებაზე საუბრობენ.. . თუმცა, ახლა არა, ახლა ყველა შობა-ახალ წელს ზეიმობს.

დონის საჩუქრები და გამყრელიძის დავირებები

სააქციო საზოგადოება ჩვილ ბავშვთა სახლში, რომელიც, ნუცუბიძის ქუჩის ოთხ ნომერში მდებარეობს, 115 პატარა ბავშვი ცხოვრობს. აქედან, ორმოც პროცენტს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. მათი ასაკი ოთხ წელს არ აღემატება

თამარ დვალი

ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა საახალწლო საჩუქრები მიიღეს.

ფოტო ბესლანეას ფოტო

გუშინ, ჩვილ ბავშვთა სახლის ფოიეში ბუნებრივი ნაძვის ხის ირგვლივ, უამრავი ამანათი ეწყო. ეს ბავშვებისთვის პირველი საახალწლო საჩუქარია, რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან -"ამქორთან", "წითელ ჯვართან" და "ხსნის არმიასთან" ერთად უსახსოვრა მათ. ამერიკული ორგანიზაციის "გადავარჩინოთ ბავშვების" საქართველოს ოფისის დირექტორმა ჯონათან ფონგ დონმა, დამდეგი ახალი წელი პატარებს თბილი ტანსაცმლის და სათამაშოების გადაცემით მიულოცა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ, იქ მყოფ საზოგადოებასა და პატარებს პირობა დაუდო, რომ ახალი წლიდან შენობის მეორე ნაწილსაც გაარემონტებდა და გაათბობდა. მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ბავშვებს ტრადიციული თოვლის ბაბუა და ფიფქია გამოუგზავნა, რომლებიც საჩუქრების გახსნასა და დარიგებაში ეხმარებოდნენ პატარებს. ბავშვთა სახლის პერსონალმა თოვლის ბაბუის დახმარებით, ბავშვები საახალწლო სიმღერასა და ცეკვაში აიყოლია. პატარებისთვის ეს დღე არატრადიციული იყო. ისინი, ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილები, დიდი ინტერესით ხსნიდნენ ყუთებს და მათთვის სულ ერთი იყო, როგორ უხდიდნენ უფროსები ერთმანეთს მადლობას.

ადამიანებო, გამოდით გარეთ და შეიყვანეთ ეს ბავშვები სახლში

ბებერი ტროლეიბუსის მონოლოგი

ნანა ქადაგიშვილი

ფეხი თბილისში, 18 წლის წინათ ავიდგი, მაგრამ ყველაზე უფროსი მაინც არ ვარ, ქალაქში ჩემზე ხნიერი, 20 წლის ტროლეიბუსებიც დადიან. ამჟამად 150-ღა დავრჩით, თუმცა, აქედან ჯან-ღონე მხოლოდ 120-ს შეგვრჩა. დანარჩენები ძალიან დაბერდნენ. ადამიანებისთვის ეს ასაკი ჯერ კიდევ ბავშვობის ხანაა, ჩვენთვის კი უკვე - ღრმა სიბერე.

იყო დრო, თბილისში 350 ჩვენისთანა დასრიალებდა. 1973 წელს პირველი ტროლეიბუსი "დინამოს" სტადიონიდან მარქსის მოედნისკენ (ახლა ზაარბრუკენის მოედანი დაარქვეს) რომ გაემართა, მგზავრთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დღეს კი ცოტა ვინმე თუ გვკადრულობს და ისიც იმიტომ, რომ "მარშრუტკის" ფული არ აქვს, თორემ დაჩაჩანაკებულ ტროლეიბუსში რა ამოიყვანდა. ძაღლური სიბერე გვერგო, აღარც ძალა და ენერგია, აღარც დაფასება...

მახსოვს, ქალაქში პირველად 31 დეკემბერს გამოვჩნდი. ნაძვისხეებითა და წვიმებით მორთულ რუსთაველზე რომ ჩავისრიალე, გული ყელში მომეჯინა. მაშინ თბილისი სულ სხვანაირი იყო. ახლაც ლამაზია, მაგრამ მე ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი მირჩევნია. თუმცა, მე ვინ მკითხავს, ქალაქის მერიასა და ბიზნესმენებს (თანამედროვე ტერმინოლოგიას ვფლობ) უცხოური ჭრელა-ჭრელა სახლები ურჩევნიათ. ისე, მე როგორც ვატყობ, არც ღარიბ ადამიანებს ჰკითხავს ვინმე რამეს. ამ საკითხში "ერთ ბედ ქვეშ ვართ" (ნაკითხიც ვარ, ეგრე კი ნუ მიყურებთ).

ჩემი პირველი დღე იმიტომ გამახსენდა, რომ დღესაც 31 დეკემბერია, საცაა ახალი წელი მოვა, 12 საათს 10 წუთი აკლია. გამოცარიელებული და მოწყენილი დავსრი..., უკაცრავად, დავხრიგინებ. ჩემმა მძღოლმა დეპოში (ჩვენს თავშესაფარს ასე ვეძახით) დამტოვა, მაგრამ გამოვეპარე, ახალი წლის ღამეს ბებერი, ცხვირჩამოშვებული ტროლეიბუსების ყურება არ მინდა. თბილისს თითქოს სული გაუნაბავს და ძლიერი ამოსუნთქვისთვის ემზადება. რუსთაველზე ჩამწკრივებული აბრდღვიალებული მაღაზიები და ბარ-რესტორნები გულს მიხარებს. ეს კია, ტექნიკა წინ წავიდა, 18 წლის წინათ ასეთი ნათურები და სათამაშოები სად იყო. საახალწლოდ მომზადებულ სახლებში ვიჭყიტები, ადამიანები სუფრას უსხედან და 12 საათის დადგომას ელიან. ზოგიერთ ოჯახს 200-300 ლარიანი ხელოვნური ნაძვისხეც კი უდგას. არ გეგონოთ, საკუთარი ქვეყნის ეკოლოგიას უფრთხილდებიან, უბრალოდ, რაც ძვირია, პრესტიჟულია. ზოგიერთ თბილისელს ტრადიცია დაურღვევია და 2003 წელს "ბიტლზკლუბში" ხვდება, ბილეთები წინასწარ 60 ლარად უყიდიათ. ადამიანებს რას გაუგებ, თორემ ამ დროს საკუთარ ოჯახში ჯდომას რა სჯობს. გაშალე სუფრა, დაანთე ბუხარი, გახსენი შამპანური და ღილამდე იქეიფე ან ჩაეხუტე ცოლ-შვილს და სატელევიზიო გადაცემებით დატკბი.

დედა, ამას რას ვხედავ, ლამის ბორბლები გამიშეშდეს, თმა რომ მქონდეს, ძირიანად გამითეთრდებოდა. შუა რუსთაველზე, როცა ახალ წლამდე 5 წუთიღა დარჩა, სამი პატარა ბავშვი ნაგვის ყუთში დანთებულ ცეცხლზე ხელებს ითბობს. ადამიანებო, გამოდით გარეთ და შეიყვანეთ ეს ბავშვები სახლში. სიგნალიზაციის ჩართვა მაინც შემეძლოს, მთელს თბილისს გავაყრუებდი. კარს გავაღებ (მოშლილია და მძღოლის დაუხმარებლადაც მოვახერხებ), ეგებ, ამოვიდნენ, დიდ კომფორტს ვერ შევთავაზებ, მაგრამ მოყინულ ქუჩას მაინც ვჯობივარ. ბავშვებო, ამოდით, რა, ახალ წელს ერთად შევხვდეთ, თქვენც უპატრონოები ხართ და მეც, ერთმანეთს გული გავუხაროთ. ღმერთო, მოიხედეს, დამინახეს, თვალები უფართოვდებათ - "ბიჭო, ტროლეიბუსი თავისით დადის...გაჩერდა...კარი გაიღო" – გაოგნებისგან მხოლოდ ჩურჩულებენ. ნეტა, ამოვიდნენ, ნე...მოდიან!!! მომიახლოვდნენ, ფრთხილად ამოვიდნენ, კარს ვხურავ და გზას ვაგრძელებ. სიხარულისგან მთელი ხმით ყვირიან, ენერგია მემატება, ფრთები მესხმის, ცხოვრებაში ასე სწრაფად არასდროს მივლია.

მთელი ქალაქი აკივლდა, მერიის შენობა ფეიერვერკებისგან ლამის ჰაერში აინია, შამპანურიანი ჭიქების ჭახა-ჭუხი ქუჩაშიც კი ისმის. 2003 წელი დადგა... მე და ჩემს ბავშვებს თავი ზღაპარში გვგონია, ეს ჯადოსნური ღამე ხომ არასოდეს დაგვავიწყდება.

მარიამის ახალი წელი

ცხრა წლის მარიამი ნაძვის ხის მორთვაზე ოცნებობს. მას ნაძვის ხე და მისი მოსართავი სათამაშო ჯერ არ ჰქონია. მარიამს უკვე რამდენიმე წელია ხან მეტროს ამოსასვლელში, ხანაც სადარბაზოებში სძინავს. მეცხრე ახალ წელსაც, ალბათ, ქუჩაში შეხვდება. ამას მარიამი განსაკუთრებულად არც განიცდის, პირიქით - მგონი უხარია კიდეც, კეთილი ბიძიები ამ დღეს ჩვეულებრივზე ბევრ ფულს მჩუქნიანონ, ასე ამიხსნა მარიამმა ახალი წლის ღამის ქუჩაში გატარების უპირატესობა. ბევრი ფული მარიამისთვის, ასე, ერთი ან ორი ლარია. ჩვეულებრივ, მას ოც თეთრზე მეტს არ ჩუქნიან.

ეთერ მამულაშვილი

მარიამს დედა, სამ წელზე მეტია, აღარ უნახავს, სამუშაოს საძებნელად და მარიამის "საკეთილდღეოდ" ის საზღვარგარეთ წასულა. მამა? მამა ჰყავს თუ არა, მარიამმა ესეც არ იცის. ფულს ძირითადად მეტროს ვაგონებში შოულობს. მარიამი თავის ასაკთან შედარებით, ცოტა უჩვეულოდ იქცევა. საუბარის დროსაც ცდილობს, ეკა დეიდას მიბაძოს. ეკა დეიდა, ანუ იგივე ტელეჟურნალისტი ეკა ხოფერია მარიამის იდეალი ყოფილა. მას მარიამი თითქმის ყოველ საღამოს ტელევიზორში ხედავს. ცისფერ ეკრანს მარიამი მხოლოდ რამდენიმე მეტრის დაშორებიდან უყურებს. "ჩემთან ახლოს ერთი დიდი მაღაზია ვიცი, სადაც ტელევიზორი სულ ჩართული აქვთ", როცა სხვა "საქმე" არაფერი აქვს, მარიამი ამ მაღაზიასთან დგას და მოლაპარაკე ყუთს იმდენ ხანს უყურებს, სანამ არ ეტყვიან, წადი აქედანო.

ექვსი წლის ასაკში მარიმმა უკვე კარგად იცოდა, რომ ლარში ხუთი ოცთეთრიანია, და რომ მისი საყვარელი ნაყინის ტორტისთვის, სულ ცოტა, ათი ირმის გამოსახულებიანი "ვერცხლის" ფულია საჭირო.

მარიამს კიდევ ჩურჩხელა და ფენოვანი ხაჭაპური უყვარს. იქ სადაც მარიამს ამ ბოლო დროს ხშირად სძინავს, საცხობია. ცხელი ხაჭაპურის სუნი და ორთქლი მის "საძინებლამდე" იოლად აღწევს. ფენოვანის ფული მარიამს ყოველთვის არ აქვს. ორჯერ სულმა წასძლია და გამყიდველისგან ჩუმად აუწაპნავს. მერე მარგო ბებომ უთხრა - ციდან თეთრწვერა ბაბუა დაგინახავს და ქურდობისთვის დაგსჯისო.

მარიამს, ახალი წლის პირველი დღეებისთვის, წინასწარ რამდენიმე ადგილი უკვე შეურჩევია. "იქ სადაც, მაღალი მანქანებით ლამაზად ჩაცმული დეიდები და ბიძიები მოდიანო". მათი კეთილგანწყობა და გულუხვობა რომ დაიმსახუროს, მარიამმა იცის, თუ როგორ მოიქცეს. ჯერ დამდეგი ახალი წელი უნდა მიულოცოს, დალოცოს და დახმარება ამის მერე უნდა ითხოვოს. ეს მარიამს მასზე ხუთი წლით უფროსმა, მეტროს მეგობარმა ნანამ ასწავლა.

ჩვეული "სამუშაოს" შემდეგ მარიამი და მისი თანატოლები თავისუფლების მოედნისკენ აიღებენ გეზს ფეიერვერკის სანახავად. "მერე ცაში ავიხედავ, თვალებს დავხუჭავ და სურვილს ჩავიფიქრებ." ის სურვილების რაოდენობაში შეზღუდული არ არის, რაც მთავარია, ნატვრის ჩაფიქრება მარიამმა მეთორმეტე ზარის ჩამოკვრამდე აუცილებლად უნდა მოასწროს, თუ უნდა, რომ ჩანაფიქრი ნამდვილად აუსრულდეს, ასე სჯერა მას.

ცარიელ ორმოცდაათამდე ნახევარლიტრიან ბოთლს მარიამი და მისი ორი მეგობარი ორ კვირაზე მეტ ხანს აგროვებდნენ, სანაცვლოდ დღეს რამდენიმე ლიმონათის სავსე ბოთლს მიიღებენ, რომელსაც ღამის თორმეტ საათზე შოკოლადიან ნამცხვარს მიაყოლებენ.

დანაზოგი ფულით მარიამმა რამდენიმე შუშხუნა, ასაფეთქებელი ე.წ. "ხლაპუშკა" და გასაბერი ბურთები იყიდა, რომელსაც დღევანდელი ღამისთვის ამზადებს. ნაძვის ხისთვის ფული აღარ ეყო, ამიტომაც 50 თეთრიან ჩიჩილაკს დასჯერდა. სამაგიეროდ საახალწლო საჩუქრებით სავსე ერთი დიდი ლამაზად შეფუთული ყუთი ორი კვირის წინ მიიღო. (ეს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის "სამარიტანელთა ქისის" მორიგი ძღვენი იყო მარიამისნაირი ბავშვებისთვის).

ყუთში ტკბილეულობა, ფერადი ფანქრები, რვეულები, ფერადი წიგნები და თბილი სვიტრი იდო. ტკბილეულობას ბოლო ერთ საათში მოუღო, სვიტრი ხშირად აცვია. დანარჩენ ნივთებს მარიამი საგულდაგულოდ ერთ საიდუმლო ადგილას ინახავს. ეს მისი პირველი საახალწლო საჩუქარი იყო.

მოკლედ

თბილისი. ახალი წლის ღამეს თბილისის მეტროპოლიტენი მუშაობას ორი საათით გააგრძელებს და ღამის 2 საათამდე იმუშავებს. როგორც „მედია-ნიუსს" მეტროპოლიტენის ადმინისტრაციაში აცნობეს, ჩვეულებრივი განრიგი თბილისის საკრებულოსა და მერიის მოთხოვნით შეიცვალა, რადგან 31 დეკემბრიდან 1 იანვრამდე რესპუბლიკის მოედანზე საახალწლო ზეიმი გაიმართება. 1 იანვარს, 4-საათიანი შესვენების შემდეგ, მეტროპოლიტენი მუშაობას დილის 6 საათზე განაახლებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეიდან ენგურჰესის მე-4 აგრეგატი ჩაირთვება, რის შემდეგაც ქვეყნის მთავარი ჰიდროელექტროსადგური 740 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს, - იტყობინება სათბობენერგეტიკის სამინისტრო. მეოთხე აგრეგატის ჩართვამდე ენგური 520 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებდა. სულ ენერგოსისტემაში 1.289 მეგავატია. ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგიის გარდა, ქვეყნის ენერგოსისტემას რუსეთიდან, ელექტროგადამცემი ხაზით „კავკასიონი" 150 მეგავატი, სომხეთიდან „ალავერდით" კი 70 მეგავატი სიმძლავრე ემატება. „ეი-ი-ეს მტკვრის" მე-9 ენერგობლოკი 200 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. ელექტროენერგიის იმპორტი შეწყვეტილია „საღხინოს" ხაზით. თბილისს დილის 620 მეგავატი სიმძლავრე მიეწოდებოდა, აფხაზეთს - 140-160, დანარჩენი სხვა რეგიონებს. აღსანიშნავია, რომ ენგურჰესის დამატებითი აგრეგატის ჩართვის შემდეგ, რეგიონები ახალი წლის დღეებში მაქსიმალურად იქნებიან უზრუნველყოფილნი ელექტროენერგიით. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. წინასაახალწლოდ თბილისის დასუფთავებას უფრო მეტ ყურადღებას ანიჭებენ. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ ჩატარებული რეიდების შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისში დაბინძურების ნერტილების რიცხვის შედარებით შემცირებულია. **მედია-ნიუსი.**

სასჯელს ძალოვანი მინისტრებიც იხდიან

2002 წელი, სამართლებრივი და კრიმინალური თავლსაზრისით, საქართველოსთვის უმძიმესი გამოდგა. არაერთი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი მკვლელობა, ცნობილი თუ უცნობი ადამიანების გატაცება, ყაჩაღობა, ქურდობა და სხვა დანაშაული საქართველოში სხვა წლებშიც ხდებოდა, თუმცა, წელს სიტუაციის მნიშვნელოვნად გართულებას ყველა დონეზე აღნიშნავენ. შექმნილი ვითარების მიზეზებზე საუბრობენ და სამომავლო სურვილებს გამოთქვამენ ის ადამიანები, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ ადამიანის უფლებათა დაცვა და ქვეყანაში ამ მიმართულებით კონტროლის განხორციელება.

სოფიკო რხაიძე

რუსუდან ბერიძე, უშიშროების საბჭოს წევრი:

- გასულ წელს კრიმინოგენული ვითარების მნიშვნელოვნად გაუარესებას, გარკვეული სუბიექტური ფაქტორების გარდა, იმასაც მივანერ, რომ საერთოდ კაცობრიობა შევიდა ძალიან რთულ ფაზაში. მე მსოფლიო ტერორიზმს ვგულისხმობ. ტერორიზმი მთელი კაცობრიობის საზარელი, უხილავი მტერია. მასთან ბრძოლის მეთოდოლოგია ჯერ კიდევ შესასწავლია და ეს ძალზე რთული პროცესია. ტერორიზმის პრობლემა გლობალური, მთელი მსოფლიოს პრობლემა გახლავთ და, შესაბამისად, საქართველოც, რომელიც ამ მსოფლიოს ნაწილია, ობიექტურად მოხვდა ამ ტალღაზე.

სიტუაციის სირთულის განმაპირობებელი მეორე პრობლემა ქვეყნის შიდა მდგომარეობა გახლავთ, თუმცა, ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით უკვე დაიწყო სერიოზული ნაბიჯების გადადგმა იმისათვის, რომ მდგომარეობას რაღაც ვუშველოთ. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანი იყო გასულ კვირას ჩატარებული უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც გარკვეული ღონისძიებები დაისახა და ამ ღონისძიებების განხორციელებაზე მონიტორინგიც დაწესდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ღონისძიებების კონტექსტში პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ეს ყველაფერი უნდა ჩატარდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების და კანონიერების დაურღვევლად. ჩემი სამსახური, თავის მხრივ, მონიტორინგს ჩაატარებს.

ტერორიზმთან გლობალურმა ბრძოლამ მთელ მსოფლიოში ძალზე გაართულა ადამიანის უფლებების დაცვა. ამჟამად ყველგან გამოითქმის შიში, რომ მსოფლიოში გართულებულმა სიტუაციამ, შესაძლოა, მეორე პლანზე მოაქციოს ყველა ის მიღწევა, რომელიც კაცობრიობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ჰქონდა. ამ თვალსაზრისით ძალიან ნიშანდობლივია აქსიონოვის გამონათქვამი. მან თქვა: ძალიან მეშინია, რომ ადამიანის უფლებები ერთ მშვენიერ დღეს სადმე კუთხეში მიგდებული არ აღმოჩნდესო. ეს მთელი მსოფლიოს შიშია.

ნანა დევდარიანი, სახალხო დამცველი:

- მდგომარეობა იმდენად რთული და მძიმეა, რომ არ მინდა მისი დეტალური შეფასებით ბევრს ახალი ნელი ჩავაშხამო. ისედაც ხომ ამბობენ, რომ ქართველ ადამიანის უფლებათა დამცველებს სასიკეთოს დანახვა არ სურთო. თუმცა, ასეთი პრეტენზიების მქონენი დამერწმუნონ, რომ, თუ რაიმე კარგი გაუკეთებიათ, საზოგადოება ამას ხედავს და არ დაუკარგავს. მეტსაც გეტყვით, ქართველ ძალოვნებს წელს რაღაც-რაღაც წარმატებები ჰქონდათ და ამისთვის კიდეც შეაქეს, მაგრამ იმასაც უნდა შეეჩვიონ, როცა დააშავებენ, აღარავინ გაუწუმდებათ და თვალს არ დაუხუჭავს. დღეს აღარ არის საზოგადოება გაჩუმებული და დაშინებული და ეს ჩასაფრებას სულაც არ ნიშნავს. უბრალოდ, მათაც ხომ კარგად იციან, რომ უკმაყოფილებას ობიექტური საფუძველი აქვს. სხვათა შორის, ისინი თავადაც ისჯებიან იმის გამო, რომ ქვეყანაში მკვლელობებია, გატაცებები - მოკლედ, იმისათვის, რომ კრიმინალური ვითარება უმძიმესია. რით არ არის ქართველი ძალოვანი მინისტრებისთვის აღმკვეთი ღონისძიება, როცა ისინი პანკისის ხეობაში არიან კვირების მანძილზე გამოკეტილნი? შესაბამისად, თუ მომავალ წელსაც არ სურთ ამგვარი ფორმით სასჯელის მოხდა, კეთილი ინებონ და სიტუაციის გამოსასწორებლად რაღაც მოიმოქმედონ.

ელენე თევდორაძე, პარლამენტარი:

- თუ ადრე შემეძლო მელაპარაკა რაღაც დადებით ტენდენციებზეც, წელს ამის საშუალება აღარ არსებობს. კრიმინალურ-სამართლებრივი სიტუაცია უმძიმესია და ამას არაერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს, რომელთა შორის მე ერთ უმთავრესს გამოვყოფ. ეს გახლავთ სამართალდამცველი სტრუქტურებისა და მთელი ხელისუფლების კრიმინალიზაცია, რაც გასული წლის მანძილზე კიდევ უფრო გაღრმავდა და თვალსაჩინო გახდა. სამართალდამცველების ყოფნა ალიანსში კრიმინალებთან, მათ დამნაშავეობასთან ბრძოლის ყოველგვარ შანსსა და უფლებას უკარგავს. ეს მომენტი განსაკუთრებით გამოიკვეთა სწორედ 2002 წელს. ამიტომაცაა, რომ რეზონანსული გატაცებები და მკვლელობები დღემდე არ არის გახსნილი.

თინიკო ხიდეშელი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი:

- სამწუხარო ის გახლავთ, რომ მიზეზები არ იცვლება; პირიქით, სულ უფრო და უფრო მძიმდება. ჩემი აზრით, ქვეყანაში კრიმინალური და სამართლებრივი ვითარების გაუარესების პირველი მიზეზი ტოტალური დაუსჯელობის სინდრომი გახლავთ, რომელიც ქვეყანაში მეფობს და რომლის დროსაც ყველას – დამნაშავეთა სამყაროსაც და ხელისუფლების იმ ორგანოების წარმომადგენლებს, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ დამნაშავეობასთან ბრძოლაში - მოჭარბებული აქვს გრძნობა იმისა, რომ მაინც არაფრისთვის ისჯებიან. შესაბამისად, რატომაც არა, გააგრძელებენ ცხოვრებას ისევე, როგორც აქამდე ცხოვრობდნენ.

მეორე და, ალბათ, ყველაზე მთავარი მიზეზია კორუფცია, რომელიც ასევე ძირს უთხრის ყოველგვარ პოზიტიურს. აქ არ არის საუბარი მარტო ფულის აღება-მიცემაზე. დამერწმუნეთ, სინამდვილეში დანაშაულთა უმეტესობა იხსნება, მაგრამ ამის გახმაურება არ ხდება, რადგან ესა თუ ის დანაშაული თანამდებობის პირებთან არის დაკავშირებული და მათ ოფიციალურად გახსნას, შესაძლოა, დიდი სკანდალები მოჰყვეს. ამიტომ ამჯობინებენ სამართალდამცველები, რომ ამ დანაშაულების გამოძიების საქმეები თაროზე იყოს შემოდებული და ოდესმე ვინმეს თუ აღიარებინეს მათი ჩადენა, ხომ კარგი, თუ არა და... არც დანაშაულის გამოუძიებლობაა მათთვის დიდი პრობლემა. ერთხელ მაინც თუ დაიშვა პრეცედენტი და რომელიმე რეზონანსული საქმე ბოლომდე გამოიძიეს? ოდესმე მაინც თუ ვნახავთ ამგვარი კონკრეტული დანაშაულისთვის გასამართლებულ კონკრეტულ ადამიანებს? თანაც, არა მარტო მათ, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ მათაც, ვინც საქმის მიჩქმალვას ცდილობდა. თუ ეს მოხდება, დამერწმუნეთ, სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

პოზიტიური შედეგების მიღების თვალსაზრისით, ასევე ძალზე მნიშვნელოვანია კორუფციული საქმეების გამოძიება. თუ ჩვენი პროკურატურა გააგრძელებს იმ შემართებით, როგორც წელს, როცა, თურმე, კორუფციული დანაშაულის ფაქტზე მხოლოდ 12 საქმეა აღძრული და ისიც გამოძიების სტადიაშია, ძალიან ძნელი იქნება რაიმეს გამოსწორებაზე საუბარი.

რუსუდან ბერიძე

ნანა დევდარიანი

ელენე თევდორაძე

თინიკო ხიდეშელი

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება შორეული პერსპექტივაა

დაცულია თუ არა თქვენი უფლებები? - სამწუხაროდ, ჩვენს მიერ დასმულ ამ ერთადერთ კითხვას ქუჩაში გამოკითხულმა ყველა რესპოდენტმა უარყოფითი პასუხი გასცა.

ხათუნა ჯანგირაშვილი

თამარ ქართველიშვილი, 18 წლის

- ჩემსავე ქვეყანაში იმდენად დაუცველი ვარ, რომ აქ ცხოვრების მეშინია კიდეც.. არანაირად დაცული არ ვარ და არც არავის იმედი მაქვს. სიმართლე რომ გითხრათ, ყველაზე მეტად პოლიციის მეშინია...

ლევან მაჭავარიანი, 32 წლის

- ქვეყანაში, სადაც ახალი წელი ბიუჯეტის გარეშე იწყება, რომელმაც, ფაქტობრივად, უნდა განსაზღვროს, როგორც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, ასევე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა, ნორმალური ადამიანი არ შეიძლება, თავს დაცულად გრძნობდეს.

გიორგი ბარბაქაძე, 28 წლის

- შეიძლება წარმატებულიც იყო, ბევრი ფულიც გქონდეს, არც არაფერს უშავებდე ვინმეს, შენთვის, მშვიდად ცხოვრობდე. ერთ მშვენიერ დღეს კი ვიღაცამ (ან ვიღაცეებმა) ერთი ხელის მოსმითა და ერთი ამოსუნთქვით გაგანადგურონ, მიწასთან გაგასწორონ... ისეთ უკუღმართ ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ყველანაირად დაუცველად ვგრძნობ თავს და არც იმის იმედი მაქვს, რომ ოდესმე ვიღაც დამიცავს. არ მეგულება არც ერთი ქართველი, ვინმესი ან რამის არ ეშინოდეს, რადგან საქართველოში დაუცველობის სინდრომი მეფობს. საერთოდ, რომელ სამართალზე მელაპარაკებით?

მაგდა ჩხიკვიშვილი, 35 წლის

- ვიცი ერთი რამ, რომ ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც პოლიციის უფრო მეშინია, ვიდრე ყაჩაღების, მძარცველებისა და ქურდების, რადგან საქართველოში სამართლის პოვნა გაცილებით უფრო ადვილია "შავი სამყაროს" დახმარებით. თუმცა, ბოლო პერიოდში აქაც მძიმე ვითარებაა. ერთი სიტყვით, ამ ქვეყანაში უკვე არანაირი კანონი აღარ მუშაობს – აღარც დაწერილი, აღარც დაუწერელი.

ირაკლი გიგაური, 48 წლის:

- საერთოდ დაუცველი ვარ. არ მაქვს იმედი, რომ თუკი ოდესმე რამე შემემთხვევა, სამართალდამცველები ჩემს უფლებებს დაიცავენ. პირიქით, ზოგჯერ მეშინია კიდეც მათთან ურთიერთობისა, რადგან კაცმა არ იცის, რა შარში გაგხვევენ. ქუჩაში, სამსახურში – ყველგან დაუცველი ვარ. ის, რასაც ადამიანის უფლებები და თავისუფლება ჰქვია, ჩვენს ქვეყანაში ნულოვან დონეზეა. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მაქვს. ეს იმედი არ მომიშალოს ღმერთმა ამ არასამართლებრივ სახელმწიფოში.

გიორგი ჭალაძე, 35 წლის:

- როგორ უნდა ვიგრძნო თავი დაცულად, როცა კანონს უფრო ხშირად თავად კანონდამცველები არღვევენ. ამ ქვეყანაში ხომ მაგათია ყველაფერი. კანონებს საკუთარ თავზე ირგებენ და თან გაიძახიან - თქვენ გიცავთო. არავინ დაიჯეროს, რომ ვინმე გვიცავს. ამ ზღაპრების უკვე ბავშვებსაც არ სჯერათ; არც არასამთავრობოების – ჩვენი დემოკრატიული მონაპოვარის - იმედი უნდა ჰქონდეს ვინმეს. მე, პირადად, მათ გაუთავებელ ჩოჩქოლს დადგმულ სპექტაკლად აღვიქვამ. ერთი სიტყვით, ჩემი უსუსურობის მეშინია, რადგან დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტად არავინ დამიცავს.

ანა მჭედლიძე, 30 წლის

- თავს დაცულად ვერ ვგრძნობ. იმედიც არ მაქვს, რომ უკეთესობისკენ შეიცვლება რამე. ვიცი, ხელისუფლების იმედზე არ უნდა იყო და შენი ღირსება, როგორც მოქალაქემ, თავად უნდა დაიცვა. ხელისუფლებამ კი არ უნდა გვმართოს, ჩვენ უნდა ვმართოთ ისინი, მაგრამ გაიხედეთ - რა ხდება, სურს ვინმეს, რომ საქართველოშიც ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოება? სამწუხაროდ, ეს შორეული პერსპექტივაა.

2002 წელი თვალის ერთი შევლებით

იანვარი

1 ევრო მოვიდა: განხორციელდა ისტორიაში უდიდესი სავალუტო ცვლილება. 12 ევროპულმა ქვეყანამ შემოიღო ევრო, რის შედეგადაც ფრანკი, პესეტა, ლირა, დოიჩმარკა და სხვები ისტორიას ჩაბარდა.

11 ანტი-ტერორისტული ომი: კუბაში, გუანტანამოს ყურეში აშშ-ს საზღვაო ფლოტის ბაზაზე "ალ-ქაიდას" პირველი ტყვეები ჩაიყვანეს.

17 უძლიერესი: კრივის ლეგენდარულმა ჩემპიონმა მუჰამედ ალიმ 60 წლის იუბილე აღნიშნა

თებერვალი

8 ზამთრის ოლიმპიადა: იუტას შტატის დედაქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში მიმდინარე ზამთრის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღეს.

27 მშვენიერი ქალბატონი: ჰოლივუდის მშვენებამ ელიზაბეტ ტეილორმა 70 წლის იუბილე იზეიმა.

27 მკვლელობები გუჯარათში: ჰინდუს აქტივისტებით სავსე მატარებელზე თავდასხმის დროს 58 ადამიანი დაიღუპა. ინციდენტმა სექტანტური დაპირისპირება გამოინვია. რამდენიმე კვირაში ათასამდე მუსლიმი მოკლეს.

მარტი

13 ზიმბაბვე: არჩევნების გაყალბების ბრალდებების მიუხედავად, რობერტ მუგაბე ქვეყნის პრეზიდენტი მეხუთედ გახდა.

24 ტრიუმფი "ოსკარზე": "მშვენიერმა გონებამ", რასელ ქროუს მონანილეობით, ოთხი "ოსკარის" მოპოვება შეძლო. საუკეთესო მსახიობი მამაკაცი შავკანიანი დენზელ ვაშინგტონი გახდა, საუკეთესო მსახიობი ქალი კი – ჰოლი ბერი.

30 დასასრული: 101 წლის დედა-დედოფალი უკანასკნელ გზაზე ათასობით ბრიტანელმა გააცილა.

აპრილი

4 ახლო აღმოსავლეთი: ტერაქტების მთელი სერიის შემდეგ ისრაელის ტანკებმა დასავლეთ სანაპიროზე ხელახლა დაიკავეს პალესტინური ქალაქები.

16 ნიდერლანდური კრიზისი: მინისტრთა მთელი კაბინეტი გადადგა ერთი სკანდალური დოკუმენტის გახმაურების შემდეგ, რომლის მიხედვითაც სრებრენიცას სისხლიან ინციდენტში ჰოლანდიის მთავრობა და სამშვიდობოები იყვნენ გარეულნი.

22 საარჩევნო შოკი: მემარჯვენე ჟან მარი ლე პენმა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწია. თუმცა, საბოლოოდ, ჟაკ შირაკის დამარცხება ვერ შეძლო.

30 არჩევნები პაკისტანში: სახალხო რეფერენდუმში გაიმარჯვა გენერალმა ფერვეზ მუშარაფმა.

მაისი

6 პოლიტიკური მკვლელობა: არჩევნებამდე რვა დღით ადრე მოკლეს მემარჯვენე ჰოლანდიელი პოლიტიკოსი პიმ ფორტინი.

20 მსოფლიოს უახლესი ქვეყანა: აღმოსავლეთ ტიმორმა საბოლოოდ მოიპოვა დამოუკიდებლობა ინდონეზიისგან.

22 დაძაბულობა ქაშმირში: ურთიერთობის დაძაბვა ორ ქვეყანას შორის ლამის ომით დამთავრდა: ინდოეთმა პაკისტანი ქაშმირში ისლამისტი ტერორისტების მხარდაჭერაში დაადანაშაულა და თავისი სამხედრო ფლოტილია პაკისტანის ტერიტორიული წყლებისკენ დაძრა. თავის მხრივ, ისლამაბადმაც სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა.

ივნისი

1 ოქროს იუბილე: ელიზაბეტ მეორის გადედოფლების 50 წლის იუბილე ბუკინგემის სასახლეში წვეულებებითა და კონცერტებით **აღინიშნა.**

11 გენერალური ასამბლეა: ჰამიდ კარზაი ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ხელახლა დაამტკიცეს.

18 უმნიშვნელოვანესი თვე: პოლ მაკარტნი ოქროს იუბილეს ფარგლებში გამართულ პოპ-კონცერტზე გამოვიდა, იქორწინა ფოტომოდელ ჰითერ მილსზე და 60 წლის იუბილე აღნიშნა.

29 მსოფლიო თასი: უმთავრესი საფეხბურთო მოვლენა, რომელიც იაპონია-სამხრეთ კორეაში ჩატარდა, ბრაზილიის სრული ტრიუმფით დასრულდა. სამხრეთ ამერიკელები მსოფლიო თასს მეხუთედ დაეპატრონნენ.

ივლისი

1 საერთაშორისო დანაშაულის სასამართლო: ჰაagაში ძალაში შევიდა ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობდა მსოფლიოში პირველი, მუდმივმოქმედი საერთაშორისო დანაშაულის ტრიბუნალის შექმნას.

4 პერლის ვერდიქტი: პაკისტანელმა მოსამართლემ ოთხი ეჭვმიტანილი სცნო დამნაშავედ "უოლ სტრიტ ჯორნალის" ჟურნალისტის, დენიელ პერლის გატაცებასა და მოკვლაში.

21 კორპორაციული სკანდალი: გაკოტრდა ტელეკომების გიგანტური კომპანია "უორლდ კომი". ეს აშშ-სთვის ყველაზე დიდი კორპორაციული გაკოტრება აღმოჩნდა.

27 ტრაგედია საავიაციო შოუზე: ლვოვთან ახლოს გამართულ ავია-შოუზე ჩამოვარდა თვითმფრინავი, რის შედეგადაც 83 მაყურებელი დაიღუპა.

აგვისტო

16 ელვისი: ფანებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით თავიანთი კერპის, ელვის პრესლის გარდაცვალების 25 წლისთავი აღნიშნეს. გრეისლენდის რეზიდენციასთან, თავსხმა წვიმაში 40 ათასი ადამიანი შეიკრიბა და პრესლის სანთლები დაუნთო.

19 ტერორისტი დაიღუპა: 70-80-იან წლებში უამრავი ტერაქტის ორგანიზატორმა, ცნობილმა პალესტინელმა ტერორისტმა აბუ ნიდალმა თავი მოიკლა.

26 სამხრეთ აფრიკის სამიტი: იოჰანესბურგში გაიმართა მსოფლიოს ლიდერების სამიტი მდგრადი განვითარების შესახებ, რაც სიღარიბის დაძლევასა და პლანეტის ბუნებრივი რესურსების გადარჩენას გულისხმობს.

სექტემბერი

11 ერთი წლის შემდეგ: ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 11 სექტემბერის ტერაქტების ერთი წლისთავი აღნიშნეს.

13 ერაყი: აშშ-ს ცენტრალურმა სარდლობამ დაიწყო თავისი შტაბ-ბინის გადატანა ფლორიდიდან ყატარში, ალ-უდეიდის ავიაბაზაზე გადაიტანა, რის საფუძველზეც გავრცელდა ხმები, რომ ვაშინგტონი ერაყზე თავდასხმას გეგმავდა.

23 არჩევნები გერმანიაში: კანცლერ გერჰარდ შრიოდერის სოციალ-დემოკარტიული პარტიის კოალიციამ არჩევნებში უმნიშვნელო პროცენტული განსხვავებით გაიმარჯვა.

ოქტომბერი

2 სნაიპერი: ვაშინგტონს სამი კვირის განმავლობაში ატერორებდნენ და ზაფრავდნენ უცნობი მკვლელები.

12 ტერაქტი ბალიზე: მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბით ააფეთქეს ორი ღამის კლუბი, დაიღუპა 180 ადამიანი, უმრავლესობა დასავლელი ტურისტი. ტერაქტი, რომლის ორგანიზატორადაც "ალ ქაიდას" მიიჩნევენ, 11 სექტემბრის შემდეგ ყველაზე სისხლიანი ტერაქტი იყო.

26 მოსკოვის თეატრი: რუსმა სამხედროებმა გაზი გაუშვეს თეატრში, რომელშიც 700 მძევალი და ჩეჩენი კამიკაძეები იმყოფებოდნენ. შედეგად 120 მძევალი და ყველა ჩეჩენი დაიღუპა.

ნოემბერი

15 ჩინური ცვლილება: ძიან ძემინს 2003 წელს ახალი კომუნისტური პარტიის ლიდერი ჰუ ძინტაო შეცვლის.

19 ნავთობი: ზღვაში ჩაღვრილმა ათასობით ტონა საწვავმა ესპანეთის ჩრდილოდასავლური სანაპირო დააბინძურა.

28 კენია: მომბასაში ისრაელელების კუთვნილი სასტუმრო მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბის ამოქმედების შედეგად აფეთქდა. იმავდროულად ორი რაკეტა გაუშვეს ისრაელის თვითმფრინავის მიმართულებითაც, რომელიც ქალაქის აეროპორტიდან აფრინდა.

დეკემბერი

5 კერპი: როკ-ენ-როლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლიტლ რიჩარდი 70 წლის გახდა.

12 ბირთვული საფრთხე: გავრცელდა ჩრდილოეთ კორეის ოფიციალური განცხადება, რომელშიც მთავრობა 1994 წლიდან დაკონსერვებული ბირთვული იარაღის პროგრამების ამოქმედებით იმუქრებოდა, თუ ამერიკა ჩრდილოეთ კორეას საწვავით მომარაგებას შეუწყვეტდა.

13 მატება ოჯახში: ევროკავშირს 2004 წელს ათი ახალი წევრი შეემატება, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპიდან.

20 მზადება ომისთვის: ყურეში გრძელდება საერთაშორისო სამხედრო ძალების მობილიზება. სამი ამერიკული სამხედრო ავიამზიდი ერაყიდან საბრძოლო დისტანციაზეა მოთავსებული.

30 არჩევნები პაკისტანში: სახალხო რეფერენდუმში გაიმარჯვა გენერალმა ფერვეზ მუშარაფმა.

Pictures: Associated Press. Caricatures: Bob Hoare © GRAPHIC NEWS

მსოფლიო კალენდარი

2003

27 იანვარი, ნიუ-იორკი: გაეროს მთავარი ინსპექტორი ჰანს ბლიქსი უშიშროების საბჭოს წინაშე ერაყის შესახებ ამომწურავი მოხსენებით წარსდგება. ეს გამოსვლა შეეხება 60 დღიანი ვადის გასვლას, რომლის განმავლობაშიც მასობრივი განადგურების იარაღის ძებნა და ინსპექტირება უნდა დასრულებულიყო.

29 მაისი, ევერესტი: აღინიშნება ევერესტის პირველი დალაშქვრის 50 წლის იუბილე. პირველად მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ახალ ზელანდიელი სერ ედმუნდ ჰილარი და ნეპალელი ტენსინგ ნორგეი ავიდნენ.

14 სექტემბერი, შვედეთი: 8.9 მილიონი შვედი ევროს შემოღებას უყრის კენჭს. ფინეთი ამ ეტაპზე ერთადერთი სკანდინავიური ქვეყანაა, რომელიც ევროს ვალუტას იყენებს.

15 იანვარი, ჩეხეთი: პარლამენტი ახალ პრეზიდენტს აირჩევს. ვაცლავ ჰაველი პოსტს 14-წლიანი მმართველობის შემდეგ გამოემშვიდობება.

ივნისი, ყაზახეთი: კალიფორნიული "ტრანს ორბიტალი" მთვარეზე სპეციალურ ხელსაწყოს გაგზავნის, რომელიც გამოიცვლევს მთვარის ზედაპირს და შექმნის მის რუქას. ეს მთვარეზე ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

Trans Orbital

28 იანვარი, ისრაელი: არიელ შარონის კოალიციური მთავრობის მარცხის გამო ვადამდელი არჩევნები გაიმართება. ახალ ლეიბორისტთა ლიდერი ამრამ მიცნა, გამარჯვების შემთხვევაში, მოსახლეობას სამშვიდობო მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ განახლებას ჰპირდება.

2 ივნისი, ეგვიპტე: მთავრობა გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულ დიზაინს მსოფლიოში უდიდესი ეგვიპტური მუზეუმისთვის, რომელშიც გამოფენენ ექსპონატებს **ტუტანჰამონის** აკლდამიდანაც.

აგვისტო, ვენესუელა: შესაძლებელია, ჩატარდეს ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც პრეზიდენტ ჰუგო ჩავესის მმართველობის შუა პერიოდს დაემთხვევა.

თებერვალი, სპორტი: უმნიშვნელოვანესი თვე სპორტსმენებისთვის: გაიმართება ამერიკის თასი, კრიკეტის მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში. ოქტომბერში კი – ავსტრალიაში რაგბის მსოფლიო თასი.

მაისი, რუსეთი: პეტერბურგი, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის დედაქალაქი იყო, 300 წლის იუბილეს ზეიმობს.

Research: Kate Edgley Pictures: Associated Press

© GRAPHIC NEWS

ლიტერატურული მარათონი - 2002

თამარ სუხიშვილი

ცხენის წელიწადი "წიგნიერი" წელიწადი გამოდგა: გამოვიდა ბევრი ახალი წიგნი, როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო, გაიმართა საინტერესო შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, გამოცოცხლდა აქამდე მიძინებული გამომცემლობები, იყო წიგნის ფესტივალი, რამდენიმე ლიტერატურული კონკურსი და ბოლოს ეს ყველაფერი წიგნის მაღაზიის დაარსებით დაგვირგვინდა.

2002 წლის ქართული ლიტერატურული მარათონი წარმატებით ჩათავდა. შეიძლება ითქვას, ამ მარათონმა სტარტი ზამთრის ძილის მერე, გაზაფხულის დასაწყისში აიღო და ისეთი სიჩქარე აკრიფა, რომ... მაგრამ, მოდით, ყველაფერი თავიდან – ანუ ცნობილი პენმარათონიდან დავიწყოთ.

ლევან ხარიზანოვის ფოტო

წიგნის IV ფესტივალზე

"წერე, წერე, ჩემო ვარდენ", ანუ პენ-მარათონი 2002

ვინ იქნება წერას ატანილი (პირდაპირი მნიშვნელობით) იღბლიანი გამარჯვებული? – ეს კითხვა თითქმის მთელი ერთი თვის განმავლობაში არ ასვენებდათ ლიტერატურის მოყვარულებს, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ 25 აპრილის დადგომას – გამომცემლობა "დიოგენეს" ლიტერატურული კონკურსის, "პენ-მარათონის" შედეგების გამოცხადებას. შესარჩევ ეტაპზე კონკურსში 660 კაცი მონაწილეობდა, მონაწილე ქალების რიცხვი ბევრად აღემატებოდა მონაწილე მამაკაცებისას. პენ-მარათონის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე 11 წლის იყო, ყველაზე ხანდაზმული – 79-ის. კონკურსის მეორე ეტაპზე გასვლის უფლება 26-მა ავტორმა მოიპოვა. 26-მა იმიტომ, რომ კლუბი "100% Kotten", რომელშიც 22 მარტს 12-საათიანი საკალმო პაექრობა გაიმართა, მეტს ვერ დაიტევდა.

"რამდენიმე გაკვეთილი საკმარისი აღმოჩნდა..." - ასე ჟღერდა საწყისი საკონკურსო ფრაზა; ფრაზის გაგრძელების 10 საუკეთესო ვარიანტი მკითხველს უკვე "დიოგენეს" მეირ დასტამბულ წიგნში შეუძლია იხილოს. ჯილდო ხუთ ავტორს გადაეცა. ამ კონკურსმა გამოავლინა გამარჯვებული, რომლის ნაწერებსაც მანამდე თითქმის არავინ იცნობდა – ეს გახლდათ გელა ჩქვანავა, რომელიც მოთხრობისათვის "მემენტო მორი ანუ სწავლა სიკვდიმდე შენია" "ვერცხლის დიოგენეს" მფლობელი გახდა.

მე კი პენ-მარათონის წერასატანილ მონაწილეთა ანუ მწერლის "სახელოსათვის" (და სახელისათვის) მოზღვავებულ მსურველთა რაოდენობით შეცბუნებულს, აკაკის ეპიგრამა გამახსენდა:

"წერე, წერე, ჩემო ვარდენ,
მტერს დაასვი ისარიო,
თუ მწერალი არ გამოხვალ,
წერას მაინც ისწავლიო".

მართლაც ბრძენი იყო აკაკი, ჩვენს ქვეყანაში სხვა საქმე არ ჩანს და მთავრობასა და პარლამენტში გაძრომ-გამოძრომას, ერთმანეთზე "დანოსების" წერას, ერთმანეთის ლანძღვა-გინებას და ბორჯომით გაწუწვას, ქვეყნის დაქცევასა და გაწეწვას ისევ ლიტერატურული ვარჯიშები ჯობია. იქნებ რამდენიმე წლის შემდეგ საწყისი საკონკურსო ფრაზა ასეთიც კი იყოს: "რამდენიმე კონკურსი საკმარისი აღმოჩნდა..." და ეს ფრაზა შეჯიბრის მონაწილეებმა ასეთნაირად დაასრულონ – და საქართველო ნამდვილად თავისუფალი, დემოკრატიული და ძლიერი ქვეყანა გახდა...

"კვალის" ლიტერატურული კონკურსის სოლიდური პრიზები

ზაფხულში კიდევ ერთი ლიტერატურული კონკურსი გამოცხადდა – პროზაულ და დრამატურგიულ დარგში. ეს იყო ინტერნეტ-გაზეთ "კვალის" კონკურსი, რომლის თემატიკა თანამედროვეობის პრობლემების ასახვით შემოიფარგლებოდა და რომელშიც საქართველოში მცხოვრებ ავტორებთან ერთად უცხოეთში მცხოვრები რამდენიმე ქართველიც მონაწილეობდა. ახალი სახელი ამ კონკურსმაც გამოავლინა. დრამატურგიაში I პრემია მწერალ ვანო ჩხიკვაძეს ხვდა წილად. მისი პიესა "მონოლოგი ერთი მსახიობის თეატრისათვის" ავტორის პირველი მცდელობაა დრამატურგიაში.

სხვათა შორის, სხვებთან ერთად მეც გაკვირვებული დავრჩი, როცა პროზაულ ნაწარმოებზე I პრემია არ გაცემულა, არადა, მასალების განხილვის დროს ჟიურის წევრები დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ საკონკურსო ნამუშევრები საკმაოდ მაღალმხატვრულ დონეზე იყო შესრულებული.

"კვალის" კონკურსი სოლიდური ფულადი პრიზებით გამოირჩეოდა, და ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო ქართველი მწერლებისათვის, რომლებიც ლიტერატურული კონკურსებით განებივრებულნი არ არიან.

წიგნის ფესტივალმა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის კონკურენციას გაუძლო

"კვალის" ზემოხსენებული კონკურსის გამოცხადებამდე რამდენიმე ხნით ადრე კიდევ ერთი სერიოზული კონკურსის გამარჯვებულები გავიცანით – თბილისის წიგნის IV ფესტივალის ლაურეატები.

უნდა ითქვას, რომ 2002 წლის ფესტივალს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა: ჯერ ერთი, ამ წელს პირველად გაიმართა თბილისში წიგნის ფესტივალი და არა ბაზრობა. მეორეც, ფესტივალი შესანიშნავად იყო ორგანიზებული საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაციის მიერ, მასში 70-ზე მეტმა გამომცემლობამ მიიღო მონაწილეობა: "აზრი", "ლოგოს პრესი", "საარი", "დიოგენე", "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", "ლიტერა"... მესამე, ეს იყო საერთაშორისო ფესტივალი, მეოთხე, როგორც ფესტივალის საპატიო სტუმარმა, აზერბაიჯანელ გამომცემელთა ორგანიზაცია "ნაშირის" წარმომადგენელმაც განაცხადა, ამ ერთი წლის განმავლობაში საგრძნობლად ამაღლდა საქართველოში გამოცემულ წიგნთა პოლიგრაფიული დონე და ტირაჟი, გაუმჯობესდა გამოცემათა ხარისხი.

და ბოლოს, 2002 წელს წიგნის ფესტივალმა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის კონკურენციას გაუძლო.

თბილისური ბესტსელერები - "ალი და ნინო" და აკადან ჰარიმდე

2002 წელს მსოფლიო ბესტსელერი "ალი და ნინო" თბილისშიც ბესტსელერად იქცა. ეს წიგნი ქართველმა მკითხველმა ჯერ ქარვასლას აღმოსავლურ გარემოში გამართულ პრეზენტაციაზე დაიტაცა, მერე კი – წიგნის ფესტივალზე. "რომანი მათთვის, ვისაც წიგნის კითხვა არ უყვარს" – ასეთი აღმოსავლურად ორაზროვანი რეკლამა გაუკეთეს "დიოგენეს" გამომცემლებმა "ალი და ნინოს" და ბევრისთვის დღემდე გაუგებარი დარჩა, რა ხიბლავდა მკითხველს ამ რომანში: დასავლურ-აღმოსავლური სინთეზი, რომანის გმირების რომანტიკული სიყვარულის ისტორია, "გაურჯულოებული" გერმანულენოვანი მწერლის, ყურბან საიდის იდუმალებით მოცული ცხოვრება, "შერეული" ქორწინება თუ ეს ყველაფერი ერთად...

"ალი და ნინო" ჯერ კიდევ ხელიდან ხელში გადადიოდა, როცა "დიოგენეს" სერიოზულმა კონკურენტმა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" ინტერვიუებში მიანიშნა: წლის ბოლოს ჩვენი გამომცემლობა წლის ბესტსელერს გიმზადებთო. ნათქვამი ასრულდა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო – მსოფლიო პოტერომანია საქართველოსაც გადმოედო. ვერცერთ პრეზენტაციაზე ვერ ნახავდით იმდენ ბავშვს, რამდენიც ამ დაუდგრომელი "ჰარი პოტერის" პრეზენტაციაზე შეგროვდა. "ჰარი პოტერმა" საპრეზენტაციო რეკორდი მოხსნა. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" თუ ძველი წლის დასაწყისში აკა მორჩილაძის რომანებით იწონებდა თავს, ახლა, ახალი წლის დასაწყისში "ჰარი პოტერით" თავმომწონეობს.

წლის რეკორდსმენი - აკა მორჩილაძე

შემოქმედებითი აქტივობითა და ნაყოფიერი მუშაობით წლის რეკორდსმენობა გიო ახვლედიანს, იგივე აკა მორჩილაძეს წელსაც არავისთვის დაუთმია. შეიძლება ითქვას, რეკორდული მაჩვენებლებით ის ჯუმბერ ლეჟავას არ ჩამორჩა. წიგნის IV ფესტივალზე "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" წიგნებიდან ყველაზე მეტი მისი "შენი თავგადასავალი" გაიყიდა, რომელიც "გადაკარგულ მეგობრებს" ეძღვნება და მრავალ ეპიგრაფს შორის სტენდალის სიტყვებიც აქვს წამძღვარებული: "ეს აბსურდია, მაგრამ უნდა დავტოვო, რადგან მკითხველს გაართობს". რომანი ფესტივალის ლაურეატი გახდა, თუმცა ლიტერატურის მოყვარულებმა ისიც აღნიშნეს, გიოს მოთხრობების კრებული "შობა ღამის ალქაჯები" ამ რომანს ბევრად ჯობიაო. 6 დეკემბერს გიო ახვლედიანმა ახალი რომანით გააოცა მკითხველი, "სხვა" მან ზაფხულში ორ კვირაში დაწერა, თანაც არამორჩილაძისეულად და ეს სახელიც იმიტომ შეარჩია. აკა მორჩილაძის ერთი რომანი "ძირს სიმინდის რესპუბლიკა" "24 საათის" დამატებაში იბეჭდებოდა. ამ რომანმა აკა მორჩილაძეს ხანდაზმული მკითხველებიც მოუპოვა, რომელთაც რომანის სათაურის ასოციაციით სოცრეალიზმის საეტაპო ნაწარმოები "კოლხეთის ცისკარი" ახსენდებათ; "კოლხეთის ცისკრის" თავდაპირველი სათაური ხომ "ძირს სიმინდის რესპუბლიკა" იყო, ამ სათაურმა კონიუნქტურის შესაბამისად მრავალჯერადი ცვლილებები განიცადა: "იმერეთი", "იმერეთის ცისკარი"... ერთხელ, ხრუშჩოვბულგანინის მმართველობის დროს, "ამერიკის ხმის" ქართულ რადიოს ასე გადმოუცია: ახლა, როცა სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ სიმინდის მარშალი ბულგანინი და სიმინდის სპეციალისტი ხრუშჩოვი, იქნებ ავტორმა კიდევ ერთხელ გადახედოს სათაურს და "გაუმარჯოს სიმინდის რესპუბლიკას" დაარქვასო...

ახალი გამოცემები

ბესტსელერები ბესტსელერებად რჩება, მაგრამ, ბუნებრივია, "ალი და ნინო" ან "ჰარი პოტერი" ლიტერატურული პროცესის განვითარების თვალსაზრისით ორიენტირად ვერ გამოდგება. ამიტომ აქვე იმ რამდენიმე მნიშვნელოვან გამოცემასაც ჩამოვთვლით, წლეულს საქართველოში რომ დაიბეჭდა.

სამეცნიერო ნაშრომებს შორის, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ივანე ჯავახიშვილის რჩეულ ტომებს საქართველოში პირველი პერსონალური ენციკლოპედია შეემატა. გამოვიდა მეგრულ-ქართული ლექსიკონის II ტომი (გამოსაცემად მომზადდა III ტომიც), რაც ქართველოლოგებისთვის დიდი საჩუქარია, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი და სხვა მრავალი. წელსვე გამოვიდა ძველი ბერძნული ლირიკის თარგმანთა კრებული "ჰელიკონი" და ამის პარალელურად ათენში გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია ბერძნულ ენაზე, რომლის პრეზენტაცია თბილისშიც მოეწყო და რომლის გამოცემასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. სტუდენტებისთვის და საერთოდ ანტიკურობით დაინტერესებულ პირთათვის წიგნის თაროებზე "ბერძნული ლიტერატურა" დაიდო, ამას მოჰყვა არისტოფანეს კომედიების ხუთტომეულის პირველი ტომი. თანამედროვე ქართული ლიტერატურის ბიბლიოთეკას შეემატა რეზო გაბრიაძის, გიო ახვლედიანის, ირაკლი ჯავახაძის, დათო მაღრაძის და სხვათა ახალი წიგნები. ახალი წლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კი ვახუშტი კოტეტიშვილის ბრწყინვალე თარგმანების კრებულმა – "აღმოსავლურ-დასავლურმა დივანმა" გაგვახარა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უკვე გამოცემულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ხელახალი გამოცემები, მაგალითად, გამომცემლობა "სანის" 2002 წლის ყველაზე დიდი პროექტი – გურამ დოჩანაშვილის "სამოსელი პირველი", რომანი, რომელიც, როგორც მწერალმა ზაალ სამადაშვილმა თქვა, თავის დროზე ისე შემოიჭრა ახალგაზრდების ცხოვრებაში, როგორც ჯონ ლენონის ან "როლინგ სტოუნზის" სიმღერებიო.

უკვე გამოცემული წიგნების ხელახალი დასტამბვის სამზადისი დაიჭირა გამომცემლობა "ლომისმა", რომლის რამდენიმე გამოცემა უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

რაც შეეხება პერიოდულ ლიტერატურულ – სულ თითზე ჩამოსათვლელ გამოცემებს, მკითხველის სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ შეწყდა პოპულარული "ქომაგის" არსებობა (როგორც ამბობენ, დროებით, მაგრამ ეს დროებით რამდენია, არავინ იცის). თუმცა, თუ "არილელთა" პრაქტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, სადღაც წლის დასაწყისისთვის ეს ჟურნალი ისევ უნდა ვიხილოთ. 2002 წელს "არილი" რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ განახლდა და მკითხველმა მისი III, IV და V ნომრები ბესიკ ხარანაულის ახალი პოემით მიიღო. "ახალი ეპოქის" მუდმივ ლიტერატურულ საგაზეთო დამატებას კი "24 საათის" ლიტერტურული დამატებაც მიემატა და მკითხველის გარკვეული წრეც შეიძინა...

მოკლედ, 2002 წელი ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ბევრი სიახლითა და სიურპრიზით აღინიშნა. ქართულ გამომცემლობებს შორის ჯანსაღმა კონკურენციამ ერთგვარი ლოგიკური შედეგი ჰპოვა წიგნის მაღაზია "პარნასის" დაარსებით. შეიძლება ბევრი რამ გამოგვრჩა, მაგრამ ამხელა ჩამონათვალში რაღაც რომ გამოგრჩება, ეს უკვე კარგის ნიშანია.

დასრულდა 2002 წლის ლიტერატურული მარათონი. მე კი მარათონის ბრძოლის მაცნესავით სულმოუთქმელად მინდა გახაროთ, რომ გავიმარჯვეთ. მაგრამ ეს ლიტერატურული მინიშნება მარათონის ბრძოლასთან აქ თავდება და იმედია, რომ მეც, თქვენი მონა-მორჩილი, უკეთესი მომავლის რწმენით თქვენთან ერთად შევხვდები ახალ წელს.

ახალი დადგმების მოლოდინში

"24 საათის" თეატრალური მიმოხილვა

თეონა ჯაფარიძე.

2002 წლის თეატრალური სეზონი ბევრისათვის შესაძლოა "მსოფლიო პრემიერასთან" – მიუზიკლ "ნორდოსტთან" ასოცირდება, მაგრამ ეს ხომ პოლიტიკური სცენაა. პოლიტიკურ სცენაზე დადგმული უნიჭო სპექტაკლებით ქართველებიც განებივრებულნი ვართ, მაგრამ მოდით ნამდვილ თეატრალურ სეზონს გადავავლოთ თვალი; 2002 წელი, როგორც ამ ბოლოს დროს უყვართ ხოლმე თქმა, ქართულ თეატრალურ სივრცეში ნამდვილი "აღმშენებლობით" გამოირჩევა. რუსთაველის თეატრში წელს დაწყებული გრანდიოზული რეკონსტრუქცია, 2004 წლის შემოდგომაზე დასრულდება. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინო-მსახიობთა თეატრშიც, რის გამოც თეატრმა წლევანდელ სეზონზე ჩვეულ რიტმში ვერ იმუშავა. "თეატრალური სარდაფი" კი, მორიგ პრემიერას "ვენეციელ ვაჭარს" იანვრის ბოლოს ახლად აშენებულ თეატრში ითამაშებს.

რუსთაველის "გოდო"

სარდაფის "თაგვი"

წლევანდელი თეატრალური სეზონი, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის პრემიერით დაიხურა. თეატრის დასმა ჯუზეპე ვერდის "მაკბეტი" წარმოადგინა. თეატრალურმა კრიტიკამ ერთხმად აღნიშნა ოპერის გუნდის საკმაოდ დიდი შესაძლებლობები, ოპერის სცენაზე ახალგაზრდა სოლისტის – ირმა ბერძენიშვილის გამოჩენა და რა თქმა უნდა გურამ მელივას რეჟისურა და მცირეიუჯეტიანი სცენოგრაფია. ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ თეატრს, პარტიტურა და კლავირი, ცნობილმა საოპერო მომღერალმა ლადო ათანელმა აჩუქა. 2002 წლის თეატრალური სეზონი იმითაც დაამახსოვრდებათ თეატრალებს, რომ "მაკბეტის" პრემიერა ორი დიდი მაესტროს – ჯანსუღ კახიძისა და კოტე მახარაძის ხსოვნას მიეძღვნა.

გაზეთი "24 საათი" წლის ყველაზე აქტიური თეატრალის გამოვლენით დინტერესდა: როგორც აღმოჩნდა, თეატრის კრიტიკოსების გარდა, წელს ყველაზე მეტი სპექტაკლი მხატვარ გია მირზაშვილს უნახავს "წელს დადგმული სპექტაკლების თითქმის 80 პროცენტი ვნახე. ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, ლევან წულაძის მიერ თეატრალურ სარდაფში დადგმულმა სპექტაკლმა – "მეტამორფოზამ" მოახდინა" – ამბობს წლის ყველაზე აქტიური მაყურებელი.

როგორც ყოველთვის, ასევე წელსაც აქტიურობით "თეატრალური სარდაფი" გამოირჩეოდა. გაზეთმა "24-მა საათმა", ალბათ ყველა დაგვეთანხმება, ის ყველაზე პროდუქტიულ თეატრად დაასახელა. "თეატრალური სარდაფის" თინეიჯერული პუბლიკით ყოველთვის გაჭედილი დარბაზი, საშუალოდ თვეში ორ პრემიერას მაინც მასპინძლობს. მარტო ნოემბრის თვეში აქ ოთხი სპექტაკლი დაიდგა.

2002 წელს თეატრალურ ინსტიტუტში სტუდენტური სპექტაკლებისა და ფილმების კონკურს-ფესტივალი გაიმართა. კონკურსზე 10 სპექტაკლი და 50 ფილმი იყო ნაჩვენები. თეატრალური გრანპრი ამ კონკურსისთვის გაზეთმა "24 საათმა" დააწესა.

წლის პრემიერად კი "24 საათმა" რუსთაველის თეატრის სპექტაკლი "გოდოს მოლოდინი" აღიარა. პუბლიკა მოუთმენლად ელოდა გოდოს. ბეკეტისეულ ღმერთის ძიებისა და აბსურდული მოლოდინის სტურუასეულმა ინტერპრეტაციამ, სექტემბრის ბოლოს დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია და თეატრალთა აზრი ორად გაჰყო. და მაინც, დამეთანხმებით, 2002 წლის თეატრალური სეზონიდან მაყურებელს მკაფიოდ დაამახსოვრდება სცენები და ტიპაჟები ამ სპექტაკლიდან: ორი შეშლილი მაწანწალა რორო და დიდი, (ზაზა პაპუაშვილისა და ლევან ბერიკაშვილის განუყრელი დუეტი) ან კიდევ პოცოსა და ლაქის გმოსვლის ყველაზე შთამბეჭდავი სცენა. (ამირან ამირანაშვილი და გოგა გველესიანი) სტურუამ მხოლოდ "გოდოს მოლოდინის" პირველი მოქმედება დადგა დიდი ყვითელმთვარიანი ფინალითა და ფინალში ლექსით, რომელიც ვინც სპექტაკლი ნახა ალბათ ყველას ახსოვს:

"ძაღლი დუქანში შეიპარა
პურის ქერქი მოიპარა,
თავში ჩასცხეს ქუდი
განუტევა სული"...

ანტრაქტის გარეშე, შეუსვენებლად 2003 წლის თეატრალური სეზონი იწყება. პუბლიკა მას მოუთმენლად ელის.

ვარიაციები კლასიკურ თემებზე

მადი სერებრიაკოვა

ისეთი ეკონომიური შესაძლებლობების ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, კლასიკური მუსიკალური კულტურის განვითარება, მართლაც, დიდი ფუფუნებაა. ევროპის განვითარებული ქვეყნების სახელოვნებო წრეებში, წამყვანი შემსრულებლების, რეჟისორების, თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების მმართველების ინტერვიუებშიც კი ხშირად გაისმის წუწუნი, იმის შესახებ, რომ პროფესიული ხელოვნება კომერციული თვალსაზრისით არცთუ მომგებიანი სფეროა. სახელმწიფო სუბსიდირება და კერძო სპონსორობა კი, მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამ ფონზე 2002 წელს საქართველოში ჩატარებულ ღონისძიებებს, უცხოეთში ქართველი მუსიკოსების მიერ მოპოვებულ წარმატებებსა და ქართული პროფესიული ხელოვნების პრეზენტაციებს თუ შევაჯამებთ, უკმაყოფილების მიზეზი ნაკლებად გვექნება. თუმცა, თვითკმაყოფილებამდე ჯერ ძალიან შორია.

გასული წელი საქართველოში რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი მუსიკალური ფესტივალით აღინიშნა – მსხვილმასშტაბიანი, როგორც მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, ისე პრესტიჟულობის ხარისხით. "ხელოვნების ზეიმი", რომელიც ლიანა ისაკაძის თაოსნობით, 12-28 ივლისს ბორჯომში გაიმართა, გარკვეულ გადაძახილს წარმოადგენდა დიტცენბახის საერთაშორისო ფესტივალთან. ამ უკანასკნელის დირექტორი, მაინცის უნივერსიტეტის პროფესორი, დირიჟორი, კომპოზიტორი, პიანისტი, ვოკალისტი უვე ბერკემერი თავად გახლდათ ბორჯომის სტუმარი და მოცარტის, ბახისა და ბრიტენის გვერდით, "სულიკოს" საკუთარი ინტერპრეტაციაც გააჟღერა. ფესტივალმა სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების მუსიკას მოუყარა თავი: კლასიკა, იმპროვიზაციული ჯაზი და თანამედროვე მუსიკა. ფესტივალის სტუმრებს შორის კი ვიქტორ პიკაიზენი, კაროლინა ჰაფნერი, ერო ჰეინონენი, ვალოდია ტარასოვი და სხვა საკმაოდ ცნობილი მუსიკოსები იყვნენ.

ბორჯომის "ხელოვნების ზეიმთან" შედარებით უფრო თავშეკავებულ სახელს ატარებს "შემოდგომის თბილისი", თუმცა ხარისხითა და მუსიკალური ღირებულებით, იგი ალბათ, წლის უმნიშვნელოვანესი მუსიკალური მოვლენა იყო. "შემოდგომის თბილისი" წელს 10 წლიან იუბილეს ზეიმობდა, თუმცა ფესტივალის დამფუძნებლის, გამოჩენილი დირიჟორის ჯანსუღ კახიძის გარდაცვალების გამო, თბილისის სიმფონიურ ორკესტრსა და მის ახალ დირიჟორს, ვატო კახიძეს საზეიმო განწყობა ალბათ ნაკლებად ჰქონდათ. მეორეს მხრივ, განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა და რეჟიმის წყალობით, თბილისის ორკესტრი ბრწყინვალე ფორმაში წარსდგა. ისეთი ვარასკვლავების ფონზეც კი, როგორიც იური ბაშმეტი, ვიქტორ ტრეტიაკოვი, ნატალია გუტმანი, გარი ჰოფმანი ანდა ჩვენი შორეული თანამემამულენი ელისო ვირსალაძე და ალექსანდრე კორსანტიაა – ორკესტრი "ფონის" მოკძალებული როლით არასოდეს კმაყოფილდებოდა და თითქმის ყველა კონცერტზე შესანიშნავი ანსამბლის მოწმენი ვიყავით.

მიუხედავად ასეთი მოვლენებისა, ვერ ვიტყვი, რომ ყოველი კონცერტი ანშლაგით მიმდინარეობდა. თუ არ ჩავთვლით ბაშმეტს, ვირსალაძისა და კორსანტიას, რომელთა პოპულარობა თბილისში ალბათ ცნობადობის უფრო მაღალ ხარისხს უკავშირდება: კონცერტებს ძირითადად მელომანთა საკმაოდ შეზღუდული კონტიგენტი ესწრებოდა; აქ შეიძლება ერთი ცნობილი დირიჟორის ანეგდოტური ისტორია გავიხსენოთ, რომელიც ჩვენი არ იყოს, თავს იმით იმშვიდებდა - "ცარიელ დარბაზში მუსიკა უკეთესად ჟღერსო".

უფრო ეკლიანი გზებით მოდის საქართველოში თანამედროვე პროფესიული მუსიკა. ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა კონცერტები ჯერაც პროვინციული თვითშემოქმედების ანტურაჟს ატარებს (საბედნიეროდ, ეს უმეტეს შემთხვევაში, მუსიკის ხარისხთან არ არის დაკავშირებული). საგასტროლოდ ჩამოსული მუსიკოსების კონცერტებიდან კი, სამაგალითოდ ქართულ-ამერიკულ ექსპერიმენტს - "8 შაშვი საქართველოდან" გავიხსენებთ. ამერიკელმა ტრომბონისტმა და კომპოზიტორმა პიტერ ზუმომ რამდენიმე ქართველ მუსიკოსს მოუყარა თავი და კონსერვატორიის დიდ დარბაზში საინტერესო ექსპერიმენტი განახორციელა. დარბაზის სხვადასხვა წერტილში განლაგებული მუსიკოსები ეგზოტიკური ჩიტების გალობას ასრულებდნენ (მათი მუსიკაულური ფრაზები ჩიტების გალობის ჩანაწერის გაშიფვრის შედეგად შეიქმნა). ნაწარმოების დასასრულს კი დარბაზში ფოლკლორული ანსამბლის, "მართვეს" ბიჭები შემოვიდნენ ტრადიციული "ნადურით". უნდა აღინიშნოს, რომ მსმენელთა ძირითადი ნაწილი სწორედ მათი გულშემატკივრები იყვნენ. შესაბამისად, ამერიკელი კომპოზიტორების შემოქმედებას დარბაზი საკმაოდ ურცხვი სიცილით ეგებებოდა. ხოლო, როდესაც სცენაზე "მართვე" გამოჩნდა, ჩემს მეზობლად მსხდომთაგან ერთ-ერთს დანანებით ასეთი ფრაზაც წამოსცდა: "წაგვეყვანა ეს ბიჭები სადმე ბუნებაში, კაი ღვინო და... კარგა მოვილხენდითო". რამოდენიმე თვის შემდეგ, იგივე ექსპერიმენტი (დარბაზში განლაგებულ მუსიკოსებს ვგულისხმობ) ნიკა მემანიშვილმაც გაიმეორა კონსერვატორიის დარბაზში. ამერიკელებისგან განსხვავებით, ნიკას მქუხარე ტაში და ოვაცია არ დაკლებია. ამ შემთხვევაში დიდი უსამართლობა იქნებოდა ნიკა მემანიშვილის ფონზე ამერიკელების პროფესიონალიზმი დაგვეყენებინა ეჭვქვეშ. ვფიქრობ, აქაც ცნობადობის ხარისხმა იმოქმედა, რომლის

გილოცავ ღირსების ორდენს.

ბესიკ ბესელიას ფოტო

წინაშეც საშემსრულებლო ოსტატობა და კომპოზიციური ნოვაცია უძლური აღმოჩნდა.

ამ შემოდგომაზე კიდევ ერთი იუბილე ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს უკავშირდებოდა. ორკესტრის ხელმძღვანელობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება მოაწყო. მართალია, ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირიჟორის ვახტანგ მაჭავარიანის ინიციატივებს ისეთი მწყობრი სახე არ ჰქონდა, როგორიც ზემოთჩამოთვლილი ფესტივალებია. სამაგიეროდ იგი დროის შედარებით განელილ მონაკვეთში მნიშვნელოვან სოლისტებსა და ორიგინალურ რეპერტუარს უყრიდა თავს. შეიძლება ითქვას, გასული წელი საქართველოში ვერდის რენესანსით აღინიშნა. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ინიციატივით სექტემბერ-ოქტომბერში მისი რეკვიემი და "ფალსტაფი" შესრულდა.

"ფალსტაფის" საკონცერტო შესრულება საქართველოში ფაქტობრივად ამ ოპერის პრემიერას უდრიდა. მართალია, იგი მთლინად მოწვეული სოლისტებით იყო დაკომპლექტებული (გიუნთერ ფონ კანენი, მარტინ კრენცლე, ნაილა ვან ინგენი, ბეა რობინი, კლარა ვიტი) და ჯერჯერობით სცენიური განხორციელებაც არ არის გეგმაში, თუმცა გაცნობაც უკვე საქმეა. მაჭავარიანმა ქართველი ვარსკვლავებიც გაგვახსენა, პაატა ბურჭულაძემ, მაყვალა ქასრაშვილმა, ლაშა ნიქაბაძემ და თეა დემურიშვილმა ვერდის რეკვიემისთვის მოიყარეს თბილისში თავი. მათ შესრულებას, მართალია ეტალონურს ვერ დავარქმევთ, მაგრამ ბურჭულაძისა და ქასრაშვილის ხილვა უკვე დიდი საქმეა და ბებერი ხარის რქებზე ნათქვამი ანდაზის პერიფრაზს თუ მოვახდენთ – მათი ყველაზე ცუდი შესრულებაც კი მრავალთა საუკეთესოს აჯობებს.

რადგან სამშობლოში საგასტროლოდ ჩამობრძანებულ ვარსკვლავებს შევეხეთ, არ შეიძლება ნუგზარ გამგებელი დავივიწყოთ. ამჟამად ესპანეთში მოღვაწე ტენორი თბილისში "ბალ-მასკარადით" დაბრუნდა. შესანიშნავ ქართველ ტენორს საქართველოშიც არ გამოლევია თაყვანისმცემლები, თუმცა ამ მხრივ საწუწუნო ალბათ არავის ექნება – შინაური მღვდელი არ მოიკითხო, თორემ, უცხოეთიდან დაბრუნებულებს დამფასებელი ნებისმიერ შემთხვევაში ეყოლება.

თბილისს დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავაც ეწვია. მისი ჩამოსვლა "არტ-იმედის" სახელს დაუკავშირდა. გასულ წელს ჰოლდინგის დაარსებას ლამის მთელი პოპ-მუსიკის სივრცის მონოპოლიზება მოჰყვა. "არტ-იმედმა" კლასიკურ მუსიკაშიც სცადა ფეხის მოკიდება და პირველი მცდელობის სახით ზურაბ სოტკილავას და მისი ახალგაზრდა კოლეგების – სვეტლანა ბელოკონისა და სვეტლანა დობრონრავოვას კონცერტი წარმოადგინა. მათი შეკრების მიზეზი ისევ და ისევ ვერდი გახლდათ, ამჯერად "ნაბუქო" (თუმცა, კონცერტზე "ბედის ძალისა" და "ტრუბადურის" ფრაგმენტებიც შესრულდა). მომდევნო აქცია "არტ-იმედის" მხრიდან შესანიშნავი ახალგაზრდა პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის "გადაბირება" და ნოდარ გაბუნიას სახელობის მეორე ეროვნული კონკურსის გამართვა იყო. საკმაოდ მაღალ დონეზე ორგანიზებული კონკურსი საგანმანათლებლო მნიშვნელობასაც ატარებდა. ჟიურის წევრები მასტერ-კლასებსა კონსულტაციებს აწყობდნენ. მასტერ-კლასების ტრადიცია წელს განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში აღორძინდა: კონცერტებითა და გაკვეთილებით თბილისს წელს ფლეიტისტი იოსი არენჰაიმი, ამერიკის სასულე კვინტეტი, apple hill-ის კამერული ანსამბლი, გიტარისტი კლაუს ბოესერ-ფერარი, პიანისტი ანდრეა სკორა, ჰემიშ მილნი, ჟერომ დიუკრო, ჟერომ პერნო ეწვივნენ. ზოგიერთ მათგანს რეზონანსი დასავლეთშიც მოჰყვა. გერმანელმა ვოკალისტმა ლუდვიგ ბაუმანმა გერმანიაში ახალგაზრდა ქართველი მომღერლების მთელი ჯგუფი მიიწვია ზაფხულში. ნოემბერში კი მისივე ინიციატივით თბილისი საოპერო თეატრის სოლისტები მიშელინა ქობალიანი და გია მახარაძე გაემგზავრნენ ვერდის რეკვიემის შესასრულებლად.

ევროპაში ახალგაზრდა ქართველთა დებიუტებიდან გია ონიანის ლა-სკალაში გამოსვლა და ნინო სურგულაძის ბარსელონური დებიუტი შეიძლება აღინიშნოს. კონკურსებზე მიღწეულ წარმატებებს შორის კი მოსკოვის კამერული მუსიკის საერთაშორი ფესტივალზე თამარ ჩიტაძისა და ქეთი სეფაშვილის საფორტეპიანო დუეტის გამარჯვება და ვოკალისტ ნინო ჩაჩუას მოსკოვის ახალგაზრდული დელფიადის პირველი პრემია შეიძლება აღინიშნოს.

გასული წლის მუსიკალური ცხოვრება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ეფექტური პრემიერით დაგვირგვინდა. ვერდის "მაკბეტის" დადგმა თავდაპირველად დასავლეთში ცნობილი ქართველი ბარიტონის ლადო ათანელის სახელს უკავშირდებოდა. ჯერ კიდევ ჯანსუღ კახიძის დროს, ათანელი თბილისის თეატრში პრემიერაზე გამოსვლას დასთანხმდა. ბარიტონმა თავად გამოაგზავნა "მაკბეტის" პარტიტურა ორკესტრისთვის. მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. ლადო ათანელმა მხოლოდ ერთხელ მოახერხა თბილისში ჩამოსვლა, ისიც ოქტომბერში და სცენები "მაკბეტიდან" არა ოპერაში, არამედ თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად "შემოდგომის თბილისის" დახურვისას შეასრულა. თბილისის ოპერა, მართალია ერთი ვარსკვლავის გარეშე დარჩა, სამაგიეროდ ამომავალი ვარსკვლავი შეიძინა - ფესტივალზე ათანელს პარტნიორობა ახალგაზრდა ირმა ბერძენიშვილმა გაუწია, რომლისთვისაც ლედი მაკბეტი, ფაქტობრივად მეორე სერიოზული პარტია იყო ("ბალ-მასკარადის" შემდეგ). ქართული "მაკბეტი" ბევრით განსხვავდებოდა მისი ევროპული ანალოგებისაგან. თუ ოპერის ერთ-ერთ უკანასკნელ, მუსიკალურად ალბათ ეტალონურ ლასკალასეულ დადგმას გავიხსენებთ (რიკარდო მუტის დირიჟორობით, სადაც მთავარ პარტიებს სწორედ ლადო ათნელი, რენატო ბრუზონი და მარია გულეგინა ასრულებდნენ), პირველ რიგში ვერდის მუსიკის მიმართ განსაკუთრებული მოწიწება მოგხვდება თვალში. "მაკბეტი" ჩვენებურად კი ორიგინალისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. "დრამატურგიული მოსაზრებებიდან" გამომდინარე ვერდის მუსიკამ საკმაოდ ბევრი შესწორება განიცადა. სამაგიეროდ დრამატურგია მართლაც ეფექტური გამოვიდა. დადგმის ავტორებმა, როგორც იტყვიან "ერთი თხილის გული" მრავალ ნაწილად გაყვეს , მიზერული თანხა, რომელიც სპექტაკლისთვის იყო გამოყოფილი დეკორაციასაც აკმარეს, კოსტიუმებსაც და რაც მთვარია, მსმენელი კმაყოფილი დარჩა. ორი საპრემიერო სპექტაკლი დიდი წარმატებით შედგა. თუ რამდენად დაიმკვიდრებს ვერდის "მაკბეტის" ქართული რედაქცია ადგილს სცენაზე – ამას დამდეგ წელს გავარკვევთ.

სანახაობა და ბიზნესი ქართულად

2002 წლის მშობლიური შოუ-ბიზნესის შედეგები

ვერა ნეფარიძე

ფესტივალები, "ტუსოვკები", კონცერტები, fashion show-ები, კლიპების პრეზენტაციები, კულტურული დღეები, ახალდაბადებული ქართველი ვარსკვლავები, - ერთი შეხედვით, ამ წელიწადშიც თითქმის ყველაფერი რიგზე იყო. თუმცა, განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, ერთი უდაოა – ქართულ შოუ-ბიზნესში 2002 წელს, წინა წელთან შედარებით, გაცილებით ბევრი რამ მოხდა. მაგრამ, ეს ჩამონათვალი თითქმის არაფერია იმასთან შედარებით, რაც მომავალ წელს აუცილებლად უნდა მოხდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში შოუ-ბიზნესმა გაამართლოს.

ჯაზი მთელი წელიწადი

2002-ში ჯაზის მოყვარულებს ნამდვილად გაუმართლათ. თბილისში გამართული ორი ჯაზ-ფესტივალი საშუალებას აძლევდათ მოესმინათ როგორც ძველი, ტრადიციული, ისე თანამედროვე, პოპულარული ჯაზი; როგორც მსოფლიო დონის ვარსკვლავები, ისე მანამდე ჩვენთვის უცნობი შემსრულებლები. სიმართლე რომ გითხრათ, არც მეგონა საქართველოში ამ მუსიკას ამდენი მოყვარული და მფარველი თუ ჰყავდა. მეორეს მხრივ, ამ ფესტივალებმა ბევრი დაარწმუნა (მათ შორის, მეც), რომ ჯაზი არც ისე მოძველებული მუსიკაა და ისევე შეიძლება მის ფონზე იმხიარულო, როგორც ნებისმიერ, გაცილებით თანამედროვე რიტმებზე. ხოლო საოცრად ახალგაზრდული ტანია მარიას (რომელმაც "24 საათის" რედაქციაში სტუმრობისას, თავისი შემართებით ყველა გაგვაოცა) შემხედვარემ გამოვიტანე დასკვნა: ვიდრე მუსიკოსს მსგავსი ენერგია აქვს, არ შეიძლება მისი მუსიკა მდორე და მოსაწყენი იყოს. ისე, არანაკლებად გაუმართლა ტანია მარიასაც, რომელმაც საქართველოში, უკვე მეორედ, თავი ნამდვილ ვარსკვლავად იგრძნო; მისი კონცერტი კი, რომელიც ფებბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების წარმატებას დაემთხვა, ერთგვარ სანახაობად აქცია.

წელს ჯაზს უდაოდ წამყვანი ადგილი ეჭირა ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში. თბილისი 2002 წელს მსოფლიო ტურნეს ჩამონათვალში შეიტანა ბობ მინცერმა და ელ ჯერომ. ასეთი პრესტიჟული პოზიციით, ცოტა ხნით, ჩვენი დედაქალაქი ჯორჯ ბენსონის პერსონალურ ვებ-საიტზეც ინონებდა თავს, მაგრამ როგორც დასრულდა ჩვენი აღტკინება, ყველას კარგად გვახსოვს. ლეგენდარული ბენსონის ჩაშლილი თბილისური კონცერტისადმი ინტერესი უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ჯაზის ყველა ვარსკვლავის გასტროლებისადმი. ხოლო, თვითონ ფაქტი, ერთი პერიოდი ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობის რანგშიც კი აიყვანეს. ვიდრე ბენსონი თბილისელ მელომანებს გააწბილებდა, ჯაზის მოყვარულები დენის როლინსის ტრომბონსა და პი ვი ელისის საქსაფონზე ხურდებოდნენ. ამის შემდეგ კი ფილარმონიულმა და "ჯოიში" დაკრულმა ჯაზმა კონსერვატორიაში გადაინაცვლა და სრულად შეინარჩუნა ქალაქის ჯაზური განწყობა. იმის მიუხედავად, რომ შეუმჩნეველი არ დამრჩენია ევან სვენსონისა თუ ანტუან ჰერვეს პროფესიონალიზმი, მესმის რომ ძალიან სუბიექტური ვიქნები, როდესაც "ჯაზი თბილისში"-ს ნათელ სახეებად კორტნი პაინსა და "ნიუ ქულ ქოლექტივს" დავასახელებ. დარწმუნებული ვარ, ბრიტანელი და ჰოლანდიელი მუსიკოსები ჩვენგან ამას ნამდვილად იმსახურებენ.

მუსიკალური მოვლენები

წლევანდელ მუსიკალურ მოვლენებს შორის პირველ რიგში, ალბათ აღსანიშნავია პროდიუსერული კომპანია "არტ-იმედის" გამოჩენა, რომლის დაარსებაც ქართულმა საზოგადოებამ საკმაოდ ხმაურიანად აღნიშნა. უნდა უხადონ თუ არა რჩეულ შემსრულებლებს ფონოგრამული მუსიკის პოპულარიზაციაში "პენსიებად" წოდებული ყოველთვიური თანხა და რა კრიტერიუმებით ირჩევა ამ შემსრულებელთა გუნდი?, - ეს იყო ძირითადი შეკითხვები, რომელიც "არტ-იმედის" შექმნიდან რამდენიმე თვის განმავლობაში მეტად აქტუალური იყო ამ კომპანიისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მქონე საზოგადოებისთვის.

პირადად მე წლის მნიშვნელოვან მოვლენად ბათუმში გამართულ

წლის სტუმარი - ელ ჯერო

ბესიკ ბესელიას ფოტო

ახალგაზრდულ მუსიკის ფესტივალ "სუბტროპიკს" მივიჩნევ. პირველ რიგში იმიტომ, რომ ყველა სხვა დანარჩენისგან განსხვავებით, ის დედაქალაქში არ გამართულა და თავისი მასშტაბებითა თუ გემოვნებით, მსოფლიო მუსიკალური საზოგადოების ყურადღება საქართველოს ერთ-ერთი კუთხისკენ მიაპყრო. მართალია, იმედგაცრუების გარეშე მასაც არ ჩაუვლია, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ მოწვეული იყო Aphex Twin, რომელიც დასავლეთში ჯერ კიდევ ნამდვილად ნათელი და ახალგაზრდა ვარსკვლავია და არა ვინმე ფართო მასაზე გათვლილი იაფიანი "პაპსავიკი", ესეც რაღაცაზე მეტყველებს. ფესტივალის ღირსება მისსავე ნოვატორობაში იდო – გართობათა კომპლექტი, რომელიც ახალგაზრდულ სურვილებს შეესაბამება და რაც მთავარი იყო: "სუბტროპიკზე" ქართველი მსმენელი დი-ჯეის ხელოვნებას გაეცნო და მოუსმინა მათ მიერ მოწოდებულ იმ მუსიკას, რომელსაც წამყვანი ევროპული კლუბები ატრიალებენ. ორგანიზატორებს ალბათ ისიც დამსახურებად უნდა ჩავუთვალოთ, რომ სწორედ მათ მოახერხეს ჩვენშიც საკმაოდ პოპულარული ზემფირას ჩამოყვანა. საბოლოო ჯამში, "სუბტროპიკმა" ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალის ტიტული ნამდვილად გაამართლა. მსგავს თბილისურ გასართობს, "ზზიურს" ჯერ-ჯერობით, ალტერნატივა არც წელს გამოსჩენია.

სამამულო ესტრადაზე წლის მოვლენად მიგვაჩნია გოგონების როკ-ჯგუფ "ემბრიონის" წარმატებული გაჭრა დიდ ბრიტანეთში; ასევე Soft Eject-ის კონცერტები ლივერპულსა თუ მანჩესტერში. თუმცა, თუკი საზოგადოების ნაწილი წელსაც დასავლეთისკენ მიიკვლევდა გზას, მეორე ნაწილი კვლავ საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ფონის მოხსნას კეთილი სტუმართ-მასპინძლური ტრადიციის აღდგენით ცდილობდა. საამისოდ, თბილისში რამდენიმე თვით ყველაზე ადრე აღნიშნეს სანკტ-პეტერბურგის დაარსებიდან სამასი წლისთავი. თუმცა, ამ ღონისძიების წყალობით უამრავმა ადამიანმა თორმეტინწლიანი პაუზის შემდეგ ბორის გრებენშიკოვის კონცერტით ისიამოვნა.

party-ებად ქცეული "ტუსოვკები"

წელს ე.წ. "ტუსოვკებს" ასე აღარ მოიხსენიებდნენ. მის ნაცვლად გაჩნდა ახალი მოდური სიტყვა party. 2002 წელს ყველაზე ხშირად ასეთ party-ზე მაკა ასათიანის ირგვლივ იკრიბებოდნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თითქმის ყველა რიგითი პრესკონფერენცია სწორედ ასეთი party იყო; და მეორე: დიზაინერის მენეჯერი ვანიკო თარხნიშვილი ასეთი შეკრებებით ცდილობდა ხოლმე დედაქალაქში ჩამოწოლილი დუმილის გარღვევას. მათ შორის ყველაზე ხმაურიანი ე.წ. Tatoo party და 7 club-ში გამართული chilim-party იყო, სადაც კლუბის დაბადების დღეზე დაპატიჟებულ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებს საკლუბო მუსიკასთან ერთად, თრიაქითა (რომელიც უფრო არომატული თამბაქო იყო) და ბილიარდით გაუმასპინძლდნენ. 2002 წელს არც სამწუხარო დანაკლისის გარეშე ჩაუვლია, რაც ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებს საგრძნობლად დაეტყო – თბილისში წელს დათო ოძელაშვილს გამოემშვიდობნენ. სამწუხაროდ, ამ ფაქტს უკავშირდება ქართველი ხელოვანების ავსტრიული გასტროლი, რამაც ასეთი დანაკარგის გამო ცხადია, თავისი მნიშვნელობა მაშინვე დაკარგა.

დასავლეთისკენ მიმართული ეროვნული პოდიუმი

ჩამოთვლილი "ტუსოვკების" ერთ-ერთი ინიციატორი მაკა ასათიანი ქართულ პოდიუმზეც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა. ორიოდე წელიწადია, რაც ჩვენი საზოგადოება მისგან "ცუდად დაეჩვია" გრანდიოზულ სანახაობებს. მის სახელს უკავშირდება წლევანდელი გახმაურებული "პანკისის ჩვენება" და ქართული მოდის ცხოვრებაში უპრეცედენტო გადაწყვეტილება: მისი სამარკო ნიშნის ქვეშ ქართველი დიზაინერების გაერთიანება, რასაც მოყვა შოუ ვაკეში.

უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ მოდაში წლის მიწურულს მოხდა – ორიოდე დღის წინათ გახმაურდა კავკასიაში FTV-ის საგანგებო წარმომადგენლობის არსებობა, რომელიც ჩვენს დიზაინერებს კიდევ უფრო შეუმოკლებს მსოფლიო მოდის ბიზნესში დასამკვიდრებელ გზებს.

სხვა მხრივ, განსაკუთრებული ქართულ შოუ-ბიზნესში წელს ალბათ არც მომხდარა. მუსიკალური ინდუსტრიის სხვა რგოლებს, ალბომებსა და ვიდეორგოლებს რაც შეეხება, მნიშვნელოვანი სიახლე არც აქ ყოფილა. ჩვენთან წარმატებით მკვიდრდებიან ახლადგამომცხვარი შემსრულებლები, რომლებიც ალბომის ჩაწერას დაახლოებით იმდენ დროსა და ყურადღებას უთმობენ, რამდენიც სხვა გაცილებით ღირებულ მუსიკოსებს თითოეული კომპოზიციისთვის სჭირდებათ. აი, ვიდეორგოლების დამზადება ჩვენთვის დღემდე აუთვისებელ კულტურად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართული ვიდეოკლიპებისა და მუსიკალური სცენის მდგომარეობა წელს დიდად არ შეცვლილა, რის შედეგადაც ახლახანს მივიღეთ კიდეც ვინმე ონისეს გახმაურებული ვიდეო-ჰიტი "ვარდო". დიდი იმედი გვაქვს, რომ ეროვნული შოუ-ბიზ პროდუქციის დიდ ნაწილზე მოთხოვნილებას 2002 წელთან ერთად გავაცილებთ.

ამ გამონათქვამებს სიბრძნის ამბიცია არ აქვს. უბრალოდ, ამ გზით ჩვენი "ნომრის პერსონები" კლიშედ ქცეულ საახალწლო მილოცვებისგან "ვიხსენით"... სხვებს არა, მაგრამ პოლიტიკოსებს კიდევ ერთხელ ავაცილეთ თავიდან ახალ წელთან დაკავშირებული დაპირებები - "ყველაფერი უკეთ იქნება" - და მსგავსი...

თუმცა, ეს მოსაზრებები გასული წლის განწყობებს და მოვლენებს კარგად ასახავს.

ჩვენი მხრივ, ვისურვებდით, მომავალ წელს რუბრიკა "ანტიპერსონის" საჭიროება არ დადგეს.

ნინო ბურჯანაძე
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ამას წინათ სახლში მივედი. არც შუქი იყო, არც არაფერი და სრულიად გულწრფელი აღშფოთებით, ძალზე არასასიამოვნოდ მოვიხსენიე მთელი მთავრობა. ხალხს ბევრად მეტის თქმის უფლება აქვს ამ ხელისუფლებისთვის.

იგნასიო ირიბარენი
ეი-ი-ეს თელასის გენერალური მენეჯერი

საქართველოს ენერგეტიკას 300 მილიონ ლარზე მეტი გადავუხადეთ. ეს ფული ბოძების შესაკეთებლად არ დახარჯულა, სანყალი ხალხის ხელფასები არ გასტუმრებულა. ალბათ, სადღაც, შვეიცარიის ბანკებში დაილექა. იმ დამნაშავე ხალხისგან რამდენი გამოვლინდა და წავიდა ციხეში?! ნული! რამდენის წინააღმდეგ ხდება გამოძიება? ნული! სასამართლოში მხოლოდ მე მიბარებენ. ხელისუფლებას მაშინ ვუყვარდით, როცა ფულს ვაბანდებდით. ჩვენ ბევრი კრიმინალის ცხოვრება და ინტერესები შევლახეთ. ამ ქვეყანაში კი ბევრი კრიმინალია.

ელიზბარ ერისთავი
სემეკ-ის თავმჯდომარე

კატეგორიულად ვაცხადებ - არიან ჯგუფები, ვისაც უნდა, რომ ყველა ენერგეტიკულ საწარმოში არაენერგეტიკოსები იყვნენ. სახელმწიფო მხოლოდ ზედამხედველობას უნდა უწევდეს და არ უნდა ერეოდეს არც ფულის მართვაში და არც განაწილებაში. ენერგეტიკის სრული რეაბილიტაციისა და აღდგენისთვის - თქმაც კი მეშინია - მილიარდ ნახევრიდან ორ მილიარდ დოლარამდეა საჭირო...

გია ჯანბერიძე
მხატვართა კავშირის თავმჯდომარე

ხშირად მეკითხებიან - ვინ დგას თქვენს უკან... მე და გია ჯოხთაბერიძე მართლაც ვმეგობრობთ. ამით ვამაყობ და განა ეს დასაძრახია?! რაც შეეხება, მხატვართა კავშირს... უნდა დამიჯეროთ, რომ ჩვენი საუბრის თემები მრავალფეროვანია, მაგრამ რაზეც მართლა არ გვისაუბრია, ეს არის მხატვართა კავშირი...

ზურაბ ჟვანია
გაერთიანებული დემოკრატების ლიდერი

მიმაჩნია, რომ ექვსწლიანი თავმჯდომარეობისას უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა. ვაღიარებ, რომ არაერთი შეცდომა გვაქვს დაშვებული... დღეს ოპოზიცია პასუხისმგებლობისა და ხელისუფლების ასაღებად მზად არ არის.

ანტონ ტროიცკი
მუსიკალური კრიტიკოსი

ქართველების ხასიათი რელიეფურია. პლუსია - დიდი სითბო, ენერგეტიკა და ექსცენტრიულობის გარკვეული დოზა... მინუსია - პოზიორობის გარკვეული დონე და საქმეებში უპასუხისმგებლობა.



პაატა ნაცვლიშვილი
ჟურნალისტი, გამომცემელი

ძალზე იშვიათად ვიძლევი ინტერვიუებს იმიტომ, რომ თუ რაიმე მაქვს სათქმელი, თავად, კოლეგების გარეშეც შემიძლია ამის გაკეთება, ეს ჩემი ხელობაა.

დავით ზურაბიშვილი
მწერალი

პრეზიდენტმა თავის პროგრამაში ერთადერთი კორექტივი იმ პუნქტში შეიტანა, რაც წელს გააკეთა - განცხადება ნატო-ში გაწევრიანების შესახებ. მითხრა, მე კი ვთქვი, რომ დავაკაკუნებთ, მაგრამ ისინი როდის გაგვიღებენ, არ ვიციო... დანარჩენზე კი პირიქით, უფრო კატეგორიულად დაწერას მთხოვდა - რომ გიწერია პოლიციისა და პროკურატურის რეფორმა, - ძირეული რეფორმა დაწერეო... დაპირებებში ნამდვილად არ იყო შეზღუდული.

მიხეილ სააკაშვილი
თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე

შევარდნაძეს მიაჩნია, რომ საქართველო დერეფანია, მე კი მიმაჩნია, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა. აი, ეს არის განსხვავება ჩვენს შორის... თუ ახლა სასამართლო საკრებულოს მუშაობას შეაჩერებს, ამაზე უკეთეს საჩუქარს შევარდნაძე ქართულ რევოლუციას ვერ გაუკეთებს

გივი თარგამაძე
თავისუფლების ინსტიტუტი

ბოლო დაბადების დღეზე ქალბატონმა ნანულიმ ისაუბრა ჩემს შესახებ - აი, ის ბიჭი, ყბა რომ აქვს წინ წამოწეული, რომ დუდღუნებსო და ჩვენ რომ გვაგინებსო, რა ცუდი ბიჭიაო... ეს სულაც არ მწყინს.

მამუკა ხაზარაძე
საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის პრეზიდენტი

რაც უნდა პატარა, გაჭირვებული და ჩამორჩენილი ქვეყნის შვილი მერქვას, არანაირი შიში არ მაქვს დიდი სახელმწიფოების წინაშე. მინდა იგივე სტანდარტი და უსაფრთხოება, რაც სხვა ქვეყნებში



ლევან თედიაშვილი
საქართველოს პარლამენტის დეპუტატი.

ვარჯიშზე მეჩქარებოდა. ფილარმონიასთან ყვითელზე გავიარე და ვიღაც კაცს შევეხე პალტოზე - დიდი ინსტრუმენტი როა, იმითი იყო. შემოყო თავი ფანჯარაში და დროზე რო არ გავწეულიყავი დამარტყამდა. მეჩხუბა რო, რა ვიცი... ფალავანთა კლუბთან არ დამხვდა ეგ ნაგლი თავისი კონტრაბასით?! მივედი და მუხლი მოვიდრიკე, ოღონდ აქ ნუ მცემ, იმიჯს ნუ გამიფუჭებ და მერე რაც გინდა, ქენი-მეთქი. იმან კიდე თქვა: მადლობის სათქმელად მოვედი, რომ არ დამარტყითო.

ნიკა ჯანჯღავა
პირველი ქართველი რეინჯერი

ქართული ჯარის მდგომარეობას ამერიკელებს სიზმარივითაც ვერ ვუამბობდი...

ნატო ზოგ რთულ და ზოგ იოლ მოთხოვნებს წაგვიყენებს. ყველაზე რთული სამხედრო სალმის მიცემა იქნება. ეს ქართველებს ძალიან უჭირთ.

დათო დონდუა
საქართველოს წარმომადგენელი ნატო-ში

1998 წელს, როცა ბრიუსელში ამ თანამდებობაზე მივდიოდი, საქართველოს პრესა-ტელევიზია, ხელისუფლებაზე დაყრდნობით, ერთ კვირაში, მეცხრე ენერგობლოკის ჩართვას იუწყებოდა. გულდაწყვეტილი წავედი, ვერ მოვუცადე... ოთხი წლის მერე, 2002 წლის დეკემბერში, თბილისში მივლინებით რომ მოვფრინავდი, თვითმფრინავში თქვენი გაზეთი მომცეს. პირველ გვერდზე ეწერა - ერთ კვირაში მეცხრე ბლოკი ჩაირთვებაო.

გიორგი თარგამაძე
საქართველოს პარლამენტის დეპუტატი

არ ვიცი რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ ჩემი და ასლან აბაშიძის ურთიერთობები კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მე მასთან მართალი ვარ.

ლევან ალექსიძე
პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი საერთაშორისო სამართლის დარგში.

არავითარი სტრუქტურა არ გააჩნია ჩემს სამსახურს კანცელარიაში. ვარ ერთი, "იაქედ" გამოკეტილი იქა და როცა უჭირთ, მაშინ მეკითხებიან.

დათო შენგელია
პარტიზანი, გალის რაიონის გამგებლის მოადგილე

ტელევიზორში ისეთი ხალხი გამოჰყავთ, რომელთაც არც ომის დროს და არც მის მერე იარაღი არ სჭერიათ ხელში. ზურგით დააყენებენ და დაწერილ ტექსტს აკითხებენ. თუ მაგათ პარტიზანობის დაბრალება უნდათ, ერთი "პახოდი" მაინც გააკეთონ ენგურს გაღმა.

ვახტანგ რჩეულიშვილი
საქართველოს პარლამენტის დეპუტატი

ვინ ვარ მე, ჩემს თავსაც ვეკითხები... ასე ვთქვი - "მოქალაქეთა კავშირს" და შევარდნაძეს ერთად დავტოვებ სანაგვეზე-მეთქი. "მოქკავშირს" შევუსრულე, შევარდნაძეს - ვერა! პირდაპირ ვაცხადებ, მორჩა, დამთავრდა ჩემი ტელეოპოზიციონერობა...

მარინა ჩიტაშვილი
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

დღეს ხალხი სხვაგან არის და პრეზიდენტი სხვაგან ისინი ერთ სიბრტყეზეც კი არ არიან. დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებას, პრეზიდენტი სასიცოცხლო ველიდან ჰყავს გაყვანილი. მას აღარ აქვს მისდამი თაყვანისმცემლური დამოკიდებულება.



სერგეი შაკროვი
რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი

იცით, რა მაღელვებს? მოსკოვში ქართული ბიზნესი ყვავის. ამ ფულს ისინი შეშლილ რესტორნებში აბანდებენ, სადაც ერთი ჭიქა ღვინო 10 დოლარი ღირს. არ შეიძლება აქედან შეაგნებინოთ მათ, რომ ფული კინოში დააბანდონ?

კოტე გაბაშვილი
საქართველოს ელჩი გერმანიასა და პოლონეთში

რაც გინდათ ვქნათ, ოღონდ, კრასნოდარის მხარე ნუ გავხდებით

გიორგი კანდელაკი
მოკრივე

მართალი გითხრათ, - თბილისიდან სანკ-პეტერბურგში ნამდვილად არ ჩამოვსულვარ იმისთვის, რომ ვიღაცამ მცემოს.

ვანო ზოდელავა
თბილისის მერი

თქვენ თუ მე "მოქალაქეთა კავშირთან" მაიგივებთ. ეს ძალიან დიდი შეცდომაა. ნეტავ მართლა ყოფილიყო მერის არჩევნები და ვნახავდით ვინ როგორ მხარდაჭერას მოიპოვებდა... ისე, ვისაც ჩავაცვი, სწორედ იმან გამხადა.

ჭემალ გოგიტიძე
საქართველოს პარლამენტის დეპუტატი

გაგიგონიათ, ალბათ, არსებობს კარტის თამაში - "სეკა". იქ არის ასეთი ტერმინი - "სიაფანდები დაწვებიან"... მალე გამჟღავნდება რაზეა დღეს ჩამოკიდებული პრეზიდენტი. ცრუ ოპოზიციონერები დაწვებიან.

მარკ მალენი
ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორი

აქ იმდენ ხანს ვცხოვრობ, რომ უკვე აღარ ვიცი, რა მასწავლა ცხოვრებამ სამშობლოში და რა - აქ. ქართველები სიტუაციების კომპლექსურობას სიღრმისეულად ხვდებიან და ხსნიან, მაგრამ ზოგჯერ ისე ერთობიან კომპლექსურობის მიზეზების გამოძიებით, რომ თავად პრობლემის გადაჭრა ავიწყდებათ.

ჯუმბერ ლომინაძე
ცესკო-ს თავმჯდომარე

ამ კომისიას როგორ უნდა მოვერიო?! ამას რატომ მეუბნებით... მე როგორ მოვერიო, ხალხი ასი ათასებს იღებს... დიახ, თუ ვერ მოვერევი, გადავდგები.

ხათუნა გოგორიშვილი
ცესკო-ს წევრი

ჩვენ პირდაპირ მოვაწერეთ ხელი იმას, რომ ცესკო არ არსებობს. ჩვენი გადაწყვეტილებით ხალხს პირდაპირ ვეუბნებით: "კანონი არ არსებობს, არჩევნები არ არსებობს, გამოდით, ხალხო ქუჩაში!"

რიჩარდ მაილსი
აშშ-ს ელჩი საქართველოში

ამერიკანიზაციის პროცესმა ქართველები არ უნდა შეაშინოს. არსებობს არჩევანის საშუალება. ადამიანებს არავინ აიძულებს, ამერიკულ მუსიკას უსმინონ. ქართული კულტურა ძალზე ძლიერია და არ ჰგავს იმ სუსტ კულტურებს, რომელიც უცხო ზეგავლენას იოლად ნებდება. რაც უნდა იყოს, მან გაუძლო რუსეთის მრავალწლიან მმართველობას და გავლენას. თქვენ მოახერხეთ საკუთარი კულტურის გადარჩენა და შენარჩუნება



გია დვალი
ფიზიკოსი

გამოიდარა და წივილ-კივილით დავეშვით მწვერვალიდან. მთისკენ გახედვა აღარ გვინდოდა. ბალახზე რომ ფეხი დავდგით, თავი სახლში გვეგონა. პირველივე ფერმაში შევედით. ხუთი დღის მშივრებმა ქალებს ვუთხარით - არაფერი გვკითხოთ, რაც რამ საჭმელი გაქვთ, ყველაფერი გამოიტანეთ-თქო.

შალვა ნათელაშვილი
ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე

პოლიტიკური ძალები ჩვენგან იპარავენ იდეებს და აფრიალებენ ქუჩა-ქუჩა. ამით მათ მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ... არც მერობა და არც საკრებულოს თავმჯდომარეობა პოლიტიკოსის საქმე არ არის. პოლიტიკოსების ადგილია პარლამენტი, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი... პარტიები ყოველთვის ტრანზიტული მატარებლის ფუნქციას შეასრულებენ - ჩამოხტება კაი სადგურზე და გაიქცევა.



აკაკი ასათიანი
საქართველოს პარლამენტის დეპუტატი

რომლის საიმპიჩმენტო პროცედურა გაასწრებს - შევარდნაძის თუ ჯორბენაძის, საინტერესო სანახაობა იქნება. ვფიქრობ, ჯორბენაძეს მეტი შანსი აქვს. ჩვენ მხოლოდ შეძახილებით გავამხნევებთ. ყველას ვეპატიჟები ამ სანახაობაზე.

ბინები

იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფასს: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მეტრო სარაჯიშვილთან 8(8), ბ/აირით, ტელეფონით, რემონტით, მუდმივი წყლით, აივნით. ფასი 4000 $. 68 02 35

იყიდება ოთხოთახიანი ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან 6(16), გარემონტებული, ტელეფონით. 100 კვ.მ. 32 26 24

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, მიწის ნაკვეთით. 75 53 55

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა წერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართულზე. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

მიწის ნაკეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

ბინები

ქირა, ბირაო

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრო-რემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

მანქანები

იყიდება BAS 2106, 1983 წლის. ლურჯი. კარგ მდგომარეობაში. ხიდი ოდნავ ხმაურობს. სანყისი ფასი 650 $. 68 02 35

შევიძენ მუხლუხა ამწე-კრანს-PDK-ს, ბულდოზერს - DT 130-ს, ბეტონის კვანძს ჟბ-145-ს ან ჟბ-90-ს. 25 34 34, 39 78 24, 8(99) 24 77 99

სწავლება

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

შეგასწავლით!

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

სხვადასხვა

იყიდება დოგის, აღმოსავლეთ ევროპული და გერმანული ნაგაზის ლეკვები აცრით და საბუთებით.
- ვწვრთნი ძაღლებს (სტაჟიანი კინოლოგი) და დავიტოვებ ძაღლებს შენახვით.

897 575116 ხვიჩა.

ვარ 40 წლის, გამოცდილი ბუღალტერი საერთაშორისო ბუღალტერიისა და კომპიუტერის ცოდნით. ვეძებ სამსახურს. 58 83 51

იყიდება წისქვილი „მოგილეევუ“, უკრაინის. წარმადობა 15 ტონა დღეში. ფასი 5800 $. 33 50 91 (საღამოს 7 სთ-დან), 8(99) 91 87 73 ნათია

იყიდება ასაწყობი პავილიონი 40 კვ.მ. ფართობის. 8(93) 21 29 22

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შელავათიან ფასში. 75 53 55

- შეგაწუხათ მარტოობამ, სევდამ, სტრესმა ზამთრის ღამეებში? გინდა იპოვო გამოსავალი

დაგვირეკეთ ტ: 822-009-555

24-საათიანი სატელეფონო ფსიქოლოგიური კონსულტაციები.

1 წთ - 50 თეთრი
ანონიმურობა დაცულია

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.

ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.

ტელ: 95-39-97

მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
საქართველოს სახალხო კამერული ორკესტრის კონცერტი
სოლოსტი ლიანა ისაკაძე, დირიჟორი გიორგი ყორდანია
პროგრამაშია; ბიზე-შჩედრინის, ბერნსტაინის ნაწარმოებები
დას: 19:00 სთ; ფასი 5,6,8,10 ლარი

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

საგამოფენო დარბაზები

ეროვნული გალერეა
საშობაო გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

კინოთეატრები

„ამირანი„
“ჰარი პოტერი“, რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 10:30; 13:30; 16:30; 19:30 სთ; ფასი 5,8 ლარი
“24 საათი“, როლებში; შერლი სტერონი, კევინ ბეიკონი
დას: 22:30 სთ; ფასი 8 ლარი

„რუსთაველი„
მულტიპლიკაციური ფილმი “პიტერ პენი 2“
დას: 13:30 სთ
“ლილო და სტიჩი“
დას: 15:00; 16:30 სთ.

„ელისო„
“ლილო და სტიჩი“
დას: 13:30: 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
მულტიპლიკაციური ფილმი “პიტერ პენი 2“
დას: 15:00; 16:30 სთ; ფასი 5 ლარი

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

სკანდინავიური ქროსვორდი



ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი

ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ 15^{00} საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე 9^{30} -დან 15^{00} -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

Mare CENTRE

ჯროფესიული განვითარების სფერო და მოდელების სალაგანო
"იმიჯ-ცენტრი"

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დგებიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავსამი?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

TV პროგრამა 31 დეკემბერი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა **07.30** პაწაწინა ონავრები **08.00** დილა მშვიდობისა **09.30** მულტფილმი „კონკია“ მე-2 სერია **10.40** რუსული მხ. ფილმი „საკარნავალო ღამე“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** მულტფილმი „მონსტრების კორპორაცია“ **13.45** საბავშვო ფილმი „წითელქუდა“ 1-ლი ნაწილი **15.15** საბავშვო ფილმი „წითელქუდა“ მე-2 ნაწილი **16.30** ევგენი კისინი. პ. ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსათვის **16.50** მხ. ფილმი „მხიარული რომანი“ **18.00, 21.00** კურიერი **18.15** მსოფლიო ხვდება ახალ წელს **19.10** რუსული მხ. ფილმი „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“ 1-ლი ნაწილი **22.00** რუსული მხ. ფილმი „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“ მე-2 ნაწილი **23.30** საახალწლო შოუ - კონცერტი რესპუბლიკის მოედნიდან **01.30** კონცერტი „ფიიფ“ **02.30** ფილმი-კონცერტი „პოლ მაკარტნი - დაბრუნება ამერიკიდან“

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** დრო და ფული **10.00** მხ. ფილმი „მენავთობე ქალები“ **10.30** მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** საბავშვო კონცერტი **13.00** ნაშუადღევს **14.05** „ფრაგმენტები სურათისათვის“ **15.15** მხ. ფილმი „ვახშამი სულელთან ერთად **16.35** მულტფილმი „ცირკსი ვარსკვლავები“ **17.15** ქართული სიმღერის სიყვარულით **18.00** ვესტნიკი **18.20** ბასტი-ბუბუ **18.40** „და არს მუსიკა“ **19.05** „ვიდეოპატრული“ **19.20** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.35** პრემიერა კლიპისა დ. ევგენიძე **21.40** „დრო და ფული“ **22.00** საახალწლო (1-ლი ნაწილი) **00.20** საახალწლო (მე-2 ნაწილი) **02.30** ტელესერიალი „ძილის წინ“ **02.50** კონცერტი **03.50** მხ. ფილმი „შესანიშნავი“

პირველი სტერეო

10.00 ტოროლა **14.00** მუსიკა **16.00** სველი ხაზი **17.00** ფილმი კომედია „მომაკვდინებელი ფეხბურთი“ **19.00** ქართული მუსიკა **20.00** წლის ათეული **21.00** ვიდეორადიო **23.00** ნოსტალგია 3 **00.00** პასეანსი **00.30** ქართული ასეული

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.15** მულტფილმი **19.30** „ორატორი“ **19.50** დიზაინი **20.15** მხ. ფილმი „საშობაო ღვეზელი“ **22.00** საახალწლო **00.00** მილოცვა **00.30** საახალწლო

იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები **08.15** აღსავალი **08.20** ანონსი, მულტფილმი **08.30** მხ. ფილმი „დიდი, მსუქანი მატყუარა“ **10.25** დოკ. სერიალი **10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45** მუსიკა **10.50** მხ.ფ. „მამილო და სხვები“ **13.10, 17.30** მულტფილმი **18.00** დოკუმენტური ფილმი **20.00** მხ.ფ. „ნადირთა მბრძანებელი“ **22.45** დიდი საახალწლო გადაცემა

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „განკიცხულნი“ **15.00** მხ. ფილმი „სერიოზული საქმე“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მულტფილმი „პიტერ-პენი“ **19.20** მულტფილმი **21.00** მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“ **23.30** მუსიკა **00.20** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი“ **02.10** მხ. ფილმი „ამერიკული თავგადასავალი“ **03.35** მუსიკა

მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ **10.45, 11.50, 14.05, 17.30, 19.50, 21.20, 00.00, 01.30** მუსიკა **11.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“ **12.00** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ **12.30** მხ. ფილმი „შერგარი“ **14.15** მხ. ფილმი „მგზნებარე გონება“ **16.00** მულტფილმი „სამყაროს შექმნა“ **16.30** დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 65-ე სერია **17.40** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 36-ე სერია **18.30** მულტფილმი „მეფის ასული შეჰერეზადა“ 36-ე სერია **19.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“ 82-ე სერია **20.00** მოკ. მხ. ფილმი „ფეოლა“ **20.50** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ მე-2 სერია **21.30** „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „სეიშენი ვალდე-დე-მე. მაისის ველი“. **21.45** მხ. ფილმი „მხიარული ახალგაზრდობა“ **23.15** მოკ. მხ. ფილმი „მატარებელი“ **01.00** მოკ. მხ. ფილმი „კუჭნი ბედნიერი“ **02.00** ქართ. მხ. ფილმი „ყვავილი თოვლზე“

VII არხი

10.05 მელოდია **10.25** „სახლიდან გაუსვლელად“ - საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.55** მხ.ფ. - „კაზაამი“ .ა.შ.შ. 1997 წელი. კომედია. რეჟ. პოლ გლეიზერი. მთ. როლში შაკილ ო,ნილი. **12.20** მელოდია **12.30** მობილურები **13.15** ტელესერიალი - „გრაფ მონტე კრისტო“ - მე-2 სერია. **14.00** კომპიუტერული ტექნიკა **14.40** მელოდია **15.10** ნახატი ფილმი - „იხვები კოსმოსიდან“ **15.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **16.15** „მუსიკალური ობიექტივი“ - ბუკა მანაგაძე **17.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **17.45** „აჩიკუდა“ **18.10** „პაიმანი“ - მიხეილ ცაგარელი **19.10** მობილურები **19.45** მელოდია **20.15** კომპიუტერული ტექნიკა **20.55** „პაიმანი“ - კახა კალაძე **21.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.30** მხ.ფ. - „ოპერაცია გილოცავთ ახალ წელს“ . ა.შ.შ. 1998 წელი. კომედია. რეჟ. მაიკლ სკოტი. როლებში: გარი ნემლინი, მეგან გალაჰერი. **23.55** ახალი წლის მოლოდინში **00.00** მილოცვები **00.05** გასართობი პროგრამა **01.35** მხ.ფ. - „ივან ვასილისძე იცვლის პროფესიასა“ . რუსეთი. 1977 წელი. კომედია. რეჟ. ლეონიდ გაიდაი. მთ. როლში იური იაკოვლევი, ლეონიდ კურავლიოვი.

OPT

07.00 „Доброе утро!“ **10.00, 13.00, 16.001,19.00** Новости **10.15 Комедия „Дорогая, я увеличил детей“ 11.50** „Кумиры“ **12.20** „Ералаш“ **12.35** Мультфильм „Переменка“ **13.15 Комедия „Большой бизнес“ 15.00** „Ералаш“ **15.30** Док. детектив „Засада на медвежатников“ **16.15** „Серебряный шар“ **16.55 Худ.фильм „Убойная сила 4“. „Последний причал“ 18.00** „Большая стирка“ **19.25** „Смехопанорама“ **20.10 Комедия „Иван Васильевич меняет профессию“ 22.00** Время. Итоги года **22.50** Новогодний вечер с М.Галкиным **00.50** Новогоднее обращение Президента В.В. Путина **01.05** Новогодняя ночь 2003 на Первом канале

РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“ **09.45 Мюзикл „Волшебник страны Оз“ 11.15** Мультсериал „Ну, погоди!“ **12.00, 15.00, 21.00** Вести **12.20 Комедия „Карнавальная ночь“ 13.45** С.Альтов „Обовсем!“ **14.30** Вести-Москва **15.20** „Что хочет женщина“. Новогодний выпуск **16.20 Комедия „Девчата“ 18.10** „Комната смеха“ **19.05 Комедия „Бриллиантовая рука“ 21.15** Местное время. Вести-Москва **21.25** „С наступающим!“ Концерт М.Задорнова **22.15** „Аншлагу“-15 лет. Юбилейный новогодний выпуск **00.50** Новогоднее обращение Президента В.В. Путина **01.00** Новогодний голубой огонек на Шаболовке **07.40** „Новый год в ГЦКЗ „Россия

НТВ

09.40 Новогоднее Утро на НТВ **10.00, 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00** „Сегодня“ **10.05** Новогоднее Утро на НТВ **10.55** Погода на 2003 год **11.00** „Сегодня утром“ **11.20** „Квартирный вопрос. Новогодний интерьер“ **12.05** „Кулинарный поединок“ **13.05 Комедия „Чародеи“, 2 с. 14.35** „Вы будете смеяться“ **15.05** „Новогодние хлопоты „Женского взгляда“ **15.40 Детектив „Она написала убийство“ 17.05** „Ирония судьбы“. Ток-шоу „Принцип „Домино“ **18.55** Сериал „Улицы разбитых фонарей“. „Дело „Новый год“, 1 с. **20.15** Сериал „Улицы разбитых фонарей“. „Дело „Новый год“, 2 с. **21.15 Комедия „Тутси“ 23.30** НТВ - Новогоднее ТелеВидение **00.50** Новогоднее обращение В.В. Путина **01.00** НТВ - Новогоднее ТелеВидение **03.00**

TV პროგრამა 1 იანვარი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა **07.15** მულტფილმი „ნოტრდამელი კუზიანი“ 1-ლი ნაწილი **08.25** საბავშვო ფილმი „სანტა კლაუსი“ **10.10** მულტფილმი „სულისკვეთება“ **11.30** მხ. ფილმი „ქალაქი ანარა“ **13.00** მხ. ფილმი „მერი პოპინსი“ **15.20** მულტფილმი „გამყინვარების პერიოდი“ **16.50** მის ევროპა - 2002, 1-ლი ნაწილი **18.00, 21.00** კურიერი **18.15** მის ევროპა - 2002, მე-2 ნაწილი **19.15** ოთარ რამიშვილი **19.45** „მსკ“ - „კვნ“ **22.00** „ვის უნდა ოცი ათასი“ 1-ლი ნაწილი **23.00** მხ. ფილმი „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ **00.25** მხ. ფილმი „ვარსკვლავური ომები“ **01.50** კონცერტი: ჯეიმს ლასტი

პირველი არხი

09.00 მულტფილმი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ 10710 მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი „სათადარიგო ბორბალი“ **10.30** მულტსერიალი „თოვლის პაპა“ (1-ლი სერია) **11.00** მხიარული კარუსელი **11.35** მხ. ფილმი „სათამაშო“ **13.00** „პრეზიდენტის ნაძვის ხე“ **14.30** „მრავალჟამიერ“ **14.55** „მოდის სამყარო“ **15.30** „ხანუმა“ (ეყ მანჯგალაძის და რ. ჩხიკვაძის მონაწილეობით) **16.10** მხ. ფილმი „ყვავილი თოვლზე“ **17.30** ბასტი-ბუბუ **17.50** კონცერტი - ანსამბლი „თბილისი“ **19.10** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **20.30** ბენი ჰილი **21.00** მღერის ლელა წურწუმია **22.20** მეალომანია **22.50** ერისიონი **00.00** სერიალი „ძილის წინ“ **00.20** მხ. ფილმი „მეექვსე ელემენტი“ **01.55** კონცერტი „დივას“

პირველი სტერეო

12.00 ტოროლა **16.00** განდ. წლის ათეული **17.00** მხ. ფილმი „სკუბი დუ“ **19.00** ქართული მუსიკა **21.00** აბა გამოიცანი მიქსი **22.00** ტელედისკოთეკა **02.00** ფილმი ღამურა „ვასაბი“ **05.45** პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მულტფილმი **19.20** საბავშვო კონცერტი **19.50** მხ. ფილმი „ცხოველური ბუნება“ **21.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **21.55** მხ. ფილმი „ხელმეორედ ქორწინება“ **23.40** შვიდეული

იბერია

08.00 აღსავალი **08.05** ანონსი, მულტფილმი **08.30** მხ. ფილმი „აფეთქება წარსულიდან“ **10.15, 12.30, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25** მუსიკა **10.20** მხ. ფილმი „გაყინული კალიფორნია“ **13.10, 18.00** მულტფილმი **14.10** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი „შობა ვილი ჰავთან“ **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ.ფ. „საოცრებათა სეზონი“ **22.15** მხ.ფ. „მფარველი ანგელოზი“ **00.30** ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“ **14.30** მხ. ფილმი „გაქრობა“ **16.00** მხ. ფილმი „უკან მომავალში“ **17.45** მულტფილმი „მეფე ლომი“ **19.10** მხ. ფილმი „გულთამპყრობელნი“ **21.30** მხ. ფილმი „მის კონგენიალობა“ **23.15** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 2“ **01.00** მხ. ფილმი „ბლეიდი“

მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ **10.45, 11.50, 13.15, 14.00, 15.20, 17.30, 21.20, 21.45, 23.25, 01.20** მუსიკა **11.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“ **12.00** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ **12.30** მულტფილმი „ფიფქია“ **13.30** მოკ. მხ. ფილმი „ქვევრი“ **14.10** მხ. ფილმი „ცირკი“ **15.40** მულტფილმი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ **16.30** დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 66-ე სერია **17.40** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 37-ე სერია **18.30** მულტფილმი „მეფის ასული შეჰერეზადა“ 37-ე სერია **19.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“ 83-ე სერია **19.50** მოკ. მხ. ფილმი „რეკორდი“ **20.50** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ მე-3 სერია **21.30** „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „სანქტ-გალენის მონასტერი შვეიცარია“ **22.00** მხ.ფ. „ნეიღლონის ნაძვის ხე“ **23.55** მხ.ფ. „ჩვენ ჯაზიდან ვართ“

VII არხი

0.05 მელოდია **10.25** „სახლიდან გაუსვლელად“ -მობილურები **11.05** მხ.ფ. - „მახე მშობლებისათვის“ . ა.შ.შ. 1999 წელი. კომედია. რეჟ. ნენსი მეიერი. როლებში: დენის ქვეიდი, ნატაშა რიჩარდსონი. **13.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **14.05** ტელესერიალი - „გრაფ მონტე კრისტო“ - მე-3 სერია. **14.55** -კომპიუტერული ტექნიკა **15.30** მელოდია **16.20** ნახატი ფილმი -“კონკია“ **17.25** კომპიუტერული ტექნიკა **17.50** მელოდია **18.25** მობილურები **19.45** აუდიო-ვიდეო-ტელე **20.20** „ლა-ლა-ლა“ **21.20** კომპიუტერული ტექნიკა **21.55** მელოდია **22.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **22.50** მხ.ფ. - „ბედნიერი შემთხვევა“ . ა.შ.შ. 1990 წელი. ცხოვრებისეული. რეჟ. ენდრიუ ბეგრმენი. როლებში: ნიკოლას ქეიჯი, ბრიჯიტ ფონდა. **00.50** მელოდია

OPT

09.00 „Доброе утро!“ Нового года **11.00** Новости **11.10** „Шутка за шуткой“ **11.40** Комедия „Вечера на хуторе близ Диканьки“ **13.20** „Кто хочет стать миллионером?“ **14.15** „Смак“ **14.45** Юмористическая программа **16.50** „Ералаш“ **17.15** Мультфильм „Приключения Флика“ **19.00** Вечерние новости **19.15** Песня-2002, часть 1 **22.00** Сериал „Убойная сила“. „Утренник для взрослых“ **23.15** „Большой стирки“ **01.45** Триллер „Адреналин. Страх погони“ или Боевик „Кровавый полет“

РТР

07.40 „Новый год в ГЦКЗ „Россия“ **09.40** Фильм-сказка „Огонь, вода и... медные трубы“ **11.00** Мультсериал „Ну, погоди!“ **11.45** Комедия „Берегись автомобиля“ **13.25** А.Песков в триумфальном шоу „Арлекин“ **15.00** Вести **15.10** „С наступившим!“. Концерт Михаила Задорнова **16.00** Комедия „Любовь и голуби“ **18.00** Вести **18.10** Комедия „Крысиные бега“ **20.05** „Кубок юмора-2003“ **22.20** Худ.фильм „Матрица“ **00.40** Худ.фильм „Сказ про Федота-стрельца“ **02.35** Концерт, посвященный 50-летию Эндрю Ллойда Уэббера

НТВ

09.40 Утро на НТВ **09.55** Сериал „СКОРАЯ ПОМОЩЬ“ **11.00** „Сегодня утром“ **11.20** „Очная ставка“. Убить до полуночи **12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00** „Сегодня“ **12.05** „Шоу Елены Степаненко“ **13.05** Сериал „Государственная граница“ **14.35** Криминал **15.05** Сериал „ТРЕТИЙ ЛИШНИЙ“ **15.40** Детектив „ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО“ **16.35** „Шоу идеальных жен“ в „Принципе домино“ **18.05** Детектив „КУКЛА“ **19.20** „Чистосердечное признание“ **20.40** Сериал „ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК“ **21.45** Детектив „КУКЛА“, 11 с. **23.00** „Сегодня вечером“ **23.35** Сериал „ТРЕТИЙ ЛИШНИЙ“ **00.15** Сериал „ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК“ **01.15** Гордон **02.15** Боевик „БЕССМЕРТНЫЙ“

TV პროგრამა 2 იანვარი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა **07.15** მულტფილმი „ნოტრდამელი კუზიანი“ მე-2 ნაწილი **08.35** საბავშვო ფილმი „როგორ მოიპარა გრინჩმა შობა“ **10.20** მხ. ფილმი „მიმინო“ **12.10** მულტფილმი „პიტერ პენი 2“ **13.30** მხ. ფილმი „თორმეტი სკამი“ 1-ლი და მე-2 სერია **15.45** მუსიკა **16.05** მხ. ფილმი „ქეთო და კოტე“ **17.40** მუსიკა **18.00, 21.00** კურიერი **18.20** მხ. ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ **22.00** „ვის უნდა ოცი ათასი“ მე-2 ნაწილი **23.00** მხ. ფილმი „არ დაიდარდო“ **00.40** მხ. ფილმი „ადამიანი - ობობა“ **02.45** კონცერტი: დაიანა კროლი

პირველი არხი

09.00 მულტსერიალი „თოვლის პაპა“ **09.30** მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი „კოჯრის ტყის სიზმრები“ **10.00** მულტფილმი „ბემბი“ **11.20** მხ. ფილმი „მუმია, ეგვიპტის უფლისწული“ **13.40** კონცერტი „ცეკვები, ცეკვები“ **14.35** მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი „კუჭნი ბედნიერი“ **15.10** მხ. ფილმი „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“ **16.20** ხალხური მუსიკის კონცერტი **16.35** რამპა **16.45** ჯანმრთელობა **17.30** ტელეფილმი „ქვევრი“ **18.00** სპექტაკლი „მეტეხის ჩრდილში“ **18.25** ბასტი-ბუბუ კონცერტი **20.00** მოამბე **20.30** ბენი ჰილი **21.00** მეალომანია **21.35** ჩვენ მშვიდობა **22.35** მრავალსახეობა **23.25** ტელესერიალი „ძილის წინ“ **23.55** მხ. ფილმი „დოყლაპია“ **01.35** კონცერტი „სანტანა“

პირველი სტერეო

11.00 ტოროლა **13.00** განდ. ქართული ასეული **20.00** საუკეთესო 30 რეკლამა **20.30** მიქსათეული **21.30** ვიდეორადიო მაყურებელთა თხოვნით **23.00** აბა გამოიცანი მიქსი **01.00** ტელედისკოთეკა **04.30** ფილმი ბრავო „პირველი შვილის ცხესიმაგრე“ **06.30** პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „მენავთობე ქალები“ **21.00** და არს მუსიკა **21.30** სპექტაკლი „ეზოში ავი ძაღლია“ **22.30** მხ. ფილმი „შეიძლება“ **00.15** შვიდეული (ჰიტები)

იბერია

08.00 აღსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი „საოცრებათა სეზონი“ **10.20** მხ. ფილმი „მფარველი ანგელოზი“ **13.10, 18.00** მულტფილმი **14.10** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი „შობა ვილი ჰავთან 2“ **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **20.00** მხ.ფ. „მაქს კიბლის შურისძიება“ **22.15** მხ.ფ. „კომბოსტოს წვნიანი“ **00.30** ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „გულთამპყრობელები“ **14.15** მხ. ფილმი „მის კონგენიალობა“ **16.10** მხ. ფილმი „უკან მომავალში 2“ **17.50** მულტფილმი „მულანი“ **19.15** მხ. ფილმი „ამერიკული ღვეზელი 2“ **21.00** მხ. ფილმი „მახე“ **23.50** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 3“ **01.30** მხ. ფილმი „ბლეიდი 2“

მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ **10.45, 11.50, 13.20, 14.00, 15.20, 17.30, 19.50, 21.20, 21.45, 23.20** მუსიკა **11.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“ **12.00** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ **12.30** მულტფილმი „კონკია“ **13.30** მოკ. მხ. ფილმი „ღვინის ქურდები“ **14.10** რუსული ზღაპარი „მშვენიერი ვასილისა“ **15.35** მხ. ფილმი „ქილერებიც ტირიან“ **16.30** დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 67-ე სერია **17.40** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 38-ე სერია **18.30** მულტფილმი „მეფის ასული შეჰერეზადა“ 38-ე სერია **19.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“ 84-ე სერია **20.00** მოკ. მხ. ფილმი „სერენადა“ **20.50** რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ მე-4 სერია **21.30** „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „ლოტშისა ლა ალტერმიუნტერის მონასტერი დაკარგული საბბათოს ძიებაში“ **22.00** მხ. ფილმი „არასერიოზული კაცი“ **23.40** მხ.ფილმი „მარტოხელა მონადირე“

VII არხი

10.05 მელოდია, გართობა **10.25** კომპიუტერული ტექნიკა **11.05** მხ.ფ. - „ჯო“ . ა.შ.შ. 1999 წელი. კომედია. რეჟ. იან ბერი. როლებში: ალექს მაკკეინი, ედ ბეგლი. **12.40** მელოდია,გართობა **13.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **13.25** „პაიმანი“ - ლადო ბურდული (გამეორებით) **14.25** ტელესერიალი - „გრაფ მონტე კრისტო“ - მე-4 სერია. **15.10** აუდიო-ვიდეო-ტელე **15.45** იუმორი **15.55** ნახატი ფილმი - „მაკნატუნა“ **16.45** მობილურები **17.20** „მუსიკალური ობიექტივი“ - ზურაბ მანაგაძე **18.25** კომპიუტერული ტექნიკა **19.05** „აჩიკუდა“ **19.45** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.10** გასართობი პროგრამა **20.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **21.30** მელოდია **22.00** მობილურები **22.35** მხ.ფ. - „კონკია“ .ა.შ.შ. 1999 წელი. მელოდრამა. რეჟ. ენდი ტენენტი. როლებში: დრიუ ბერიმორი, ანჯელიკა ჰიუსტონი. **00.30** მელოდია

OPT

OPT **08.00** Новости **08.10** Худ.фильм „В поисках золотого руна“ **09.55** Мультфильм „Трое из Простоквашино“ **10.10** Здоровье **11.00** Новости **11.10** Комедия „Кто подставил кролика Роджера?“ **13.05** Мультфильм „Каникулы в Простоквашино“ **13.25** Спектакль „Семейные радости“ **17.00** „Ералаш“ **17.25** Комедия „Здравствуй, дедушка Мороз!“ **19.00** Вечерние новости **19.15** Песня-2002, часть 2 **22.00** Время **22.25** Боевик „Скорость“ **00.30** Мюзикл „Золушка“ **02.45** Боевик „Блейд“

РТР

07.55 Мультфильмы „Трое из Простоквашино“. „Каникулы в Простоквашино“. „Зима в Простоквашино“ **08.45** Фильм-сказка „Уиллоу“ **10.45** Мультсериал „Ну, погоди!“ **11.25** Худ.фильм „Джуманджи“ **13.15** „Новогодний аттракцион-2003“ **15.00** Вести **15.20** „В Городке“. Отчет за декабрь“ **15.50** Комедия „Бинго-Бонго“ **17.45** Бенефис К. Новиковой **21.00** Вести **21.25** Комедия „Дикий, дикий Запад“ **23.15** Комедия „Мир Уэйна“ **00.55** „Золотая коллекция „Голубых огоньков“

НТВ

09.25 Худ.фильм „Обыкновенное чудо“ **11.00, 14.00, 16.00, 17.00** „Сегодня“ **11.05** Худ.фильм „Обыкновенное чудо“ (продолжение) **12.05** Гала-концерт „Мелодии на бис“ **14.05** „Вы будете смеяться!“ **14.20** Комедия „Бэйб“ **16.05** Своя игра **17.25** Комедия „Невезучие“ **19.10** „Обалденные праздники“ **20.10** Комедия „Чокнутый профессор“ **21.55** Худ.фильм „Стриптиз“ **23.55** Боевик „Долгий поцелуй на ночь“ **01.55** Худ.фильм „Тот самый Мюнхгаузен“

ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ
ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ

Ш.პ.ს ᲛᲜ-ᲯᲘ-ᲡᲘ
ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ
ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲐ
15 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ
ᲤᲐᲡᲘ -580$-ᲛᲓᲔ

ᲢᲔᲚ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

ᲬᲐᲛᲐᲚᲘ "ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ"
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲚᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐ

[illegible]

ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ "ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ" ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲜᲔᲑᲐᲗ.

[illegible]

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲗ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲔᲑᲨᲘ.

[illegible] (3) [illegible]

უცნაური საახალწლო წეს-ჩვეულებები მსოფლიოს გარშემო



ჰოლანდია

ჰოლანდიური კერძი oliebollen სხვა ქვეყნებშიც მრავალ საახალწლო სუფრას ამშვენებს. ის თავისი ფორმით წარმოადგენს სრულყოფილი წრის სიმბოლოს, რასაც, ძველების რწმენით, იღბალი მოაქვს.

დიდი ბრიტანეთი

მეკვლის ბრიტანული ტრადიციის მიხედვით, შუაღამისას სახლის ზღურბლზე გადმოაბიჯებს უცნობი კეთილისმსურველი, რომელსაც მუჭში უჭირავს ქვანახშირი - როგორც ბედნიერების სიმბოლო. შოტლანდიელები ახალ წელს ერთგვარი ტრადიციული საახალწლო ლექსით ხვდებიან. იგულისხმება რობერტ ბარნსის Auld Lang Syne (დაწერილია 1788 წ.), რომელიც "ძველ, ტკბილ დღეებს"ნიშნავს.

აშშ

შტატების მრავალ ქალაქში საახალწლო სუფრის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ღორის ხორცია - როგორც კეთილდღეობის სიმბოლო. ღორის ხორცს შავი მუხუდოს მარცვლებით ან კომბოსტოს ფურცლებით მიირთმევენ. მუხუდო და კომბოსტო ქაღალდის ფულს ნიშნავს. მთავარი სანახაობა კი ნიუ-იორკში, ტაიმს სკვერზე იმართება. იქ ძველ წელს დაბლა დაშვებული ბრჭყვიალა ბურთით აცილებენ, რომელიც მიწისკენ მოძრაობას ძველი წლის ბოლო წუთს იწყებს და "დანიშნულების ადგილს", ტაიმს სკვერზე შეკრებილი ნიუ-იორკელების ჟრიამულის ფონზე, ზუსტად ღამის 12 საათზე აღწევს.

ფილიპინები

ახალი წელი ფილიპინებზე სახლის პირობებში ბამბუკისგან დამზადებული მაშხალების ხმაურით შემოდის. უფრო ზუსტად, მაშხალების სროლითა და ჟივილ-ხივილით ფილიპინელები ძველ წელს აცილებენ.

საბერძნეთი

ბერძენი ბავშვები ფეხსაცმელებს ბუხართან ახლოს ტოვებენ, რათა ღამით მათ წმინდა ბასილი ეწვიოს და ფეხსაცმელები საჩუქრებით აუვსოს. წმინდა ბასილის დღეს ასეთი სასწაულებიც ხდება.

ვენესუელა

ახალი წლის ღამეს უკლებლივ ყველას ყვითელი ქვედა საცვალი აცვია. ვენესუელური რწმენით, ეს მათ ახალ წელს ბედნიერებას მოუტანს. ისინი კი, ვისაც მოგზაურობა სურთ, 31 დეკემბრის ღამეს სახლში ჩემოდანს დაატარებენ.

ესპანეთი

საათის ბოლო 12 ჩამოკვრაზე ესპანელები ყურძნის თითო მარცვალს ჭამენ - რათა საახალწლოდ 12 ბედნიერი და მშვიდობიანი თვე დაიბევონ. თუმცა, ზოგი ოხუნჯობის განწყობაზე მოსული ესპანელი ყურზნის მარცვალს ზეთის ხილითაც ცვლის.

გერმანია

ექვსი შუაზე გაჭრილი და დამარილებული ხახვი გერმანიაში წლის თითოეული თვის სიმბოლოს წარმოადგენს. ხახვები გარეთ გააქვთ, რათა გამოიცნონ, თუ როგორი ამინდი ელით წინ. დამდნარი, დაშლილი მარილი წვიმიან თვეს ნიშნავს, გამხმარი კი - მზიან დღეებს.

„სიყვარული და მშვიდობა„ - ჯორჯ და ლაურა ბუშები

პრეზიდენტის საშობაო ღია ბარათები

მელორ სტურუა
აშშ. მინეაპოლისი

ზოგი ჭირი მარგებელიაო, მაგრამ ჭირი და ლხინი ძმებიც ხომ არიან? საშობაოდ ეს "ჭირი" - მისალოცი ღია ბარათებია. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ წერით ხელი გეღლება და კონვერტების დაწებებით ენა გიშრება. ამ ფიზიკური დატვირთვის გარდა, ზნეობრივი და დიპლომატიური ჭმუნვებიც გტანჯავს - ვის გაუგზავნო მოლოცვები ისე, რომ არც კარგი მეგობარი გამოგრჩეს და არც საჭირო კაცი. ზოგჯერ თავს სიტყვას აძლევ, დაივიწყო ეს დინოზავრივით გადაშენებული მოლოცვების ტრადიცია, მაგრამ როცა მილოცვებს იღებ, ჯერ საპასუხოს წერ და მერე, შეუმჩნევლად, მოლოცვების კარუსელში იწყებ ტრიალს. ეს ცდუნება კი ვალდებულებას ნამდვილად სცდება.

მაგრამ ჩემი ყოყმანის მასშტაბები ორასამდე ღია ბარათით შემოიფარგლება. თქვენ წარმოიდგინეთ, რა დღეშია, მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტი, რომელიც, არაოფიციალურად, "ყველაზე ძლევამოსილი ადამიანის" ტიტულს ატარებს?!

ამერიკის პრეზიდენტთა რეკორდით აღინიშნა ჯორჯ ბუშისა და მისი მეუღლის, ლაურას მიერ გასულ კვირას დასრულებული საშობაო მისალოცი ღია ბარათების დაგზავნა. მათ ერთი მილიონი მისალოცი ბარათი გაგზავნეს! შედარებისთვის: წინა რეკორდი ამავე წყვილს ეკუთვნოდა - 875 ათასი ღია ბარათი. კიდევ ერთი შედარება: წინა საპრეზიდენტო წყვილის, ბილ და ჰილარი კლინტონების რეკორდი 400 ათასი ღია ბარათი იყო. ამის გამო საზოგადოებამ და მასმედიამ ისინი ფინანსების გაფლანგვასა და თვითრეკლამაში დაადანაშაულა.

რამდენიმე სიტყვა ბუშების მისალოცი ბარათების 2002 წლის ნიმუშების შესახებ. ამ ბარათების დიზაინერია ცნობილი ფირმა "ჰელმარკი," რომელიც სიცოცხლისა და სიკვდილისთვის საჭირო ყველანაირ ღია ბარათს ამზადებს. ბარათზე გამოსახულია რეპროდუქცია ზეთით შესრულებული ნახატისა, რომელზეც გამოსახულია თეთრი სახლის გრანდ-ფოიეში მდგარი 1938 წლის როიალი "სტეინვეი". ავტორი, ჩინელი მხატვარი ჩჟეიხუან ლუ, ამერიკული პეიზაჟების ოსტატია. მისი ნახატები ნიუ-იორკში, ჰამერის გალერეაშია ექსპონირებული. ლუს რეკომენდაცია გაუწია პრეზიდენტის ახლო მეგობარმა, როლანდ ბეტსმა, რომლის კოლექციასაც ჩინელი პეიზაჟისტის ტილოები ამშვენებს. პირველი ლედი ლუს ნამუშევრებით აღფრთოვანდა, მაგრამ მხატვრის გამოყენების გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც დადგინდა, რომ მხატვარი ამერიკის მოქალაქეა.

ბარათის შიდა მხარეს წერია ბიბლიის 100:5 ფსალმუნის ნაწყვეტი, რომელიც ღვთის წყალობისა და მისი ჭეშმარიტების შესახებ ღაღადებს. გასული წლის საშობაო ღია ბარათზე აგრეთვე მოთავსებულია ციტატა ბიბლიიდან (27:8,13) "the fase, lord, do i seek; i believe that i shall see the goodness of the lord in the land of the living!" ამ ციტატის არჩევა ლაურა ბუშს 11 სექტემბრის ტრაგედიამ შთააგონა.

დაბოლოს, "სტეინვეის" მარჯვნივ და ფსალმუნის ქვემოთ დაბეჭდილია შემდეგი შინაარსის ტექსტი: "დაე, სიყვარულმა და მშვიდობამ აღავსოს თქვენი გულები და სახლი ამ საზეიმო დღეებში და მთელი მომავალი წლის მანძილზე"; ხელმოწერა: "ჯორჯ ბუში. ლაურა ბუში."

ერთი მილიონი მოსალოცი ბარათი ძვირი სიამოვნებაა. მხოლოდ მარკები (ამერიკის ზოლიან-ვარსკვლავიანი დროშით - ერთი ცალი 37 ცენტი ღირს) 370 ათასი დოლარი დაჯდა. ახლა თავად ბარათის ფასს აღარ იკითხავთ? ერთი ცალი "ჰელმარკის" ფირმის საშობაო ბარათი, საშუალოდ, 3,4 დოლარი ღირს. ჰოდა, დაითვალეთ... დავიჯეროთ, ბუშებმა ოთხნახევარი მილიონი გაიმეტეს? ასე რომ ყოფილიყო, მათი გულები მწუხარებით და მათი სახლი (თუნდაც, თეთრი) ვალებით აივსებოდა. მაგრამ ეს არ მოხდა. საპრეზიდენტო წყვილის ეს რეკორდი რესპუბლიკური პარტიის ნაციონალურმა კომიტეტმა დააფინანსა. კომიტეტი არ ახმაურებს, რა თანხა დაუჯდა ბუშების საშობაო ექსტრავაგანტურობა. სამაგიეროდ, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრეზიდენტმა რესპუბლიკური პარტიის სალარო 140 მილიონი დოლარით გაამდიდრა. ასე რომ, პარტია იძულებული იყო, დონორთა ურიცხვი რაოდენობისთვის გადაეხადა მადლობა (ჩვენ - ფული, თქვენ - მადლობა).

მისალოცი ბარათების ბედნიერი მფლობელების სია ასე გამოიყურება: სახელმწიფოთა მეთაურები; აშშ-ს მინისტრთა კაბინეტისა და კონგრესის წევრები; რესპუბლიკური პარტიის ყველა წევრი; დონორები, ვოლონტიორები და მეგობრები. კომიტეტის წევრი მინდი ჰააკერი ამბობს: "მისალოცი მიიღეს მათ, ვინც ამომრჩევლებს მოუწოდებდა, ტელეფონით მიეცათ ხმა და მათ, ვინც ამისთვის კარდაკარ დადიოდა. ასეთი კი, ქვეყნის ყველა შტატში, ათასობით ადამიანია (საბჭოთა დროს მათ აგიტატორები ერქვათ). ქალბატონი მაკერის თქმით, "მას შემდეგ, რაც ბატონი ბუში პრეზიდენტი გახდა, ბევრი "რესპუბლიკელი" მნიშვნელოვნად გაიზარდა და ჩვენ ახლა უზარმაზარი წარმატებით ვტკბებით."

უკანასკნელ წლებში, ბუშიცა და კლინტონიც, საშობაო ბარათებზე გაწეულ ხარჯებს არა პირად, არამედ პოლიტიკურ ხარჯებში ატარებდნენ. კლინტონი უფრო პატიოსნად იქცეოდა. მის მიერ ხელმოწერილი ბარათების უკანა მხარეს აუცილებლად ეწერა შემდეგი სიტყვები: "გადახდილია დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის მიერ". ბუშების ღია ბარათებზე ამ სიტყვებს ვერ ამოიკითხავთ. ქალბატონმა თაკერმა განაცხადა, რომ მისთვის უცნობია, თუ რა მექანიზმით იგზავნებოდა პრეზიდენტის მისალოცი ბარათები. ჩემი მონაცემებით კი, ვაშინგტონში უკვე 3 დეკემბრისთვის გამოჩნდა მისალოცები, რომლებზეც ეწერა - "კროუფორდი, ტეხასის შტატი". ეს არის ბუშების 1600 აკრზე გადაჭიმული რანჩოს მისამართი, რომელიც ინტიმის ეფექტისთვის იყო აღნიშნული. ამით, თითქოს უფრო ადვილი წარმოსადგენი იყო, როგორ ისხდნენ ცოლ-ქმარი ბუშები ბუხრის წინ და თხზავდნენ ბარათებს... რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი ბარათებიც, რომლებიც, მართლაც, მათი დაწერილი და ხელმოწერილი იყო, მაგალითად, მშობელი ბუშებისადმი მიძღვნილი. იმის ფიქრი, რომ ცოლ-ქმარმა ბუშებმა მილიონჯერ გახსნეს და წააწერეს მისალოცი ბარათებს - გულუბრყვილო და სასაცილო იქნებოდა. ასე რომ ყოფილიყო, ამერიკა დიდი ხნით დარჩებოდა პრეზიდენტის გარეშე. ასე რომ, უბრალო მეგობრები ფაქსიმილეს დასჯერდნენ. რას იზამ, ეს სუვენირიც ხეირია. სხვათა შორის, ტეხასის მისამართი მხოლოდ ვაშინგტონში გასაგზავნ ბარათებს ჰქონდა. დანარჩენ ქვეყანაში დარიგებულ მისალოცებს სხვა მისამართი აღენიშნებოდა: "თეთრი სახლი, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 20500".

როგორც გითხარით, რესპუბლიკელებმა, მომსახურებისთვის, ცნობილ ფირმა "ჰელმარკს" მიმართეს. თავის მხრივ, ფირმამ ბუშების ოჯახი საპატიო წიგნში შეიყვანა. ეს წიგნი ფირმის შტაბბინაში, მონტანას შტატში, კანზას-სიტიში ინახება. ეს შეკვეთა, ფირმის არსებობის 92 წლის მანძილზე, ყველაზე დიდი იყო. "ჰელმარკისთვის" ბუშების ეს შეკვეთა მხოლოდ ფინანსურად არ იყო საინტერესო. ეს მათი პრესტიჟის საქმეც გახლდათ. "ჰელმარკის" ფირმას მისალოცი ბარათებს ამერიკის ყველა პრეზიდენტი უკვეთავდა (დუაიტ ეიზენჰაუერიდან დაწყებული). მაგრამ, კლინტონებმა დაარღვიეს ეს ტრადიცია და 8 წლის განმავლობაში მისალოცი ბარათებს "ჰელმარკის" დაუძინებელ მტერს "ამერიქენ გრიითინგზს" უკვეთავდნენ. დიზაინერი ესთეტიკური მოსაზრებით არ შეუცვლიათ. უბრალოდ, "ამერიქენ გრიითინგზის" პრეზიდენტი, მორი ვაისი, დემოკრატთა ხელგაშლილი დონორი იყო და ეს შეკვეთა მან დამსახურებულად მოიპოვა. შეურაცხყოფილმა "ჰელმარკმა" ფსონი რესპუბლიკელებზე დადო. საპრეზიდენტო არჩევნებში ბუშის სალაროს 110 ათასი დოლარი შესწირა, გორს კი სამი თითის კომბინაცია უჩვენა. "ამერიქენ გრიითინგზმა" კი ორივე კანდიდატს, სათითაოდ, 100-100 ათასი დოლარი უბოძა. მაგრამ ამ ორმაგმა ნომერმა არ გაჭრა. "ჰელმარკმა" "სპილოს პარტიის" ანუ რესპუბლიკელთა იდეების ერთგულებით კვლავ დაიბრუნა "მისი უდიდებულესობის", აშშ-ს სასახლის მისალოცი ბარათებით მომმარაგებლის ადგილი.

დიახ, ასეა - ამერიკის პრეზიდენტთა საშობაო ბარათები არა მხოლოდ და არც იმდენად მშვიდობისა და კეთილდღეობის სურვილია, რამდენადაც პოლიტიკა.

ახლა კი, როგორც იტყვიან, პირადული: ჩემს არქივში ინახება პრეზიდენტ კარტერის, ნიქსონისა და რეიგანის მიერ ხელმოწერილი მისალოცი ბარათები. მაგრამ 2002 წლის წინ დაბადებული ღმერთია მოწამე, რომ მე არც ერთი მათგანის აგიტაციას არ ვეწეოდი; ამომრჩევლები სახლებიდან არ გამომიყრია და არ გამირეკავს ისინი საარჩევნო მანქანებთან და ყუთებთან; არც არავისთვის მომიბეზრებია თავი ელცინისეული - "ხმა მიეცი, თორემ წააგებ"-ის ამერიკული ვარიანტით. ასე რომ, ალბათ, ამ შობას ჯორჯ და ლაურა ბუშების მისალოცი ბარათს არ უნდა ველოდო, რადგანაც რესპუბლიკური სპილოსთვის "ბაგსებით" დახმარების არაერთგზის მოთხოვნას მრავლისმეტყველი დუმილით ვპასუხობდი.

გარდა იმისა, რომ არ მსურდა, სპილოსა და ვირს (დემოკრატთა სიმბოლო) შორის გამართულ შიდაამერიკულ გარჩევებში ჩავრეულიყავი, სხვა, პრინციპული მოსაზრებებითაც ვხელმძღვანელობდი - რა ფასი აქვს ახალი წლის მანძილზე მშვიდობის სურვილს იმ ადამიანისგან, რომელიც სწორედ ამ ახალი, 2003 წლის განმავლობაში ემზადება ომისთვის?

და კიდევ: ბუშის ფაქსიმილეთი დამშვენებული და მილიონ ეგზემპლარად გამრავლებული მისალოცი ბარათის საკოლექციო ღირებულება არც ისე დიდია. სხვა საქმეა, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ღია ბარათი - 1953 წელს მან ბუშის მიერ დაგზავნილი ღია ბარათების მხოლოდ 0,1 პროცენტი, ანუ, 1 100 ცალი მისალოცი გაგზავნა და, რაც მთავარია, ყოველ მათგანს პირადად მოაწერა ხელი.

p.s. გაზეთ "24 საათის" ყველა მკითხველს ვთხოვ, ეს ტექსტი ჩემგან შობა-ახალი წლის გულწრფელ (და არა გულითად) მილოცვად მიიღოს. გისურვებთ მშვიდობას, ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულსა და წარმატებებს!

ვაკეთებ იმას, რაც მინდა

ბიძინა მაყაშვილი

პროფესიის სპეციფიკის გამო ათას ვინმესთან მომიხდა შეხვედრა. ზოგი მათგანი "ჩვეულებრივი მოკვდავისთვის" იმდენად მიუწვდომელი იყო, რომ ბევრის შურს ვიმსახურებდი. თავიდან მეც მეამაყებოდა; მერე შევეჩვიე; ცოტა მომბეზრდა კიდეც: შეხვდები "ვარსკვლავს", მოისმენ მის ერთსაათიან ტრაბახს; მერე ეცდები ეს ტრაბახი ისე ინტელიგენტურად მიიტანო მკითხველამდე, რომ ეს შენი "ვარსკვლავი" მთლად კრეტინი არ ეგონოთ. და სულ ეს არის. მოკლედ, ცოტათი გულგრილი გავხდი.

მაგრამ, ცხადია, ამ წესიდან გამონაკლისიც არსებობს. ბოლოდროინდელი შეხვედრებიდან ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ორმა დატოვა: ბრაზილიელი მომღერლის, ტანია მარიას სტუმრობამ "24 საათის" რედაქციაში და თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო საქსაფონისტთან, ბობ მინცერთან საუბარმა. თუ ბრაზილიელმა მომღერალმა ემოციურობით, სიმსუბუქით და ტემპერამენტით დამამახსოვრა თავი, მინცერი აშკარად ინტელიგენტობით და სიღრმით გამოირჩეოდა. სწორედ ამ უკანასკნელზე მინდა, მოგიყვეთ.

ჩვენი შეხვედრა ამ ზაფხულს, შუადღისას, კლუბ "ჯოის" ღია სცენაზე რეპეტიციის შემდეგ შედგა. წინა დღეს მას უკვე ჩატარებული ჰქონდა კონცერტი თბილისის ბიგ-ბენდთან ერთად და ეხლა თავის ჯგუფთან "ჯოის" კონცერტისთვის ემზადებოდა. ხანმოკლე შესვენების დროს ბობს ვთხოვე, იქნება სალაპარაკოდ ხუთი წუთი გამომიყო-თქო. შემპირდა, რეპეტიციის შემდეგო. მართალი გითხრათ, დიდი იმედი არ მქონდა, რადგან რეპეტიციიდან საჭმელად უნდა წაეყვანათ, მერე უნდა დაესვენა და საღამოს უკვე კონცერტი ჰქონდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა - უნდა დავლოდებოდი. რეპეტიცია 40 წუთს გაგრძელდა და ერთობ დიდი სიამოვნება მომანიჭა. და არა მარტო მე - იქვე ტრიალებდნენ ხმის ოპერატორები, რამდენიმე ქართველი ჯაზმენი, ორიოდე ჟურნალისტი, "ისთერნ პრომოუშენის" ბიჭები, ბატონი გაიოზ კანდელაკი და სხვები.

როცა ბობმა თავისი მოლაპლაპე ინსტრუმენტი მოიხსნა, სცენას მივუახლოვდი. შემამჩნია და ხელით მანიშნა, შენს განკარგულებაში ვარო.

შეიძლება ჩვენი საუბარი უფრო მუსიკალურ გამოცემას შეეფერებოდეს, ვიდრე ყოველდღიურ გაზეთს, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველს დაინტერესებს ამ კლასიკური ნიუ-ორკელი ინტელიგენტის დამოკიდებულება მუსიკისადმი.

- მაინც რატომ დათანხმდით თქვენთვის შორეულ, უცნობ და არასტაბილურ ქვეყანაში ჩამოსვლას?

- მე მიმოგზაურია სტუმარი მუსიკოსის რანგში. მშვენიერ გამოცდილებას ღებულობ, როდესაც სხვადასხვა ორკესტრებთან მუშაობ, თუნდაც ისინი არ იყვნენ მსოფლიოში საუკეთესონი. საერთოდ აქაურები აღტაცებულნი არიან, რომ მე აქ ვარ და ვგრძნობ, რომ შემიძლია, დავეხმარო მათ ცოტა უკეთ დაკვრაში. გარდა ამისა, ყოველთვის სასიამოვნოა, როცა არის ვიღაც, ვინც შენს დაწერილ მუსიკას ასრულებს.

- თქვენ მნიშვნელოვან როლს თამაშობთ ჯაზის პოპულარიზაციისთვის. დიდი მადლობა, რომ აქ ჩამოხვედით.

- ეს ორმხრივად მუშაობს: მე თქვენთან ჯაზს ვუწევ პროპაგანდას და თან თქვენი კულტურით ვმდიდრდები.

- რამე ხომ არ გსმენიათ აქ ჩამოსვლამდე ქართული მუსიკის შესახებ?

- არა, მაგრამ აქედან მიმაქვს კომპაქტ-დისკები და სახლში რომ ჩავალ, ვეცდები, საფუძვლიანად გავეცნო მათ.

- იქნებ მომავალში თქვენ ჯგუფთან, Yellow Jackets-თან ერთად ჩამოხვიდეთ?

- ეს სავსებით შესაძლებელია. ამაზე გვქონდა ლაპარაკი.

- მიღება და პირობები მოგეწონათ?

- ძალიან მომეწონა. ხალხმა კარგად მიიღო ჩემი მუსიკა.

- აუდიტორია თუ მოგყვებოდათ?

- დიახ, ამას ვგრძნობდი. ეს ძალიან სასიამოვნო და კომფორტაბელური იყო.

- ვის გავლენას განიცდიდით და თქვენ ვისზე მოგიხდენიათ გავლენა?

- მუსიკა ყოველთვის მიყვარდა. ძალიან ბევრს ვუსმენდი - ბლუზს, კლასიკას, როკ-ენ-როლს, ერიკ კლაპტონს.

უნივერსიტეტში წამყვანი კლარნეტისტი ვიყავი, ვუკრავდი სიმფონიურ ორკესტრში, ვმუშაობდი ნიუ-იორკის ფილარმონიულ ორკესტრთან, შემისრულებია ბროდვეის შოუებზე და გაკეთებული მაქვს უამრავი სტუდიური ჩანაწერი. მიყვარს მაილს დევისის, დიუკ ელინგტონის და თელონიუს მონკის მოსმენა. მომიწია დაკვრა უამრავ ბიგ ბენდებთან - მათ შორის ბადი რიჩთან. მე ყოველთვის ვცდილობ, ვიმოძრაო და ვისწავლო. ეს არასდროს მთავრდება. მე ბევრი მაქვს სასწავლი, როგორც მუსიკოსსა და როგორც ადამიანს.

- რას გულისხმობთ სწავლაში?

- მე ვსწავლობ სტრუქტურას, ვცდილობ, გამოვიყვანო ის პიანინოზე და საბოლოოდ, როგორღაც გარდავქმნა იმად, რასაც მსმენელი ღებულობს.

- თვლით თუ არა, თქვენს თავს ერთ-ერთ უდიდეს მუსიკოსად?

- არა, მე საერთოდ არ ვთვლი თავს "დიდ მუსიკოსად". "დიდი" ხარ მსმენელის თვალში. მე თქვენსავით ვარ - ვცდილობ, ვისიამოვნო სიცოცხლით და რაიმე აზრიანი ვაკეთო.

- ძალიან დიპლომატიური პასუხია.

- მე ვერ ვგრძნობ დიდებას; თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ ვქმნი მუსიკას, რომ ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს.

- მუსიკის კომერციალიზაციაზე რას იტყვით? უარყოფითად ხომ არ მოქმედებს თქვენს შემოქმედებაზე?

- სამწუხაროდ, კომერცია იმ სამყაროს ნაწილია, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ. მე ნამდვილად არ ვცდილობ, გავყიდო, რაც შეიძლება მეტი ჩანაწერი; მე უბრალოდ ვცდილობ შევასრულო მუსიკა, რომელიც იქნება ნამდვილი და გულახდილი.

- თუ განსხვავდება ერთმანეთისგან მუსიკა, რომელსაც ასრულებთ თქვენთვის, აუდიტორიისთვის და ჩამწერი კომპანიისთვის?

- მათ სხვადასხვა სანელებლები



აქვთ, მაგრამ ერთნაირად გემრიელები არიან. თუმცა, ბევრი კომერციული მუსიკის კეთება მომიხდა, რათა გადასახადები გადამეხადა. ახლა კი ვაკეთებ იმას, რაც სიამოვნებას მანიჭებს.

- დიდებულია, რომ შეგიძლიათ, თქვენს თავს ასეთი თავისუფლება მიანიჭოთ.

- ბიგ-ბენდის ჯაზი ბაზრის ძალიან მცირე ნაწილია - ბევრ ჩანაწერს ვერ გაყიდი. მაგრამ მე სხვა რამ მაქვს - ხალხი უკრავს ჩემს არანჟირებებს მთელ მსოფლიოში. ყველაზე კარგია, როცა ისეთი ხალხი მოდის, ვინც მართლა იცის მუსიკა. მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ თბილისელები იცნობენ ჩემ მუსიკას. ეს საოცარია, ასეთი პატარა ქვეყნისათვის, სადაც ჯაზის მოყვარულთა წრეც შესაბამისად პატარაა.

- ჩემი რამდენიმე მეგობარი თვლის, რომ თქვენ მსოფლიოს 5 საუკეთესო საქსაფონისტს შორის ხართ.

- ოჰ, ეს ძალიან სასიამოვნოა; დიდი მადლობა, მადლობა თქვენს მეგობრებს. თუ შენ ჩათვლი, რომ მწვერვალზე ხარ, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს შენზე. ეს მიმდინარე პროცესია. ძნელი სათქმელია, ვინ არის მწვერვალზე და ვინ ფსკერზე. ყველა განსხვავდება ერთმანეთისგან. მე ვარჩევ, არავის შევადარო ჩემი თავი - მე ნამდვილად განვიცდი გავლენებს და თქვენ შეგიძლიათ ამის მოსმენა.

- თუ არ ვცდები ხვალ მიემგზავრებით.

- დიახ, ბერნში სემინარზე, მერე კონცერტი მაქვს ჟენევაში, მერე იტალიაში უნდა ვუდირიჟირო ბიგ-ბენდს. შემდეგ უნდა დავუკრა რომში ჯულიანო როვერიოსთან და მერე უნდა დავუკრა პაოლო პრესვისთან - ეს შესანიშნავი პაინისტი ჯერ ისე ცნობილი არ არის, მაგრამ დიდი მომავალი აქვს.

მერე Yellow Jackets-თან ერთად ტურნე მაქვს ესპანეთში. მერე რამდენიმე ხანს სახლში ვიქნები, ბოსტონში მაქვს კონცერტი, მერე ისევ სემინარები ავსტრიაში.

- ძალიან დაძაბული გრაფიკით ცხოვრობთ.

- არც ისე დაძაბულია, როცა იმას აკეთებ, რაც გინდა.

ჩამოვლენ თუ არა თბილისში ტოტო კუტუნიო და ალ ბანო

მირანდა ოგანეზოვა

ნოემბრის ბოლოს მოსკოვს ცნობილი იტალიელები ალ ბანო, ტოტო კუტუნიო, პუპო და "რიკი ი პოვერი" სტუმრობდნენ. ეს მომღერლები 10-15 წლის წინათ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. თუმცა, რუსეთში ისინი დღესაც უყვართ. მათმა სამდღიანმა კონცერტებმა "სან-რემო წარმოგიდგენთ" კრემლის სასახლეში ანშლაგით ჩაიარა. ჩვენ მოგვეცა საშუალება გავსაუბრებოდით ტოტო კუტუნიოს და ალ ბანოს. კუტუნიო მსოფლიომ სიმღერით "ლ იტალიანო" გაიცნო. ის საკუთარ თავს კომპოზიტორად თვლის, ვიდრე მომღერლად და ამაყობს, რომ მის სიმღერებს თავის დროზე ადრიანო ჩელენტანო, ჯო დასენი და სხვა ცნობილი მომღერალი ასრულებდნენ... დღეს კი აცხადებს, რომ ახლო მომავალში სიმღერებს მოსკოვში მოღვაწე ქართველ მომღერალ დიანა ღურწკაისთვის დაწერს.

- როგორ ფიქრობთ რატომ არის მსოფლიოში განსაკუთრებული მიდგომა იტალიური მუსიკის მიმართ?

- იმიტომ, რომ ჩვენ გულით ვმღერით. იტალიაში ბავშვი რომ იბადება, მშობელმა იცის - ის აუცილებლად მომღერალი იქნება. არ აქვს მნიშვნელობა გაიცნობს თუ არა მას ქვეყანა. მთავარია იმღეროს. ჩვენთვის სიმღერა ყველაფერია. ამიტომაცაა, რომ ოპერა იტალიიდან მოდის. თან როგორ უმღერიან შეყვარებულებს სერენადებს? როდესაც იტალიელებს ფული აქვთ, მაშინვე ხარჯავენ. მათ ფული მშვენიერების შეგრძნებისთვის სჭირდებათ. (*არ შეიძლება არ დაეთანხმო. რამდენიმე წლის წინ იტალიელმა მომღერალმა ლორედანა ბეტიმ შეაყვარა თავი ჩოგბურთის ვარსკვლავს ბორგს და მთელი მისი მილიონები მოკლე ხანში დახარჯა..*)

- ერთ დროს მაყურებელი სან-რემოს ფესტივალს მოუთმენლად ელოდა. საინტერესოა, დღესაც ასეთივე პოპულარობით სარგებლობს?

- არა. სან-რემო აღარ არის ისე პოპულარული, როგორც ადრე. მის მიმართ ყველაზე დიდი ინტერესი 80-იან წლებში იყო. მაშინ ამ პატარა ზღვისპირას მდებარე ქალაქიდან გადაცემებს მთელი მსოფლიო უყურებდა. დღეს იტალია ცდილობს დაიბრუნოს ძველი დიდება. ფესტივალი უფრო მრავალფეროვანი გახდა; ბოლო დროს სან-რემოს მერაია ქერი, მადონა, სტინგი, ემინემი სტუმრობდა.



- ბევრ ქვეყანაში არსებობს პრობლემა ფონოგრამაზე შესრულებასთან დაკავშირებით. იტალიაში რა მდგომარეობაა?

- ამის პრობლემა არ არსებობს. თუ მომღერალს ცოცხლად შესრულება არ შეუძლია მისი ადგილი სცენაზე არ არის. ჩვენთან ბევრი ნიჭიერი შემსრულებელია, ამიტომ უნიჭო ესტრადაზე დიდხანს არ გაჩერდება. თუ ქვეყანაში ძირითადად ფონოგრამაზე მღერიან, ეს ძალიან ცუდი მოვლენაა. ახალ თაობიდან იტალიაში ბევრი მომღერალი მომწონს. მაგალითად, ტიციანო ფერრო. ის დღეს მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკალურ რეიტინგებშია.

- სხვათაშორის, ტიციანოს სიმღერა საქართველოს ოფიციალურ ოცეულშიცაა.

- იცით, მე საქართველოშიც ვიყავი ჩამოსული. ქართველები ძალიან ჰგვანან ნეაპოლიტანელებს. ისეთივე თბილი და კეთილი ხალხია.





- რუსულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ თქვენ თანამშრომლობას აპირებთ დიანა ღურწკაიასთან...

- დიახ, დიანა ნიჭიერი გოგოა. მე მისთვის აუცილებლად დავწერ სიმღერებს. მოსკოვში ერთი სიმღერა უკვე გვაქვს ერთად შესრულებული.

- საქართველოში ჩამოსვლას ხომ არ აპირებთ?

- დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინაში, ლატვიაში, ესტონეთში და ლიტვაში ვარ ნამყოფი.

ტოტოსთან საუბრის ბოლოს პატარა კურიოზიც მოხდა. როდესაც კუტუნიო თავის კოლეგებზე საუბრობდა, "რიკი ი პოვერი"-ს სოლისტმა ანჯელამ თავისი სახელი გაიგონა და მოგვიახლოვდა;

- რაზე საუბრობთ?

- იმაზე, რომ ადრე მე და შენ შეყვარებულები ვიყავით, დღეს კი მეგობრები ვართ, - *უპასუხა ტოტომ.*

- ეს სიცრუეა! რას უყვები ჟურნალისტებს,- *ყვირილი დაიწყო ანჯელამ და მაშინ დაწყნარდა, როცა მიხვდა, რომ კოლეგა ხუმრობის ხასიათზე იყო.*

- დიახ, ვადასტურებ, მე მისი ერთადერთი სიყვარული ვიყავი,- *თქვა ანჯელამ, მაგრამ ყველამ იცის, რომ კუტუნიო იტალიის ერთ ერთი ცნობილი დონ ჟუანია.*

ალ ბანო

მას შემდეგ რაც Felicita-ს შემსრულებლები ალ ბანო და მისი მომხიბვლელი მეუღლე რამინა პაუერი ერთმანეთს დაშორდნენ, საზოგადოებას აინტერესებს რა ხდება მათ პირად ცხოვრებაში. ერთ დროს ალ ბანოს მეგობარი " მის ჩეხეთი" გახლდათ. დღეს კი მის გვერდით იტალიის ტელევიზიის წამყვანი ლორედანა ლეჩიზოა. რამდენიმე თვის წინ ალ ბანოს მეექვსე შვილი შეეძინა. როდესაც მომღერალმა გაიგო, რომ მას ჟურნალისტი საქართველოდან აწუხებდა, სიამოვნებით გვიპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

- მართალია, რომ თქვენს ბიჭს სახელი რომის პაპის საპატივცემულოდ დაარქვით?

- დიახ. შარშან 14 იანვარს გოგო ჯესიკა დაგვებადა. წელს, როცა გავიგეთ, რომ ბიჭია, ლორედანამ თქვა, სჯობს ჯეისონი ან ჯეიმსი დავარქვათო, რადგან ჯესიკას მოუხდებოდა. მაგრამ, მე ჯოვანი პაოლო შევარჩიე. დიდ პატივს ვცემ პაპს. თუმცა, დღეს ბავშვს უბრალოდ ალ ბანო-უმცროსს ვეძახით.

- ოჯახში გადაწყვეტილებებს ყოველთვის თავად ღებულობთ?

- რა თქმა უნდა, არა. მე პატივს ვცემ ლორედანას სურვილებს. მაგალითად, მას სურს კვლავ ტელევიზიას დაუბრუნდეს და მე კი არ ვეწინააღმდეგები. სიმართლე გითხრათ, მირჩევნია სახლში იყოს და ბავშვებს ზრდიდეს, მაგრამ ლორედანა ძალიან ენერგიულია. უკვე გაზაფხულზე უნდა ჩემი კონცერტის ორგანიზება.

- ამბობენ, რომ თქენ ძალიან პატარა სახლში ცხოვრობთ...

- ეს ასეა. ბედნიერება სახლის სიდიდეზე არ არის დამოკიდებული.

ბოლოს კი იტალიელებმა ქართულ გაზეთსაც, "24 საათსაც" გადაავლეს თვალი და აღნიშნეს, რომ ასეთი ფორმატის გაზეთი იტალიაშიც გამოდის, მაგალითად, "კორიერა დე ლა სერა".

ქართველიშვილები

ბიძინა მაყაშვილი

ახალი წელი

მე გიორგი ქართველიშვილი ვარ და ეს ჩემი მეთერთმეტე ახალი წელია. ეს ჩემი ყველაზე საყვარელი დღესასწაულია 1 მაისთან და 7 ნოემბერთან ერთად. მაგრამ, მე ახალი წელი მირჩევნია, რადგან "პარადზე" არ მივყევართ. ისე, ამ ორი "პარადიდან" მაისის უკეთესია, რადგან ნოემბერში ძალიან ცივა და მაინც თეთრი "საროჩკით" უნდა იყო და თანაც ხელში ტრანსპარანტი უნდა გეჭიროს. წელს ძალიან ციოდა და ქარი უბერავდა. შარშანაც ციოდა, მაგრამ ქარი სხვა მხრიდან უბერავდა. ამის მიუხედავად, მაინც კარგი იყო, იმიტომ რომ, ძალიან გავცივდი და 15 დღე (კვირეების ჩათვლით) არ დავდიოდი სკოლაში. ისეთი მაღალი სიცხე მქონდა, რომ ფანჯრებს სულ ღია ვტოვებდით, ოთახში რომ ცოტა აგრილებულიყო. მაგრამ, მთელი ორი კვირა დედა დღეში ექვს ცალ ვალიდოლს მასმევდა და მოვრჩი. ავადმყოფობის შემდეგ ერთი თვე ვიარე სკოლაში და მერე ზამთრის არდადაგებზე დაგვითხოვეს. სკოლიდან რომ დავბრუნდი, სახლში ჩვეული წინასაახალწლო ფუსფუსი დამხვდა: დედა სამზარეულოში საგოზინაყე მაკარონს ჭრიდა; მამა სამლიტრიან ქილაში მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი კიტრის ნაფცქვენებიდან ჭაჭას ხდიდა. ჩემი და კი საბავშო ბაღში საახალწლოდ ნაჩუქარ ქაღალდის წებოს ენით სინჯავდა. მეც ამოვიღე ჩანთიდან წიგნი, რომელიც სკოლაში მაჩუქეს საახალწლოდ - "მენავთობის ცნობარი". მე და ჩემმა დამ ცოტა ხანი ერთმანეთის საჩუქრებით ვითამაშეთ: მე წებოს დავაწე ენა, ჩემ დას კი წიგნი დავაჭერინე. როცა თამაშით დავიღალეთ, გადავწყვიტეთ ნაძვის ხის მორთვა. რადგან მამა მესაფლავეა, ნაძვის ხეს ყოველთვის საფლავებიდან იპარავს. წელსაც ასე იყო, ოღონდ, დამატებით კუბოს ლურსმნებიც მოგვიტანა ხის მოსართავად. ოთხი დიდი ლურსმანი იყო და 20 პატარა. დიდი ლურსმნებით კუბოს სახურავს აჭედებენ, იქიდან რომ გვამი არ ამოვიდეს; პატარებით კი, შიგნით ქსოვილს ამაგრებენ, გვამმა რომ თავი კომფორტულად იგრძნოს და ამოსვლა არ მოუნდეს. ლურსმნების გარდა, ნაძვისხეზე მამას ნახმარი "ნევას" ძველი "ბრიტვები" ჩამოვკიდეთ; მართალია, ზოგს ჟანგი და სისხლი ჰქონდა შემხმარი, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზად ბრჭყვიალებდნენ. კიდევ დედამ ყველა საახალწლო მისალოცი ღია ბარათი კი არ დაარიგა, არამედ სახლში მოიტანა. და ჩვენც იქიდან ამოვჭერით ლამაზი სურათები და ისინიც ხეზე დავკიდეთ. ერთი სიტყვით, ძალიან ლამაზი ნაძვისხე გამოვიდა. ახალი წელი რომ დადგა, რადიო ჩავრთეთ და საახალწლო სუფრას შემოვუსხედით. მეზობლებმა თოფების სროლა ატეხეს. ჩვენ თოფი არ გვქონდა, ამიტომ "ლაგატკა" ამოვიღე და წინასწარ მომზადებული კენჭების სროლა დავიწყე, მაგრამ ავაცდინე; სამაგიეროდ, კენჭი ერთადერთ ნათურას მოხვდა, გატეხა და ნატეხები მაკარონის წვენის ბაჟეში ჩაიყარა. დაბნელდა და ყველანი დავწექით; მეზობლების ბინებიდან კი მრავალჟამიერი და "აბბას" "მანი, მანი" ისმოდა და ტკბილად ჩამეძინა. მეორე დილას მამამ მე და ჩემი და სპორტის სასახლეში წაგვიყვანა ნაძვის ხეზე. შესასვლელში ძალიან ლამაზი მუყაოს ყუთები მოგვცეს, რომელშიც ძალიან ბევრი საჩუქარი იდო: მრგვალი, გამხმარი "პეჩენია" ნამგალის და ურoს გამოსახულებით, ლეღვის ხმელი ჩირი, კოწახურის კანფეტი, ქლიავის პავიდლოიანი კანფეტი, "ფისო-ფისო" კანფეტი, მაგარი ნუგა, მწვანე კანმიმხმარი მანდარინი და ღია ბარათი ლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის ფოტოთი. ჩემ დასაც ზუსტად იგივე საჩუქრები ერგო, ოღონდ მის ღია ბარათს კრასნოდარის №2 ჩაის კომბინატი ეხატა; თანაც, მის ჩირში ნამდვილი მატლი ცხოვრობდა. სპორტის სასახლეში ციოდა, მაგრამ მაინც კარგი იყო: დიდი ნაძვის ხის გარშემო დარბოდნენ, ხტუნაობდნენ და მღეროდნენ თოვლის პაპა, სნეგუროჩკა, ფიფქია და შვიდი ჯუჯა, ფოკუსნიკი და კლოუნი. კლოუნი მაყურებელს ვედროდან წყალს ასხამდა - ძალიან სასაცილო იყო, ოღონდ, ცოტათი ცივი. თანაც თოვლის პაპა მამას კლასელი აღმოჩნდა, რომელიც 17 წელი არ ჰყავდა ნანახი. როცა წარმოდგენა დამთავრდა, მან ექვსი ცალი ყუთი გვაჩუქა და მამასთან ერთად ბოლო რიგში დაიწყო არაყის დალევა. ხალხი უკვე წასული იყო, ისინი სვამდნენ, ჩვენ კი საჩუქრებს ვჭამდით. როცა ჭამას მოვრჩით, ისინი უკვე მთვრალები იყვნენ და საკუთარ ნარწყევში ეძინათ. ჩვენ გვციოდა; თან ჩემ დას მუცელი ასტკივდა, კუჭი აეშალა და ჩაისვარა. ნახევარი საათის შემდეგ მეც იგივე დამემართა. ორი საათის შემდეგ დარაჯმა მამა გააღვიძა და სახლში წავედით. სიმთვრალის გამო მამას მეზობელი სადარბაზოდან ნათურის მოპარვა დაავიწყდა და რადგან სახლში ბნელოდა, ყველანი დავწექით. მე და ჩემი და გავცივდით, მაგრამ დედას, სამსახურიდან მოპარული კროსვორდებიანი გაზეთები აქვს მოტანილი და მთელი ზამთრის არდადაგები გასართობი მექნება. ძალიან მიყვარს ახალი წელი.

მაგალითი ფანტასტიკურ ნახატის

ნაბახუსევის ანატომია

როგორ ვიმკურნალოთ ნაბახუსევს

ნყურვილის საშინელი გრძნობა, გაუსაძლისი თავის ტკივილი, კიდურების კანკალი, გულის რევა - ეს სიმპტომები ყველასთვის ნაცნობია, ვისაც ალკოჰოლურ სასმელებთან განსაკუთრებულად თბილი გრძნობები აკავშირებს. ინყება (ვისთვის, უკვე დაინყო კიდეც) მოლხენის ხანგრძლივი პერიოდი და მოდით, ვნახოთ, თუ როგორ ებრძვის (და ხშირ შემთხვევაში მარცხდება) ადამიანის ორგანიზმი ჩვენივე ნებით გამოწვეულ ალკოჰოლურ მოწამვლას.

ახლა ქეიფის დროა: სასმელებში ალკოჰოლიდან უფრო ხშირად შედის ეთანოლი და სხვადასხვა რაოდენობის მეთანოლი - ტოქსიკური ხის ალკოჰოლი.

ნითელი ღვინო, ბრენდი და ვისკი ყველაზე მეტ მეთანოლს შეიცავს. არყის მსგავსი სასმელები კი - უფრო ნაკლებს.

1 კუჭი: ალკოჰოლი კუჭის გავლით გადადის სისხლის მიმოქცევის სისტემაში და შემდეგ ტვინში.

2 წვრილი ნაწლავი: იხსნება პილორული სარქველი. სასმელი იღვრება მცირე ნაწლავში. ალკოჰოლი სწრაფად შეინოვება.

3 შარდის ბუშტი: ეთანოლი შარდმდენია. ის მოქმედებს ტვინის ჰიპოფიზზე და შედეგად, ხელს უშლის იმ ჰორმონის წარმოქმნას, რომელიც თირკმელს სითხის შენოვის ფუნქციას ანიჭებს. გამოირთვება თუ არა ეს ჰორმონი, შარდის გამოყოფაც ძლიერდება.

4 ღვიძლი: ფერმენტები შლის ალკოჰოლის ეთანოლს: გამოიყოფა მომნამველელი აცეტალდეჰიდი და ძმრის მჟავა, რომელიც ინვევს თავბრუს ხვევას და უქეიფობას.



მეთანოლი: რომელიც გადაიქცევა ფორმალდეჰიდად და ტოქსიკურ ჭიანჭველმჟავად ნაბახუსევს ყველაზე გაუსაძლის სიმპტომებს ინვევს.

5 ტვინი: დეპიდრაციის გამო ტვინი იკუმშება, რაც თავის ძლიერ ტკივილს ინვევს



გაუწყლოება - დეპიდრაცია

იონების, ნატრიუმის, კალიუმის, მაგნიუმისა და კალციუმის დაკარგვა (რასაც ნერვებსა და კუნთებზე აქვს დიდი გავლენა) ინვევს გულისრევას, თავის ტკივილსა და დაქანცულობას.

© GRAPHIC NEWS

გადაბმული ლბინი და დღესასწაული ხშირ შემთხვევაში მწვავე უქეიფობით მთავრდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: დეპიდრაცია, რადგანაც ალკოჰოლი სხეულიდან დიდი რაოდენობით წყალს გამოდევნის; შოკი, რადგანაც გამოიყოფა დეპრესანტი; უმადობა, რადგან ალკოჰოლი ანადგურებს ვიტამინების მარაგს.

მიზეზი და გაელენა: მშიერ კუჭზე სმა აძლიერებს ალკოჰოლის გაელენას. ბურბონსა და ნითელ ღვინოში დიდი კონცენტრაციით შედის გარკვეული ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც სასმელს თავისებურ გემოს აძლევს, მაგრამ ნაბახუსევს ქრონიკული უქეიფობის მიზეზი ხდება. ალკოჰოლი აძლიერებს შარდის გამოყოფას, რაც, თავის მხრივ, დეპიდრაციას ინვევს.



მკურნალობა: დალიეთ რძე ან რამდენიმე ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი. რომაელები ნაბახუსევს კომბოსტოს ფურცლებს მიირთმევდნენ, ძველი ეგვიპტელები კი კომბოსტოს ნაყენს სვამდნენ. რუსები დღესაც თხლად დაჭრილი კიტრით მკურნალობენ.



ხალხური მეთოდები: გერმანელები ნაბახუსევს ბანანით, ნითელი ხორცითა და რძით ანდა, მდოგვიანი ქაშაყით საუზმობენ, თურქები კი - ნივრითა და იოგურტით.

ჯადოქრობა: ჰაიტელები 13 შავთავიან სარქს იმ ბოთლის თავსახურში არქობენ, რომლიდანაც ალკოჰოლური სასმელი დალიეს.

შეიარეთ ჯანსაღი საკვების მაღაზიაში: ცისტეინი პირდაპირ ურთიერთქმედებს აცეტალდეჰიდზე, აღარ წარმოიქმნება დაღლილობის გრძნობა თუ თავბრუსხვევა.

საშინაო მეთოდები: ძველად, ევლურ დასავლეთში, ვისკის სმაში გათენებული ღამეების შემდეგ კოვზები გამომხარი კურდღლის წვენზე დამზადებული ჩაით "ცოცხლდებოდნენ".

გაფრთხილება: თუ გაქვთ დაზიანებული ღვიძლი, არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ასპრინი, იბუფროფენი, აცეტომინოფენი და ა.შ.

ვულკანის ფერფლი: ბრიტანული ფირმა ექსპერიმენტის ჩატარებას და მინერალური ცეოლიტის აბებად გამოშვებას აპირებს. "ზეტოქსის" აბები, რომლებიც ინტერნეტით უკვე იყიდება კიდეც, ალკოჰოლიდან ტოქსინებს ინოვს.

როგორ იქცევიან ლონდონელები: მიდიან სეინტ ჯეიმსზე, აფთიაქ D.R. Harris & Co-ში და თავიანთ ნილ მიქსტურას სახელნოდებით Pick-Me-Up (ფეხზე ნამომაყენე) ყიდულობენ. 162 წლის რეცეპტით მზადდება სითხე, რომელიც შეიცავს ალკოჰოლს, ამიაკს, კამფორას და ვიტამინებს?

© GRAPHIC NEWS

ПРОФЕСИОНАЛЕБИС АЗРИТ

გაზეთი "24 საათი" თავის ფავორიტებს ასახელებს

წლის ბოლოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტარდება მწვრთნელებს, გულშემატკივრებს, ჟურნალისტებს შორის გამოკითხვები, რომელთა მიხედვით სეზონის საუკეთესო სპორტსმენებს ასახელებენ. ასეა საქართველოშიც.

2002 წლის უკანასკნელ ნომერში საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის, მწვრთნელის გუნდისა და საუკეთესო ფეხბურთელის ჩვენეულ ვერსიას გთავაზობთ.

საუკეთესო სპორტსმენი

ელდარ კურტანიძე
(თავისუფალი ჭიდაობა)

ელდარ კურტანიძე 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ევროპის ჩემპიონატზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. საუკეთესო სპორტსმენად ის საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა კავშირმაც დაასახელა – ამ აზრს ვიზიარებთ ჩვენც.

საუკეთესო მწვრთნელი

კლოდ სორელი
(საქართველოს რაგბის ნაკრების მწვრთნელი)

საქართველოს რაგბისტთა ნაკრების წლევანდელი წარმატება უდიდესი სპორტული მოვლენა იყო საქართველოსთვის. ამბობენ, კლოდ სორელი მეღვინეა და საქართველოში ჩამოსვლამდე მწვრთნელობის ბევრი არაფერი გაეგებოდაო. არ აქვს მნიშვნელობა, სად და როდის ისწავლა სორელმა რაგბი, საქართველოს მან დიდი სიხარული მოუტანა – გაზეთი "24 საათი" მას 2002 წლის საუკეთესო მწვრთნელად ასახელებს.

საუკეთესო გუნდი

საქართველოს რაგბის ნაკრები
ამ ნომინაციაში გამარჯვებულის

გამოსავლენად ბევრი ფიქრი არ არის საჭირო. საქართველოს რაგბისტთა ნაკრები 2002 წლის ტრიუმფატორია – დიდი მადლობა მათ!

საუკეთესო ფეხბურთელი

კახა კალაძე

კახა კალაძე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ძირითადი, შეუცვლელი ფეხბურთელი გახდა. ის არის საქართველოს სახე მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში. მძიმე ოჯახური ტრაგედიის გამო, მან ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, მაგრამ ვერ მოითმინა და დაბრუნდა. გაზეთი "24 საათი" კახი კალაძეს 2002 წლის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად მიიჩნევს.

როგორი იყო გასული წელი? რა დაგვამახსოვრდა ყველაზე მეტად? რას უნდა ველოდოთ მომავალ წელს? – ეს ის კითხვებია, რომლებიც ყოველი ახალი წლის დადგომას ახლავს თან. ამ კითხვით სპორტის პროფესიონალებს მივმართეთ. თითოეულ მათგანს სამი კითხვა დავუსვით, რომელთაც ისინი თანმიმდევრობით პასუხობენ.

1. 2002 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა მსოფლიოს მასშტაბით

2. 2002 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა საქართველოში

3. რას უნდა ველოდოთ მომავალ წელს?

ემზარ ზენაიშვილი (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი)

1. მსოფლიო სპორტში წელს არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. რა თქმა უნდა, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშები და ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლებიც არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თავისი მასშტაბურობით და დატვირთვით სხვა სპორტულ დღესასწაულებს აღემატება.

2. ქართულ სპორტში წელს მართლაც ბევრი რამ იყო მნიშვნელოვანი. ჩვენმა სპორტსმენებმა არაერთ კარგ შედეგს მიაღწიეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლდათ, რომ პოტენციურმა ოლიმპიელებმა საერთაშორისო ასპარეზზე ძალზე კარგი შედეგები აჩვენეს. ქართველ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული 16 მედალი იმის გარანტიაა, რომ მომავალ წელს ლიცენზიებს ავიღებთ. ყოველივე კი, რა თქმა უნდა, მტკიცე საფუძველს ჩაუყრის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველთა ღირსეულ ასპარეზობას.

3. 2003 წლისთვის სპორტის 12-13 სახეობაში 38-40 ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება იგეგმება. გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ვგონებთ, ათენში საქართველოს ღირსეული დესანტი ეყოლება, რომლებსაც, ალბათ, ნებისმიერი ხარისხის მედლებისთვის ბრძოლა უნდა ხელეწიფებოდეთ. თუმცა, ყოველივესთვის ცხადია, ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო. ამისთვის აუცილებელია სეოკ-ის, ოლიმპიური ფონდის, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და რა თქმა უნდა, სპორტულ ფედერაციათა ერთობლივი ძალისხმევა.

ელგუჯა ბერიშვილი (სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი)

1. წლეულს მრავალი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გაიმართა, მაგრამ საუბარია მთავარზე და უმნიშვნელოვანესზე, რა თქმა უნდა გამოსაყოფია ზამთრის ოლიმპიური თამაშები და ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი.

2. საქართველოსთვის 2002 წელი ერთ-ერთი წარმატებული გამოდგა. გამარჯვებები მოპოვებულ იქნა როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობებში. მათ შორის კი განსაკუთრებით გამოსაყოფია ჩვენი ძიუდოისტები და მორაგბეთა წარმატებები. აგრეთვე ელდარ კურტანიძის მსოფლიო ჩემპიონობა და ნინო სალუქვაძის მიერ მოპოვებული ოლიმპიური ლიცენზია.

3. იმედია სალუქვაძის საქმეს სხვა ქართველი სპორტსმენებიც გააგრძელებენ. დიდი ინტერესით ველით ქართველ მორაგბეთა დებიუტს მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე. კარგი იქნება თუ ფეხბურთელებიც ივაჟკაცებენ.

ელდარ კურტანიძე (მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში)

1. პირადად ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობა გახლდათ, რადგან არ მინდოდა, რომ ქართველი გულშემატკივარი განწბილებული დამეტოვებინა. ჩემი ქვეყნისთვის ვალი მქონდა გადასახდელი, ამრიგად მომიტევეთ და მთელი ჩემი ყურადღება მისკენ მქონდა გადატანილი. ისე კი, რა თქმა უნდა, სპორტის გულშემატკივართათვის 2002 წელი ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატით იყო საინტერესო.

2. წელს გამოჩნდნენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც მომავალ მნიშვნელოვან ასპარეზობებზე ქართველ გულშემატკივარს ზღვა სიხარულს მიანიჭებენ. მიუხედავად გაჭირვებისა, სასიხარულოა, რომ ამ სფეროში საქმემ წაინია. გამოჩნდნენ ადამიანები თუ ორგანიზაციები, რომლებიც სპორტსმენებს მხარში ამოგვიდგნენ. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ოლიმპიური ფონდი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი წლეულს ორმაგად ამოგვიდგნენ მხარში. ეს კი, მომავლის იმედს იძლევა. ერთი სიტყვით, წინსვლა შეინიშნება, ტენდენცია მართლაც შეინიშნება. ამის დასტურია ის რომ გვყავს ჩემპიონები და პრიზიორები.

3. 2003 წელს მეტ სიხარულსა და გამარჯვებებს უნდა ველოდოთ. ჩვენ გვაქვს ამის პოტენცია. ამ მხრივ გამოვყოფდი ისეთ კლასიკურ სახეობებს როგორიცაა ძიუდო, "ბერძნულ-რომაული" და თავისუფალი სტილით ჭიდაობა. მერწმუნეთ, ეს უკანასკნელნი 2003 წელს უფრე მეტ სიტყვას იტყვიან, ვიდრე აქამდე უთქვამთ. ამასთან, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქართველ ხალხს მივულოცო დამდეგი ახალი წელი. მსურს რომ მომავალ წელს მეტი ბედნიერი სახე ვნახო საქართველოში, ჩემს ერში.

კახა კალაძე (ფეხბურთელი)

1. პირადად ჩემთვის წლეულს რაიმე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატი მუდამ მოვლენაა და, ამდენად, მას თუ ჩავთვლი ყველაზე მნიშვნელოვნად.

2. საქართველოში ყველაზე გამორჩეული მოვლენა მორაგბეთა მიერ მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე გასვლა იყო.

3. წლევანდელის მსგავსად, მომავალ წელს მორაგბეთა იმედი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას და ასევე - ფეხბურთელების. მე მგონი, ფეხბურთელები გულშემატკივრებს სასიამოვნო სიურპრიზებს შესთავაზებენ.

ბიძინა გეგიძე (რაგბის კავშირის პრეზიდენტი)

1. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი პლანეტაზე უდიდესი შეჯიბრია ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ამდენად, მასზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი წელს არაფერი მომხდარა.

2. საქართველოში ყველაზე მეტად მორაგბეები გამოირჩნენ. ნაკრების გამარჯვებამ ხალხს ყოფითი პრობლემები დაავიწყა და ქუჩაში სიხარულით გამოიყვანა. ამაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ქვეყანაში არაფერი მომხდარა.

3. რა თქმა უნდა, ყველას იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ, ვფიქრობ, მორაგბეები და მოჭიდავეები გამოიჩენენ თავს.

საქართველოს ნაკრები წიწილებს გაზაფხულზე დაითვლის

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის 2002 წლის ბოლო სხდომა გაიმართა, სადაც ხუთი საკითხი განიხილეს. როგორც მოსალოდნელი იყო, აღმასკომის წევრებმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარდგენილი რევაზ არველაძის კანდიდატურა მოიწონეს და დაამტკიცეს. ასევე, დამტკიცდა საქართველოს მე-14 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარიც. აღმასკომმა იმსჯელა სულხან იაშვილის ინიციატივაზეც, რომელიც ფეხბურთის წესებში ცვლილების შეტანას შეეხებოდა.

მამუკა კვარაცხელია, ალექსანდრე ჩივაძე და მერაბ ყორდანია

მიხეილ აბაიშვილი

იაშვილი ის პიროვნებაა, რომელმაც ფიფა-ს წინაშე პირველად დააყენა საკუთარი მეკარისადმი ფეხით დაგორებული ბურთის ჯარიმით დასჯის საკითხი. ამჯერად იაშვილის ინიციატივა თამაშგარე მდგომარეობის წესის შეცვლას შეეხებოდა. პროექტის მიხედვით, თუ პასი თავით კეთდება, თამაშგარე მდგომარეობა აღარ უნდა დაფიქსირდეს. აღმასკომის წევრებმა მოიწონეს ნოვაცია, თუმცა ფიფა-სადმი ამ შესწორების ინიციატივით მიმართვა მომავალი წლისთვის გადადეს. მანამდე კი ფედერაცია ამ საკითხის საჯაროდ განხილვას აპირებს და მასში მონაწილეობის მისაღებად ფეხბურთის სპეციალისტთა ფართო წრეს ჩართავს. უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის სიურპრიზიც. ბატონმა ჭაბუამ გერმანიაში გამოსცა პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი საკუთარ თხზულებათა შვიდტომეული და გუშინ ფეხბურთის ფედერაციას ეროვნული ნაკრების წევრთა დასასაჩუქრებლად რამდენიმე ათეული კომპლექტი გადასცა. ფეხბურთელების გარდა, იგივე გამოცემით საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გუნდის მოთამაშეებიც დაჯილდოვდებიან.

აღმასკომის სხდომის დასრულების შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა, რომიკო შოთაძემ, ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდრე ჩივაძემ და ახალგაზრდული ნაკრების ახლადდანიშნულმა თავკაცმა, რევაზ არველაძემ.

ვიცე-პრეზიდენტის თქმით, მსაჯობაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მომავალი წლიდან არბიტრებს თამაშებზე ახალი წესით დანიშნავენ - კერძოდ, მსაჯებს დანიშნავს სფფ-სთან შექმნილი სპეციალური კომისია, ხოლო მათ მაკონტროლებლებს- თამაშის კომისრებს - ფეხბურთის განვითარების კომიტეტი. ამას გარდა, შემოღებული იქნება ახალი თანამდებობაც – მატჩის დირექტორი, რომელიც ორმაგ კონტროლს განახორციელებს. მატჩის დირექტორებად მოწვეულნი იქნებიან ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელები.

შოთაძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ წელს ეროვნული ჩემპიონატი, წინამორბედებთან შედარებით, გაცილებით საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს და ჩემპიონის ტიტულისთვის ერთბაშად ოთხი გუნდი იბრძვის. მანვე გამოთქვა იმედი, რომ ამ ოთხეულს მომავალ წელს სპონსორგამოძებნილი და განახალებული "მერანი" შეუერთდება. შოთაძის აზრით, მომავალ სეზონზე ზღვისპირელებმაც – ბათუმის "დინამომ" და ფოთის "კოლხეთმა" საკუთარი თამაშით სერიოზული განაცხადი უნდა გააკეთონ, რაც ეროვნულ ჩემპიონატს გაცილებით საინტერესოს გახდის.

ალექსანდრე ჩივაძე ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდში მთავარ მწვრთნელად რევაზ არველაძის მოწვევით ძალზე კმაყოფილია. მისი თქმით, საქართველოს ახალგაზრდული და სხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელებისგან შეიქმნება ნაკრების მწვრთნელთა საბჭო და ყველა მწვრთნელი კოორდინირებულად იმუშავებს. ამ კოორდინაციის მთავარი მიზანი ეროვნული ნაკრებისთვის ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენა და შერჩევა იქნება. "მუშაობის ასეთი სტილი ახალი არაა. წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში სწორედ მსგავსი პრინციპით მოქმედებენ. ალბათ, სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი იწყება. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის პირველმა გუნდმა სერიოზული შევსება, პირველ რიგში, სწორედ ახალგაზრდული ნაკრებიდან მიიღოს", - განაცხადა ჩივაძემ. ალექსანდრე ჩივაძე უკმაყოფილოა საქართველოს ნაკრების მიერ 2002 წელს ნაჩვენები შედეგებით. იგი თვითკრიტიკასაც არ გაექცა და საკუთარ მთავარ დანაშაულად ნაკრების დაკომპლექტების არასწორი პოლიტიკა დაასახელა. მისი თქმით, დღეიდან მოყოლებული, ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ იმ ფეხბურთელებს გამოიძახებენ, რომლებიც საკუთარ კლუბებში ლიდერები არიან და მუდმივი სათამაშო პრაქტიკა გააჩნიათ. "ამით იმის თქმა არ მინდა, რომ რომელიმე ფეხბურთელს ან ფეხბურთელთა ჯგუფს ნაკრებში აღარ გამოვიძახებ. ნაკრების კარი კვლავაც ყველასათვის ღიაა, მაგრამ ეროვნულ გუნდში მოსახვედრად მხოლოდ სახელი არ იქნება საკმარისი. მხოლოდ კარგი თამაშით, საქმით უნდა დამტკიცდეს, რომ ამ დიდი პატივის ღირსი ხარ. ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ ნაკრების ყველა კანდიდატი ფეხბურთელის თამაშს სისტემატურად მივადევნოთ თვალი და არჩევანი ისე გავაკეთოთ", - დასძინა ჩივაძემ.

ეროვნულ ნაკრებს გაზაფხულზე სამი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის და სამივე შეხვედრაში ჩვენი გუნდი მასპინძელი იქნება. საუბარია ირლანდიის, შვეიცარიის და რუსეთის ნაკრებ გუნდებთან მატჩებზე. სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ გაირკვევა, გააგრძელებს საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლას, თუ "ტრადიციულად" სტატისტის როლით შემოიფარგლება. პირველი შეხვედრა ირლანდიის ნაკრებთან გველის. ჩივაძის აზრით, ამ თამაშს ბრიტანელებისთვისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ ზედიზედ ორი მატჩი აქვთ წაგებული და თუ თბილისშიც დამარცხდნენ, ბოლო შანსს დაკარგავენ. "შესაბამისად, ირლანდიელები საქართველოში არა სათამაშოდ, არამედ საომრად ჩამოვლენ. თუმცა, ჩვენც მძიმე მდგომარეობაში ვართ და ომისთვის არანაკლებ მოვემზადებით. ამ სამ შეხვედრაში წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში, შეიძლება, საგზურის მოპოვების საკითხიც კი დადებითად გადავწყვიტოთ. ამიტომ, უსერიოზულესად მოვემზადებით", - განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა. თუმცა, მზადებისას, შესაძლოა, სერიოზული ხელის შემშლელი მომენტი გამოჩნდეს. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრებს ოფიციალურ მატჩებამდე ერთი ამხანაგური შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი, რომელიც 12 თებერვალს ტალინში, ესტონეთის ეროვნულ გუნდთან უნდა გამართულიყო. ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციიდან სფფ-ში გუშინ მისული შეტყობინების თანახმად, ბალტიისპირელებს ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტიათ ამ შეხვედრაში მონაწილეობის საკითხი და შეიძლება სპარინგად სულაც სხვა ქვეყნის ნაკრები შეირჩეს. ესტონელები საბოლოო პასუხს უახლოეს ათ დღეში გამოგზავნიან. თუ პასუხი უარყოფითი იქნება, სფფ სერიოზულ ცაიტნოტში აღმოჩნდება, რადგან ახალი პარტნიორის მოძებნისთვის დრო, თითქმის, არ დარჩება.

რევაზ არველაძისთვის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეროვნული გუნდისთვის რეზერვების მომზადება შეეძლება. იგი მუშაობას 6 ქულით იწყებს (დამარცხებები შვეიცარიაში და თბილისში რუსეთის ახალგაზრდულთან), შესაბამისად, ფავორიტებთან ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებაზე პირობის დადება უაზრო და უსაფუძვლო კვეხნად მიაჩნია. "ჯერჯერობით ფეხბურთელების შერჩევისას აქცენტს კვლავაც ძველ კადრებზე გავაკეთებ. მოედანზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორმით გამოსული ფეხბურთელი, შეიძლება, ძალიან მაღალ დონეზე ვერ თამაშობდეს, მაგრამ ნამდვილი მებრძოლი უნდა იყოს, კეთილშობილი რაინდი, რომელიც მოედანზე საომრად გამოვა და ბოლომდე დაიხარჯება. თანამედროვე ფეხბურთში მთავარი მოთხოვნა სწორედ ბრძოლისუნარიანობაა და ქართველი ფეხბურთელები ამას ახალგაზრდული ასაკიდანვე უნდა მიეჩვიონ", - თვლის რევაზ არველაძე.

ეს იყო მხურვალე
გულშემატკივრების
წელი...

ეს იყო წელი,
როდესაც ბრაზილიამ მეხუთედ
მოიპოვა მსოფლიო თასი...

ეს იყო რონალდოს
წელი...



ეს იყო იმედგაცრუებების წელი...

2002 წელს საქართველომაც გაიხარა...



ეს იყო წელი, რომელსაც გამოვიდა გაზეთ "24 საათის" პირველი ნომერი

იყო იმედგაცრუებებიც...

იუმორი

ანეკდოტები

საქართველო - ნორვეგიის მატჩის წინ. სტადიონის შესასვლელთან მძღოლთათვის გამოაკრეს ფირნიში - "მძღოლებო, ნუ გადათელავთ გულშემატკივრებს". მატჩის შემდეგ - "დაელოდეთ ფეხბურთელებს".

გაიგეთ ჩვენი ნაკრების თავდამსხმელმა თავის მოკვლა გადაწყვიტა.
- მერე?
- როგორც ყოველთვის - ააცდინა!

კომენტატორის რეპორტაჟი: "ერთმანეთს ხვდებიან ბრაზილიისა და რუსეთის ნაკრები გუნდები. ანგარიშია - 14:0 ბრაზილიელთა სასარგებლოდ, მაგრამ გულშემატკივრები ოპტიმიზმს არ კარგავენ. ჯერ ხომ მხოლოდ მესამე წუთი მიმდინარეობს.

პაპუა ახალი გვინეის ნაკრების მწვრთნელი თავის ბრაზილიელ კოლეგასთან მივიდა.
- მეგობარო! თქვენებმა ყველაფერი მოიგეს რისი მოგებაც შეიძლებოდა. თუ ძმა ხარ მეც მასწავლე გამარჯვების რეცეპტი?
- დიდი არაფერი. ვარჯიშის დროს უბრალოდ მოედნის ერთ ნახევარზე 11 კასრს ვდგამ და ჩემს ფეხბურთელებს 90 წუთის განმავლობაში მათ წინააღმდეგ თამაშს ვაიძულებ. თერთმეტივეს ატყუებენ.
ერთი თვის შემდეგ.
- "როგორ არის საქმე" - ეკითხება ბრაზილიელი.
- ცუდად.
- რაც გითხარი გააკეთე?
- გავაკეთე.
- მერე?
- კასრებმა მოიგეს.

კომენტატორები

ნუგზარ ჯულელი:

საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთმანეთს ხვდება თბილისის "დინამო" და ქუთაისის "ტორპედო". საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთი მერაბ მეგრელაძემ მიიღო. დარტყმაა... რა ხდება, ბურთი არ ითვლება?... ან როგორ ჩაითვლებოდა? ბურთი ასცდა კარს.

ბურთით დავით ყიფიანია. გადააწოდა მარცხნივ - გუცაევს, მარჯვნივ - შენგელიას.
დერიუგინი ეუბნება ბიჭიაშვილს რაღას უყურებ - შემიგდე, შემიგდეო. როგორ შეგიგდო, როცა წინ ტკაჩენკო მიდგასო - პასუხობს ბიჭიაშვილი.

დერიუგინი ახტა, მაგრამ ჩამოხტომა ამჯობინა.

ჯამლეთ ხუხაშვილი, ვახო გეგელია.

მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატის მატჩი რუმინეთი - პორტუგალია.
ჯამლეთ ხუხაშვილი: "რეალმა" ფიგუ 56 მილიონ დოლარად იყიდა. მე რომ მკითხო ფიგუს 56 მილიონის არაფერი გაუკეთებია. ერთი მაკრატელა დაარტყა. ვთქვათ ეს ერთი მილიონი. დანარჩენი"?

- ბატონო ჯამლეთ! ამ ლოგიკით ფიგუმ ყოველ თამაშში 56 მაკრატელა უნდა დაარტყას - უთხრა ვახო გეგელიამ.

ვლადიმირ მასლაჩენკო:

- მარცხენა - ეს კარგად შემობრუნებული მარჯვენაა.

- გამოდი კრალ კარიდან. ყოჩაღ! - ესმის კარნახი.

- შეხედეთ, მსაჯს აშკარად ეტყობა, რომ სპორტზე დადის.

- ახლა მინდორზე ედმუნდო გამოვა... მაგრამ ვის შეცვლის? ალბათ, ბებეტოს. გინდათ დავნაძლევდეთ? ჰა, ჰა! მოვიგე.

- ელბერს ფეხი დაუცდა, ალბათ ივარაუდა, რომ ბურთი კარებშია.

გენადი ორლოვი:

- სლოვენიის ნაკრებში ორი მილიონი მაცხოვრებელია.

- აი კანავარო ვიღაცას რაღ... გაუგებარია რას აჩვენებს.

- იაპ სტამი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედში" მიდის. მისი სიმაღლე 191 სანტიმეტრია. ალბათ ინგლისელებს ამიტომ მოეწონათ.

- კუთხურიდან ფრანკ დე ბური უკვე მეორედ, შესანიშნავად ურტყამს მეტოქის კარში: ჯერ - ფეხით, შემდეგ - თავით. თუმცა ეს კლუივერტი იყო.

- ბერგკამპმა საოცარი გოლი გაიტანა. ჩვენი ტელევიზია კი საპნის ოპერით არის გართული ფეხბურთს არ უჩვენებს. ძალიანაც ცდება: ნამდვილი ოპერა - ეს ფეხბურთია!

ვლადიმირ პერეტურინი:

ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი. პერეტურინს მიჰყავს რეპორტაჟი ჰოლანდიის ნაკრების მონაწილეობით.

- ვუყურებ და მსიამოვნებს. შეხედეთ რა ფეხბურთელები იზრდებიან სურინამში - გულიტი, რიიკარდი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. იქნებ ჩვენც მოგვეძებნა მამები სურინამიდან?

- საინტერესოა, ბოროდიუკი ხომ შეიძლება ბულიკინის მამა ყოფილიყო?

- ჩვენს ფეხბურთელებს 1955 წელს მსოფლიო ჩემპიონის, გერმანიის ნაკრების დამარცხებისთვის დიდი საჩუქრები მიუძღვნეს. ხუთ ფეხბურთელს ბინა გადასცეს, დანარჩენს კი ტელევიზორები. ამ მატჩამდე მათ ძირითადად ველოსიპედებით ასაჩუქრებდნენ.

გეორგი ჩერდანოვი:

- ფეხბურთელებისთვის, ვისაც შთამომავლობა არ ჰყავს ცოცხალ კედელში დგომა რეკომენდირებული არ არის. განსაკუთრებით, თუ ჯარიმას რობერტო კარლოსი ასრულებს.

ინფორმაცია

რუსი მილანში?

Corriere dello Sport.-ის ინფორმაციით "მილანი" ვერონას რუსი მეკარით რუსლან ნიგმატულინით დაინტერესდა. ბრაზილიელმა დიდამ წლევანდელ სეზონში საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ამის გამო კლუბის მეორე მეკარე აბიატი სერიოზულად დაფიქრდა გუნდის დატოვებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ აბიატის და ნიგმატულინს ერთი აგენტი ჰყავთ და თანაც რუსი მეკარის ამჟამინდელი ფასი საკმაოდ დაბალია, არ არის გამორიცხული, რომ "მილანმა" ეს ვარიანტი განიხილოს.

"ვერონა" ფინანსურ კრიზისს განიცდის და ამიტომ მზად არის ნიგმატულინი 1-2 მილიონ ევროდ დათმოს, რაც "მილანს" უნდა აწყობდეს, რადგან სხვა მეკარეები, რომლითაც "რასონიერი" დაინტერესდა - კუდიჩინი ("ჩელსიდან") და კანი ("ბაიერნიდან"), ბევრად უფრო ძვირია. იტალიაში სატრანსფერო დერეფანი 2 იანვარს იხსნება და 31 იანვრამდე გრძელდება. ასე, რომ "მილანს" საკმარისად აქვს დრო იმისთვის, რომ მოიფიქროს, სჭირდება, თუ არა მას ნიგმატულინი.

შახროხი ირანს უხელმძღვანელებს

ირანის ფეხბურთელთა ნაკრებს სათავეში ჩაუდგა კლუბ "პასის" მთავარი მწვრთნელი, ხომაიუნ შახროხი. მისი დანიშვნა განაპირობა "ოთხთა ტურნირისთვის მზადებამ, რომელიც თებერვალში ჰონკონგში გაიმართება და მასში მონაწილეობას ურუგვაის, დანიისა და ჰონკონგის გუნდები მიიღებენ.

ხომაიუნ შახროხიმ შემოიკრიბა სხვადასხვა კლუბის 40 ფეხბურთელი, რომლებმაც ვარჯიში უკვე დაიწყეს. ირანის ნაკრების ახალი მწვრთნელი ადრე ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩის თანაშემწე იყო. მასთან ერთად ირანის ნაკრებმა აზიის თამაშები მოიგო - დაამარცხა სამხრეთ კორეისა და იაპონიის გუნდები. ბრანკო ივანკოვიჩს ირანის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი იანვარში ეწურება.

ხორვატი კონტრაქტის გაგრძელებაზე ყაბულს იყო. ეს საკითხი ერთი კვირის წინათ უნდა განეხილათ ფეხბურთის ფედერაციის სპეციალურ სხდომაზე, მაგრამ იანკოვიჩი საშობაო არდადეგებზე სამშობლოში დაბრუნდა და ირანელებს სთხოვა, გადაწყვეტილება მისთვის ტელეფონით ეცნობებინათ. ამასთან, როგორც ირკვევა, ხორვატი სპეციალისტი სამუშაო პირობებით უკმაყოფილო ყოფილა და ამის შესახებ თავის ერთ-ერთი კოლეგისთვისაც უთქვამს. ირანელებმაც კონტრაქტის გაგრძელებაზე აღარ იზრუნეს და ნაკრების მთავარ მწვრთნელად შახროხი აირჩიეს.

კასპაროვს თაღლითობაში სდებენ ბრალს

First International Bank of Israel რუსი დიდოსტატი გარი კასპაროვი თაღლითობაში დაადანაშაულა. ებრაელები ამბობენ, რომ მოჭადრაკე უარს აცხადებს, ბანკს 1,6- მილიონიანი კრედიტი გაუსტუმროს. ბანკმა სარჩელი დელავერის რაიონულ სასამართლოში წარადგინა. ებრაელები აცხადებენ, რომ კასპაროვს სესხი 2000 წლის სექტემბერში მისცეს. მოჭადრაკე კი, გარანტიის სახით, ბანკს თავისი ახალი კომპანიის Kasparov Chess Online-ის აქციებს სთავაზობდა. თუმცა, როგორც ბანკის წარმომადგენლები ამბობენ, გასულ კვირაში, კასპაროვის განკარგულებით, ვებ-საიტი დაიხურა და მოჭადრაკემ კომპანია დატოვა.

"კასპაროვმა დაარღვია ბანკთან ხელშეკრულება და ამით კომპანიას შემოსავლის წყარო მოუსპო," - ნათქვამია ბანკის სარჩელში, რომელიც მან სასამართლოს წარუდგინა. ბანკი აპირებს, სასამართლოს მოსთხოვოს, რომ კასპაროვს აეკრძალოს ვებ-საიტის დახურვა და კონკურენტი საიტის შექმნა. ამას გარდა, First International Bank of Israel აპირებს, კასპაროვს წაჰგლიჯოს კომპენსაცია, რომლის რაოდენობა ჯერ ცნობილი არ არის.

პირობა შესრულდა

დაახლოებით, სამთვენახევრის წინათ, როდესაც "ბერძენ-რომაელი" მოჭიდავეები მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნდნენ, უმთავრესი ასპარეზობის პერიპეტიების უკეთ გასაცნობად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს, რომელზეც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი, სპორტსმენთათვის მეტად საჭირო და მტკივნეულ თემას – საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებისთვის დაწესებულ პრემიებს შეეხო.

სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალი სპორტის დეპარტამენტში

გიგა ბურასაშვილი

შესავალში ადრინდელ პრესკონფერენციას შემთხვევით არ შევეხეთ. მაშინ გობეჯიშვილმა განაცხადა, რომ პრემიების საკითხს პირადად გააკონტროლებს სახელმწიფო მინისტრი, ავთანდილ ჯორბენაძე და დასძინა, - ახლო მომავალში სპორტსმენთა მიმართ დავალიანებებს მალე მოევლებაო.

მას შემდეგ სამთვენახევარზე მეტი გავიდა. საშველი კი არ ჩანდა, თუმცა...

პირობა შესრულდა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქმე მოაგვარა და გუშინ სპორტსმენთა დავალიანებების გასასტუმრებლად ერთგვარი წვეულებაც მოაწყო. ღონისძიებას რესტორანმა "ოლიმპმა" უმასპინძლა. დარბაზში თავშეყრილ საზოგადოებიდან ყველაზე კარგ გუნებაზე, რა თქმა უნდა, სპორტსმენები გახლდნენ - ბუნებრივიცაა, მათ ხომ მთელი წლის ნაჯაფს ერთიანად უსტუმრებდნენ. გუშინდელი წვეულება იმითაც იყო საინტერესო, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს 2002 წლის საუკეთესო სპორტსმენი, მწვრთნელი და გუნდი უნდა დაესახელებინა. თუ წინა დღეების მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებდით, ძნელი გამოსაცნობი სულაც არ იყო, თუ ვინ დასახელდებოდა წლის საუკეთესო სპორტსმენად. საუბარია, მსოფლიოს ჩემპიონ ელდარ კურტანიძეზე. შეიძლება ითქვას, კურტანიძემ ჰეთთრიკი შეასრულა. ჯერ იყო და, იგი საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასახელა წლის საუკეთესო სპორტსმენად, შემდეგ კი ასეთი პატივი მას სპორტულმა მედიამაც დასდო. გუშინ კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმაც კურტანიძე დაასახელა რჩეულად.

წვეულების მასპინძელს, ირაკლი მეძმარიაშვილს საკმაო ხანს მოუწია სცენაზე დგომა, რადგან უამრავი სპორტსმენი, თუ სპორტის მოხელე ჰყავდა დასაჯილდოებელი (ასეთი კი, დაახლოებით, 50-ზე მეტი იყო). თქვენს ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ.

რასაკვირველია, დიდ ინტერესს იწვევდა, წლის საუკეთესო მწვრთნელისა და გუნდის ვინაობა. 2002 წლის მწვრთნელად დასახელდა ძიუდოისტთა წარმატებების სულის ჩამდგმელი, შოთა ხაბარელი, რომელმაც საქართველოს ნაკრებს ჯერ ევროპის თასი მოაგებინა, შემდეგ კი მსოფლიო თასზე – მეორე ადგილი. წლის საუკეთესო ნაკრების გამოსაცნობად შორს წასვლა არ დაგვჭირვებია - შოთა ხაბარელის შეგირდთა ნაკრები წლის საუკეთესო გუნდად დასახელდა. შეგახსენებთ, რომ ძიუდოისტებს ამგვარი პატივი სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმშიც ერგოთ. ღონისძიების ორგანიზატორებს უყურადღებოდ არც მორაგბეები დარჩენიათ. მეძმარიაშვილმა "ბორჯღალოსანთა" წარმატებაც აღნიშნა. იმავე წვეულებაზე დასახელდა 2002 წლის საუკეთესო სპორტული ფედერაციაც - ასეთი პატივი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას ერგო.

აღინიშნა სპორტულ ჟურნალისტთა დამსახურებებიც. 2002 წლის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტებად დასახელდნენ: გურანდა გურასაშვილი ტელეკომპანია "იბერიიდან", ელენე ბილიხოძე საქართველოს რადიოდან და საქართველოს პირველი არხის სპორტული მიმომხილველი, დავით მინაშვილი.

სად იყო და სად არა ჯუმბერ ლეჟავა

ჯუმბერ ლეჟავა ცხრა წელი არ ყოფილა სახლში. ახალ წელსაც ცხრა სხვადასხვა ქვეყანაში შეხვდა.

ჯუმბერ ლეჟავა: "1994 წელს კაიროში შევხვდი. ზუსტად 31 დეკემბერს ჩავედი. დავბინავდი სასტუმროში. ღამე ეკლესიაში გავატარე.

1995 წელს მალაიზიაში შევხვდი. იქ ქართველი ემიგრანტების გაბაშვილების ოჯახში ვიყავი. კარგად მოვილხინეთ.

1996 წელს მარტო ვიყავი ჰონგკონგის სასტუმროში. მერე მთელი ღამე ინდოელებისა და ჩინელების გარემოცვაში გავატარე. სვავდნენ, ცეკვავდნენ, ერთ ამბავში იყვნენ.

1997 წელმა ატლანტაში მომისწრო. მთელი ღამე ლეჟავების ოჯახში გავატარე. კარგი ქართული სუფრაც გვქონდა.

1998 წელს არგენტინაში შევხვდი. ურუგვაელების ოჯახმა მიმასპინძლა და ძალიან კარგი დრო ვატარეთ.

1999 წელს პარიზში შევხვდი. მარტო ვიყავი ჩვენი ელჩის მძღოლის ოჯახში.

2000 წელს კონგოს საავადმყოფოში შევხვდი. ვიღაცამ მომწამლა და ცუდად ვიყავი. 4 დღე ვიწექი.

2001 წლის 31 დეკემბრის ღამე სომალის საზღვარზე, ბედუინების "შალაშე"-ში სრულიად მარტომ გავატარე.

2002 წელს სტოკჰოლმში შევხვდი. ღამით სასტუმროში მარტო ვიყავი. დღისით ნაცნობი ოჯახიდან მომაკითხეს და დღესასწაულზე წამიყვანეს."